საქ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარგარეთელი ბიუროს ორგანო
Organe du Bureau à l'Etranger du parti Social-democrate de Géorgie

ეროვნული ბიბლიოთეკა

832
1989

# ჩვენი დროშა

## "NOTRE DRAPEAU"

დაარსებულია ნოე ჟორდანიას მიერ

Nr. 1 (115)

„ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრე-ბისა; თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა."
„მესამე დასი", *1893* წელი.

პარიზი — თებერვალი, *1989* წელი — *PARIS*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საზღვარგარეთელი ბიურო

საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის, ე.ი. "მესამე დასის" საზღვარგარეთელი ბიურო, პოლიტიკურ ლტოლვილობაში, მოქმედებს ჩვენი პარტიის წესდების ოცდა-მეთერთმეტე მუხლის შესაბამისად:

"თუ კავშირები საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის მმართველ ორგანოებთან, თბილისში, შეფერხებულია, საზღვარგარეთელი ბიურო მოქმედებს, საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის უფლებამოსილებით, დამოუკიდებლად".

ჩვენი პარტიის წესდების ეს მუხლი გამომდინარეობს საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის მესამე არალეგალური ყრილობის გადაწყვეტილებიდან, ყრილობისა, რომელიც ჩატარდა თბილისში 1925 წელს.

„ყველა ხალხი თავის ისტორიულ განვითარებაში ექვემდებარება რაიმე წესრიგს, რაიმე კანონს. ამ კანონის უმთავრეს მუხლს შეადგენს ის ხანა, როცა ხალხი გრძნობს თავის - თავს ერთ ერათ, ჭირში და ლხინში განუყრელათ, აქვს წარმოდგენა თავის ეროვნულ „მე"-ზე და ამას შეგნებულათ იცავს. მაგ., ფრანგები, არისტოკრატი იყოს თუ დემოკრატი, ლიბერალი თუ რადიკალი, ეროვნობის საქმეში ყოველთვის სრულს ერთობას იჩენენ აზრებისას, მიმართულებისას და გულისთქმისას. თუმცა შინაურ ცხოვრებაში მუდამ და დაულალავათ ებრძვიან ერთმანეთს, მაგრამ ერთათ დგებიან, ერთ დროშის ქვეშ იკრიბებიან, ერთი მეორისთვის თავსა სდებს, როცა მათ ეროვნულ თვით - არსებობას განსაცდელი მოელის, როცა გარეშე მტერი მიჯნას გადმოსცილებია და ქვეყანას ალყას უპირობს. ამ შემთხვევაში იღვიძებს დროებით მიძინებული ერთ-სულობა და ერთი მეორის დაუცხრომელნი მტერნი საომარ ველზე ხელი-ხელ გაყრილნი გამოდიან. ეს არის ეროვნობის არსებითი თვისება, ნაყოფი საერთო პოლიტიკო-ეკონომიური ცხოვრებისა, განმტკიცებული თანამედროვე წყობილებით და შეგნებული ადამიანურის ცხოვრებით."

ნოე ჟორდანია 1893 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გ ან მ ა რ ტ ე ბ ა

## "ჩვენი დროშის" სარედაქციო კოლეგიისა

ჩვენი, "მესამე დასის",ე.ი.საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის, აწ უკვე თითქმის ას-წლოვანი დემოკრატიული ტრადიცია იყო და არის ჩვენი პრესის ორგანოს უშუალო კავშირი არა ამა-თუ-იმ პირთან, როგორი გამოჩენილი მოღვაწეც არ უნდა იყოს იგი, - არამედ პარტიასთან, ხალხთან, ერთან, რომლის მსახური, რუპორი არის, უნდა იყოს ჩვენი პარტიის ყოველი მასობრივი ინფორმაციის საშუალება. ამის შედეგი იყო ის, რომ ჩვენი პარტიის ოფიციალურ ორგანოს -"ჩვენ დროშას" - არასოდეს არ აწერდა ხელს რედაქტორი, თუმცა ჩვენი ამ ორგანოს რედაქტორები იყვნენ ისეთი გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეები, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტი და მთავრობის თავჯდომარე ნოე ჟორდანია თუ საქართველოს იუსტიციის მინისტრი რაჟდენ (მიშა) არსენიძე. ამგვარი ტრადიცია დამკვიდრდა ჩვენს პარტიულ პრესაში იმიტომ, რომ საერთო პასუხისმგებლობა უნდა ყოფილიყო არა ცალკეული პირის, არამედ მთელი პარტიისა და მისი ბიუროს ხელში.

ჩვენი პარტიის ამგვარი დიდი დემოკრატიული ტრადიცია, სამწუხაროთ, ჩვენი პარტიის ზოგიერთმა წევრმა დაარღვია, რასაც მოყვა ის, რომ "ჩვენი დროშის" უკანასკნელი წლების ნომრები არა სარედაქციო კოლეგიის, არამედ ერთი პირის რედაქტორობით გამოიცა, რის შედეგად - თავის მხრივ - "ჩვენი დროშის" არა მარტო იდეოლოგიური დონე დაეცა და იგი პიროვნულ-სექტანტურ ორგანოდ იქცა. კიდევ მეტი: "ჩვენი დროშა" გახდა ბიუროში და ამით პარტიაში განხეთქილების შეტანის იარაღი, რაც გამოიხატა "ოქმით ცნობისათვის" დარიგებით, რომელშიც უგულებელყოფილია, თუ გნებავთ, ის ფაქტი, რომ საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელი ბიურო თანამშრომლობს ქართულ ეროვნულ საბჭოსთან. "ჩვენი დროშის" 1988 წლის ნომერში კი გამოქვეყნებულია ცნობა, რომელშიც ქართული ეროვნული საბჭოს წარმომადგენლად გამოცხადებულია პირი, რომელიც მოქმედებდა ქართული ეროვნული საბჭოს განაჩენის წინააღმდეგ, მონაწილეობა არ მიუღია ქართული ეროვნული საბჭოს მეოთხე ყრილობის მუშაობაში, არ იზიარებს და არ ემორჩილება არც ბიუროს და არც ეროვნული საბჭოს დემოკრატიული(უმრავლესობის) გზით მიღებულ გადაწყვეტილებებს, და - მას ზევით - დაარღვია ეროვნული მთავრობის მიერ, თავის დროზე, მიღებული გადაწყვეტილება ეროვნული მთავრობის არქივის შესახებ, და **მიკროფილმები მთავრობის არქივის იმ მთავარი ნაწილისა, რომელიც** ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში(აშშ) ინახება, თვითნებურად გადააგზავნა საქართველოში.

განიხილა რა ყველა აღნიშნული და სხვა ანალოგიური საკითხები, საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელმა ბიურომ, თავის 1988 წლის 29 სექტემბრის კრებაზე მიიღო გადაწყვეტილებები; კერძოთ "ჩვენი დროშის" სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელობა ხელში აიღო(ის.ოქმი) და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოთქვამს ღრმა რწმენას, რომ ჩვენი პარტიის ყოველი წევრი, სადაც არ უნდა იყოს იგი, - ყოველმხრივ დახმარებას გაუწევს სარედაქციო კოლეგიას "ჩვენი დროშის" გასრულყოფილებაში.

ვჯერა, რომ ჩვენს პარტიაში ბოლო მოეღება ყოველგვარ პიროვნულ-სექტანტურ გამოვლინებებს და ისევ გაღატონდება "მესამედასელთა" ტრადიციული დემოკრატიული წესრიგი ჩვენი პარტიის მოღვაწეობის ყველა სფეროში.

"ჩვენი დროშის" სარედაქციო კოლეგია
პარიზი, 1988 წლის დეკემბერი
-----------------------------

დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის
68 წლისთავი
------------

I.

შესრულდა 68 წელი დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობის დღიდან. რა შეიძლება ითქვას ამ ტრაგიკული ისტორიული თარიღთან დაკავშირებით დღეს, 1989 წლის 25 თებერვალს?..

II.

ჯერ თვით ფაქტი: 1918 წლის 26 მაისს, როგორც ცნობილია, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, ნოე ჟორდანიას თავჯდომარეობით, გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა. 117 წლის უცხო ბატონობის შემდეგ, საქართველო ისევ გამოვიდა საერთაშორისო ასპარეზზე და გახდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. საქართველოს დამოუკიდებლობა იცნო მსოფლიოს ოცზე მეტმა სახელმწიფომ, უმოკლეს ხანში, მათ შორის გერმანიამ, ინგლისმა, საფრანგეთმა, შორეულმა იაპონიამ და თვით საბჭოთა რუსეთმა, რომელმაც 1920 წლის 7 მაისს დადო საზავო ხელშეკრულება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, რომელშიც, სხვათა შორის, ნათქვამია:

III.

"რუსეთი ურეზერვოთ სცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და სუვერენობას და ნებაყოფლობით ხელს იღებს ყოველგვარ სუვერენულ უფლებებზე, როგორიც გააჩნდა რუსეთს ქართველი ხალხისა და საქართველოს ტერიტორიის მიმართ".

IV.

მაგრამ არ გასული ერთი წელიც კი ამ საზავო ხელშეკრულების დადების დღიდან, და საბჭოთა რუსეთი თავს დაესხა დამოუკიდებელ საქართველოს სუთი მხრიდან, 1921 წლის 11 თებერვალს, და ცხარე ბრძოლების შემდეგ, რომლის დროს არა ერთი მწარე მარცხი აგემა საქართველოს ახალგაზრდა არმიამ მომხდურ მტერს, განსაკუთრებით თბილისის მისადგომებთან ტაბახმელაზე, - დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო და ჩვენი სამშობლო ისევ, ამჯერად, საბჭოთა რუსეთის პროვინციად აქცია. დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული მთავრობა, ნოე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყორღანიას მეთაურობით, კი იძულებული გახდა - დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრების დადგენილებით - დაეტოვებია საქართველო, რომ უცხოეთიდან ბრძოლა გ ა ე გ რ ძ ე ლ ე ბ ი ა უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ. ამგვარად საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ საქართველოს ტერიტორია (ბათომი) დატოვა 1921 წლის 17 მარტს.

V.

ამის შემდეგ უკვე გავიდა 68 წელი და საქართველო ისევ იმყოფება მოსკოვის განუკითხავი ბატონობის ქვეშ, თუმცა ე.წ-ლი"გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაციის" გორბაჩოვისეული პოლიტიკის შედეგად, "ნაწილობრივი სიმართლის" თუ "ნახევარსიმართლის" თქმას ბედავს გაზეთი"კომუნისტიც" კი,რომლის 1988 წლის 24 აპრილის ნომერში, 1921 წლის თებერვალ-მარტის ამბების შესახებ, სხვათა შორის, წერს:("ნისლი გადაიწმინდა"."საქართველოს უახლოესი ისტორიის პრობლემები გარდაქმნის შუქზე"):

VI.

„სიმართლის მხრივ გარკვეულად ხცოდავს 1921 წლის თებერვლის მოვლენების აღრინდელი გაშუქება. ვითარება ისეა დახატული თითქოს საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში დამყარდა სახალხო აჯანყების გამარჯვების გზით და წითელი არმიის ნაწილებმა მხოლოდ დახმარების როლი შეასრულეს. სინამდვილეში არავითარი აჯანყება არ მომხდარა და ქვეყნის შიგნითა ძალებით მისი წამოწყება იმ მომენტში შეუძლებელიც იყო. მენშევიკური მთავრობა დამხობილ იქნა წითელი არმიის მიერ, რომლის მოწვევა განხორციელდა ი.სტალინის, ს. ორჯონიკიძის ინიციატივით. ვ.ი.ლენინი პირველ ხანებში წინააღმდეგი იყო გარეგანი ძალების ჩარევისა და ცდილობდა კიდევ საერთო ენის გამონახვას მენშევიკურ მთავრობასთან, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა მენშევიკური მთავრობის მიზეზით."

VII.

კიდევ ერთი ამონაწერი გაზეთ "კომუნისტის" ამ სტატიიდან(24.4.1988):
"...ქვეყნის ხსნა შეეძლო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც შეესაბამებოდა ხალხის ცხრამეათედის(ხაზი ჩემია.კ.ი.) ჭეშმარიტ ინტერესებს. ამრიგად, ის ე.წ.'ანექსია', რომელსაც განგებ მუქ ფერებში წარმოადგენენ რევოლუციის მტრული ძალები, ნაკარნახევი იყო რევოლუციის ჭეშმარიტი ინტერესებით და გზას უხსნიდა ქართველ ხალხს ნამდვილი ეროვნული დამოუკიდებლობისა და აღორძინებისაკენ".

VIII.

პირდაპირ გასაკვირია!.. ამ სტატიის ავტორი - აკაკი სურგულაძე - ერთის მხრივ - გვეუბნება, რომ "ნისლი გადაიწმინდა", ე.ი. ისტორიული ფაქტების ობიექტური აღწერა თითქოს შესაძლებელია დღეს თვით გაზეთ "კომუნისტშიც", მაგრამ - მეორეს მხრივ - "ნახევარსიმართლითა" და სიყალბით გვიმასპინძლდება;უთუოდ, ისიც დადებითი მოვლენაა, რომ გაზეთი "კომუნისტი" აღიარებს -"...მენშევიკური მთავრობა დამხობილ იქნა წითელი არმიის მიერო", თუმცა გამოთქმა "მენშევიკური მთავრობა" თითქოს "პარიზულ 'ივერიადან'" "ისესხა" გაზეთმა "კომუნისტმა" მაგრამ დანარჩენი? - სტალინი,ორჯონიკიძე და,საერ-

თოლ, ქართველი ბოლშევიკები ლენინის მეხუთე კოლონა არ იყო დამოუკიდებელ საქართველოში?..მერმეთ:"საერთო ენა" ლენინთან და საბჭოთა რუსეთთან [illegible] გამონახული არ იქნა, როცა 1920 წლის 7 მაისს ჯაიდვა საბჭოთა რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულება?.. ან კიდევ: რომელიმე ნორმალურ ადამიანს შეუძლია იმის მტკიცება, რომ 1921 წლის 11 თებერვალს, როცა ლენინის წითელი არმია თავს დაესხა დამოუკიდებელ საქართველოს, ეს - როგორც"კომუნისტი" წერს -"...შეესაბამებოდა ხალხის ცხრამეათედის ჭეშმარიტ ინტერესებს?.. მერმეთ კიდევ: საბჭოთა რუსეთმა მოახდინა არა დამოუკიდებელი საქართველოს "ანექსია",როგორც გაზეთი"კომუნისტი" გვიმტკიცებს, არამედ , იარაღის ძალით, ომით, ომის გამოუცხადებლად, მოულოდნელად გადმოლახა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო საზღვრები, რომელიც 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით თვით ლენინის მთავრობამ იცნო, - და თვე-ნახევარი ომის შემდეგ, დ ა ი პ ყ რ ო იგი. ეს იყო წმინდა წყლის იმპერიალისტური აქტი და ახეთადაც გაიგო ეს მაშინ მთელმა მსოფლიომ, როცა სასტიკ პროტესტს აცხადებდნენ მსოფლიოს ათობის სახელმწიფოები.

IX.

და პირდაპირ გულის-ამრევი სიყალბე: "...'ანექსია'...ნაკარნახევი იყო რევოლუციის ჭეშმარიტი ინტერესებით და გზას უხსნიდა ქართველ ხალხს ნამდვილი ეროვნული დამოუკიდებლობისა და აღორძინებისაკენო", - წერს ავტორი. ჯერ ერთი, ვითომ რევოლუცია რუსეთში 1917 წლის თებერვალში არ მოხდა, და ოქტომბერში სახელმწიფო გადატრიალებას არ ჰქონდა ადგილი?.. მერმეთ: საქართველოს "ნამდვილი ეროვნული დამოუკიდებლობისა და აღორძინებისაკენ" იმით გაეხსნა, რომ საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო საქართველო, დამოუკიდებელი საქართველო?..

X.

ან კიდევ: საბჭოთა რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობას 1921 წლის თებერვალ-მარტში, გაზეთი "კომუნისტი" დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური "კატასტროფული" მდგომარეობით ამართლებს!..გამოდის, რომ თუ რომელიმე სახელმწიფო ეკონომიკურ სიძნელეებს განიცდის, მეზობელმა სახელმწიფომ იგი უნდა დაიპყროს და ამ გზით"გააბედნიეროს"!.. საბჭოთა კავშირის დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა მაიძულებს ვთქვა: ვითომ საბჭოთა კავშირი,ე.ი.რუსეთი დღეს ვინმემ უნდა დაიპყროს, ვინაიდან კატასტროფულ ეკონომიკურ მდგომარეობაშია?.. მერმეთ: საბჭოთა რუსეთთან შედარებით, დამოუკიდებელი საქართველო გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იყო,რის ყველაზე უფრო თვალსაჩინო ფაქტი იყო "ქართული მანეთი", რომელიც საერთაშორისო ვალიუტა იყო. მაგრამ დაუჯერებელია, რომ ყველაფერი ეს ამ სტატიის ავტორმა არ იცის!.. უთუოთ, იცის, მაგრამ იძულებულია მოხკოვის იმპერიული პოლიტიკა საქართველოში და მთელს კავკასიაში როგორმე"გაამართლოს", ხოლო ჩირქი ე.წ-ლ"მენშევიკურ მთავრობას" მოცხოს. ესაა "ნის ლი გადაწმენდა?.."ესაა "გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაცია?.."

XI.

მაგრამ - ავღნიშნავთ რა დამოუკიდებელი საქართველოს დაპყობის სამოცდამერვე წლისთავს, რა უნდა იყოს ჩვენი მოთხოვნა "აქვე და ახლავე"? -

ჩვენი მოთხოვნა იყო, არის და დარჩება "26 მაისის დიადი იდეების" ისევგანხორციელება საქართველოში, რაც იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა რუსეთმა უნდა გაიყვანოს თავისი საოკუპაციო ჯარები საქართველოდან და საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა უნდა დაეყრდნოს 1920 წლის 7 მაისის ხაზავო ხელშეკრულებას, რომელიც დადებულ იქნა ლენინის მთავრობასა და დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობას შორის. შეიძლება, დღეს ამგვარი მოთხოვნა "ფანტასტიური ხასიათისაა", მაგრამ - როგორც ამბობენ ხოლმე -"ვისაც სასწაულის არ სწამს, იგი არ არის რეალისტი".

კარლო ინასარიძე
ლევილი, 1989 წლის 25 თებერვალი

---

## საქართველოს მთავრობის განცხადება

### საბჭოთა რუსეთის ჯარების მიერ საქართველოში შეჭრისა და დაპყრობის შესახებ

1921 წლის 19 მარტს საქართველოს მთავრობა, რომელმაც ძალაუფლება ხალხის ნება-სურვილით მიიღო, რაც გამოიხატა საყოველთაო საარჩენო ხმისმიცემით, იძულებული გახდა თავისი ქვეყანა დაეტოვებია. ეს იძულება გამოიწვია საბჭოთა რუსეთის ჯარების მიერ საქართველოს ოკუპაციამ, რომელმაც ხალხს თავისუფლება და დამოუკიდებლობა წაართვა და მის მთავრობას მოუსპო საშუალება მისი საქმიანობის წარმოებისა ეროვნულ მიწა-წყალზე.

ქვემოდ მოკლე განმარტებები იმ მოვლენების შესახებ, რომლებიც წინ უსწრებდნენ მტრისაგან საქართველოს დაპყრობას.

თავისი არსებობის პირველ დღეებიდანვე საქართველოს რესპუბლიკამ ყველა მის განკარგულებაში არსებული საშუალებები გამოიყენა, რათა დაეცვა მშვიდობა მის მეზობლებთან.

ქართველმა ხალხმა თავისი სახელმწიფოს ორგანიზაცია მიანდო იმ ჯგუფს, რომელიც მეოთხედი საუკუნის განმავლობაში სათავეში ედგა ქვეყნის პოლიტიკურ მოვლენებს და, რომელიც მას წარმოადგენდა რუსეთის იმპერიის 4 დუმაში. ხალხის ნდობა, რომლითაც ეს მთავრობა სარგებლობდა,-დამფუძნებელ კრებაში ის წარმოდგენილი იყო დეპუტატთა 80%-ით,-საქართველოს რესპუბლიკას აზღვევდა შინაურ კრიზისებისგან, რომლებიც შეიძლება გამოეწვია პარტიათა შორის ქიშპობას. ქვეყნის შინაური მშვიდობა აგრეთვე უზრუნველყოფილი იყო იმ ღრმა რეფორმებით, რომლებიც განხორციელდა მოსახლეობის თითქმის ერთსულოვნებით.

ასეთ პირობებში, რესპუბლიკის არსებობას შეიძლებოდა დამუქრებოდა მხოლოდ და მხოლოდ გარეშე ძალები, რაც საქ. მთავრობას უკარნახებდა დიდ სიფრთხილეს მის საგარეო პოლიტიკაში. ამიერკავკასიის რესპუბლიკების დაახლოება და ურთიერთობის განმტკიცება მეზობელ ქვეყნებთან ისევე, როგორც ევროპის სახელმწიფოებთან, ასეთი იყო მთავარი მიზნები ამ პოლიტიკის.

მაგრამ, ერთგული მისი მოვალეობისა: დაეცვა ქვეყნის დამოუკიდებლობა, საქ. რესპუბლიკის მთავრობას არ შეეძლო დაეშვა, რომ რომელიმე მის მეზობელს რესპუბლიკისათვის თავს მოეხვია თავისი ნება-სურვილი, თავისი კანონები და მისთვის ეკარნახა ესა თუ ის პოლიტიკა ევროპის ქვეყნების მიმართ. ამ მდგომარეობამ გამოიწვია მოსკოვის მთავრობის სიძულვილი საქათველოს მიმართ. მას უნდოდა მისი მპყრობელობა გაევრცელებია მთელს ამიერკავკასიაზე, რათა მას შეძლებოდა ის გამოეყენებია, როგორც პოლიტიკური იარაღი. საქ. მთავრობის გადაჭრილ უარზე, გამხდარიყო მოსკოვის აგენტი და მონაწილეობა მიეღო საბჭოთა რუსეთის იმპერიალისტურ ავანტიურაში, ბოლშევიკებმა გამოაცხადეს, რომ ეს მთავრობა იყო „ანტანტის“ აგენტი.

საქართველოს „გასაბჭოება“ შეიქმნა მთავარი ელემენტი ბოლშევიკების პოლიტიკისა წინა აზიაში.

მრავალი აჯანყებების და შეთქმულებების ჩაშლის შემდეგ, რომლებიც ეწყობოდნენ მოსკოვის ემისრების და ოქროს მეშვეობით, საბჭოთა მთავრობამ, მიუხედავად სამშვიდობო ხელშეკრულებისა, რომელსაც მან ხელი მოაწერა საქართველოსთან 1920 წლის 7 მაისს, გადაწყვიტა საქართველოს დაპყრობა სამხედრო ძალებით.

1920 წლის დეკემბერში, რუსეთის მე-11 წითელი არმიის სარდალს, გენერალ ჰეკერს, დაევალა მოხსენება წარედგინა თუ რა სამხედრო ძალები იქნებოდა საჭირო საქართველოს დასაპყრობად. თავის დაწვრილებით მოხსენებაში, გენერალი ასაბუთებდა, რომ მისი არმია ვერ შეძლებდა მოეხდინა ეს დაპყრობა თუ ანგორას მთავრობა თანხმობით არ იქნებოდა განწყობილი ამ წამოწყებისა. ბოლშევიკები იძულებული იყვნენ გადაედევათ საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობა, მაგრამ დაუყოვნებლივ დაიწყო მათი ჯარების თავმოყრა საქ. საზღვრებზე. საქ. მთავრობის პროტესტები ამის შესახებ დარჩნენ უშედეგო.

ომის თავიდან ასაცილებლად, საქ. მთავრობა შეეცადა გამოერკვია მოსკოვის მთავრობის მიზნები ამიერკავკასიაში. მან ითხოვა მისი დაშვება რუსეთ-თურქეთის კონფერენციაზე, რომელიც დანიშნული იყო მოსკოვში, გასულ თებერვალში. ეს წინადადებაც დარჩა უპასუხოდ საბჭოთა მთავრობისაგან.

საქ. მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები, მოსალოდნელი გართულებების თავიდან ასაცილებლად სომხეთის მხრიდან, რომელიც ამ დროს უკვე „გასაბჭოებული" იყო, სასურველად დაგვირგვინდნენ: ერევნის მთავრობა დათანხმდა სადავო საკითხები მოლაპარაკებით მოგვარებულიყო ორ ქვეყანას შორის და გადაწყდა მოწვეულიყო თბილისში 15 თებერვალს.

მიუხედავად ამისა, 11 თებერვალს მე-11 არმიის რუსულმა ჯარებმა გადმოლახეს საქართველოს საზღვრები სომხეთის მხრიდან.

ბ-ნმა შეინმანმა, საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელმა თბილისში, მტკიცედ განუცხადა საქ. მთავრობას, რომ რუსეთმა არაფერი არ იცოდა ამ თავდასხმის შესახებ და, რომ ის იყო სომხეთის მთავრობის მიერ მოწყობილი.

იმავე დროს, საქართველოს მთავრობამ მიიღოს საბჭოთა სომხეთის წარმომადგენლისაგან, ბ-ნ შავერდოვისაგან არანაკლებ მტკიცე განცხადება, რომლის მიხედვითაც სომხეთი სრულიად უცხო იყო ამ თავდასხმაში.

ფაქტები ადასტურებენ, რომ ამ ორი განცხადებიდან ბ-ნ შავერდოვის განცხადება იყო მართალი; თბილისის მახლობლად წარმოებულ ბრძოლების დროს, ქართულმა ჯარებმა ტყვედ ჩაიგდეს მტრის მრავალი ჯარისკაცი. მათი დაკითხვებიდან გამოირკვა, რომ ყველა იყო წარმოშობით ცენტრალური რუსეთის პროვინციებიდან და ეკუთვნოდნენ მოსკოვის ჯარების რეგულარულ ნაწილებს. მაშასადამე საბჭოთა რუსეთმა, და არა სომხეთმა, საქართველოს შემოუტია თავისი ჯარები 11 თებერვალს სომხეთის მხრიდან.

15 თებერვალს, მე-11 არმიის ახალმა ნაწილებმა, გაძლიერებულმა კავალერიის შენაერთებისაგან, გადმოლახეს საქართველოს საზღვრები აზერბაიჯანის მხრიდან.

საქ. მთავრობა, რომელმაც მთელი თავისი ენერგია მიმართა შემოსული მტრის უკუსაგდებლად, შეეცადა ომის შეწყვეტას დიპლომატიური საშუალებებით.

16 თებერვალს, საქ. მთავრობის თავმჯდომარემ ტელეგრამით მიმართა მოსკოვის მთავრობას, მაგრამ საგარეო საქმეთა კომისრის თანაშემწემ, ნ-მა კარახანმა, რომელიც ტელეგრაფის მეორე ბოლოში იმყოფებოდა, უარი განაცხადა მასთან მოლაპარაკებაზე.

მეორე დღეს, ბ-მა ჩიჩერინმა, რომლისთვის თითქოს ცნობილი არ იყო საქართველოზე წითელი არმიის თავდასხმა, თბილისის რადიო-ტელეგრაფში გაგზავნილ დეპეშით საქ. მთავრობას შუამდგომლობა შესთავაზა საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებს შორის. თუმცა დიდ იმედებს არ ამყარებდა ჩიჩერინის ამ მიმართვის გულწრფელობაზე, საქ. მთავრობამ უპასუხა, რომ ღებულობდა ამ წინადადებას იმ პირობით, რომ რუსეთის მთავრობას თავისი ჯარები გაეყვანა საქართველოდან.

ამასობაში კი ვითარდებოდა სამხედრო ოპერაციები. ქართველი ხალხი გმირული წინააღმდეგობით შეხვდა თბილისის წინააღმდეგ ორი მხრიდან გაჩაღებულ შეტევებს. ჯარმა და სახალხო გვარდიამ უკუაგდეს მტრის ყველა იერიში, თუმცა ცოცხალი ძალით, შეიარაღებითა და საბრძოლო მასალით როდი შეედრებოდა მას.

21 თებერვალს, საქ. მთავრობის თავმჯდომარემ დეპეშით მიმართა ჩიჩერინს და სთხოვა მას განემარტა საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ გაჩაღებული ომის მიზეზები. ეს დეპეშა უპასუხოდ დარჩა, რის შემდეგ საქ. მთავრობის თავმჯდომარემ

მოუწოდა ლენინსა და ტროცკის ამ აშკარა იმპერიალისტური და თავდასხმითი ომის შეწყვეტისაკენ.

ამის საპასუხოდ, საბჭოების მთავრობამ სამი ახალი მიმართულებით გაშალა შეტევები საქართველოს წინააღმდეგ - ვლადიკავკაზიდან სამხედრო გზაზე გავლით, მამისონის უღელტეხილიდან ქუთაისისაკენ და შავი ზღვის სანაპიროდან სოჩის მიმართულებით. ამგვარად, საქართველოს ყოველ მხრიდან შემოესიენ რუსეთის ჯარები, კერძოდ - მე-11 არმია, შემდეგ კი მე-8, მე-9 და მე- 13 არმიები, და აგრეთვე ბუდიონის დ[illegible]ელობას კავალერიის ნაწილები.

თუ მხედველობაში მივიღებთ ხალხის ენთუზიაზმს და მოხალისეთა დიდ რაოდენობას, საქ. მთავრობა იქნებ შესძლებდა მტრისადმი წინააღმდეგობის გაშლა-გაფართოებას, მაგრამ მან იარაღითა და საბრძოლო მასალით ვერ უზრუნველყო ერის ყველა შვილი, რომელიც მზად იყო თავი დაედო სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ საქ. მთავრობა ორი წლის განმავლობაში ამაოდ ცდილობდა სამშობლოს დასაცავად საჭირო სამხედრო ტექნიკის ევროპულ სახელმწიფოთაგან მიღებას. ასეთ დახმარებაზე დათანხმდა მხოლოდ ერთი სახელმწიფო, მაგრამ გადაწყვეტილება დაგვიანებული იყო.

ბოლშევიკები კი, იყენებდნენ რა ყირიმის ულევ რესურსებს, ქართული ლაშქრის წინააღმდეგ გზავდნიდნენ თანამედროვე შეიარაღებით აღჭურვილ ახალ-ახალ ძალებს.

22 თებერვალს, ბოლშევიკებს ახალმა ვითარებამ შეუწყო ხელი: ანგორის მთავრობამ საქ. მთავრობას წარუდგინა ულტიმატუმი, რომლითაც მოითხოვდა არდაგანის და ართვინის ევაკუაციას. საქართველოსთვის შეუძლებელი იყო თურქებისათვის, ე.ი. ახალ ფრონტზე წინააღმდეგობის გაწევა, და საქ. მთავრობა იძულებული შეიქმნა თავისი ჯარები გაეყვანა ამ ქალაქებიდან, თუმცა მან ამავე დროს ნათლად განაცხადა, რომ ათით არ წყდებოდა ეს საკითხი და რომ პრობლემის საბოლოო მოგვარება შეთანხმებასა ან არბიტრაჟს საჭიროებდა.

საქართველოს სამხედრო მდგომარეობა დღითი-დღე რთულდებოდა. ხუთი მხრიდან ვარშემორტყმული საქ. რესპუბლიკა მეტად უთანასწორო ბრძოლაში იყო ჩაბმული. ქართულ ჯარს განადგურება ემუქრებოდა. საქ. უმაღლესმა სარდლობამ გადაწყვიტა თბილისის ევაკუაცია და უკან დახევა, რათა მოეხდინა ჯარის კონცენტრაცია ძლიერ პოზიციებზე. ჯარის ყველა ნაწილს მიეცა უკან დახევისა და რიონის მარცხენა ნაპირზე ბრძოლის გაგრძელების ბრძანება, ბათუმის როგორც სამხედრო ბაზად შენარჩუნებით.

25 თებერვალს, თბილისი დატოვებულ იქნა ქართული ჯარის ნაწილების მიერ. დაიწყო მთავარსარდალის მიერ ნაბრძანევი უკან დახევა. ბრძოლები ახალ ხაზზე სამ კვირას გაგრძელდა.

ქართველმა ხალხმა ამ ტრაგიკულ დღეებში კვლავ დაამტკიცა თავისი ერთიანობა და მტკიცე გადაწყვეტილება საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში. ფუჭად ჩაიარა ბოლშევიკების აგენტთა ყველა მცდელობამ სახალხო აჯანყებისა თუ სამხედრო ამბოხების მოწყობის მიზნით. მაგრამ სამხედრო ტექნიკას და მასალას მოკლებული, უმოკავშირედ, თავის ბედის ანაბარად მიტოვებული საქართველო, რომელიც არსაიდან დახმარებას არ მოელოდა, ხანგრძლივად ვერ გაუძლებდა დიდ რუსეთს... ანგორის მთავრობის პოლიტიკამ დააჩქარა მისი წინააღმდეგობის დასასრული. არდაგანის და ართვინის დაკავების შემდეგ, ქემალისტურმა მთავრობამ აუწყა საქართველოს, რომ მათ შორის უკვე აღარ არსებობდა სადავო საკითხები და საქ. დახმარება შესთავაზა, რათა ბოლშევიკური ჯარები არ შესულიყვნენ ბათუმის პროვინციაში. ქემალისტურმა მთავრობამ თხოვა საქ. მთავრობას, არავითარი წინააღმდეგობა არ გაეწია თურქეთის ჯარების ბათუმის პროვინციაში შესვლისათვის, ჯარებისა, რომლებსაც თითქოს მონაწილეობა უნდა მიეღოთ ამ რაიონის ბოლშევიკებისაგან დაცვაში.

მაგრამ, ბათუმში შესვლის შემდეგ, თურქებმა განაცხადეს: ანგორის დიდმა ეროვნულმა კრებამ დაადგინა მოხდეს ბათუმის და მთელი პროვინციის ანექსიაო და თურქები შეეცადნენ ძალით აეღოთ სახელმწიფოებრივი შენობები და ციხე-სიმაგრეები. თურქებმა ამავე დროს საქ. მთავრობას გაუგზავნეს ულტიმატუმი, რომლითაც მოითხოვდნენ ქართული ჯარის განიარაღებას. ბათუმში გაჩაღდა ცხარე ბრძოლები თურქებსა და ქართველებს შორის. ქართველებმა თურქები განდევნეს

ქალაქიდან, მაგრამ საქ. ამ დღიდან ორ ფრონტზე მოუხდა ბრძოლა. ეს მეორე ფრონტი კი იყო სწორედ იქ, სადაც მას სამხედრო ბაზა უზრუნველყოფილად მიაჩნდა. ქართული ჯარი, ორი ძლიერი სახელმწიფოს, რუსეთის და თურქეთის ჯარებით ვარშემორტყმულს, არ გააჩნდა წარმატების არავითარი შანსი, განწირული იყო დასაღუპავად.

17 მარტს, საქ. მთავრობამ გადაწყვიტა რიონის მარცხენა ნაპირზე ბრძოლების შეწყვეტა და ჯარის დაშლა, რამაც ბოლშევიკურ ძალებს გზა გაუხსნა ბათუმის და საქ. მთელი ტერიტორიისაკენ. ამის შედეგად, საქ. მთავრობა იძულებული გახდა დაეტოვებინა მტრის მიერ დაკავებული ტერიტორია. ეს იყო ერთადერთი გამოსავალი, რათა საქ. მთავრობას თავი აერიდებია დამპყრობელებთან ყოველგვარი პოლიტიკური კონტაქტებისაგან.

ბოლშევიკებმა, წითელი არმიის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე, შექმნეს სამხედრო ხელისუფლება „რევოლუციური კომიტეტის" სახელწოდებით. საქ. რესპუბლიკის მთავრობამ ხალხისადმი მიმართვაში დააზუსტა თავისი დამოკიდებულება ამ კომიტეტისადმი. მან კერძოდ განაცხადა, რომ ლეგალურ ხელისუფლებად ვერ ჩაითვლებოდა რუსული ხიშტებით ქვეყანაში ძალით შემოტანილი ეს უზურპატორული კომიტეტი, რომელიც შედგება საქართველოს მტრის ჯარების ნაფეხურებს შემოყოლილ პირებისაგან, ქართველი ხალხის ნების წინააღმდეგ. ამ კომიტეტს არავითარი უფლება არ ჰქონდა თავი ჩაეთვალა „ხელისუფლებად".

განაცხადა რა პროტესტი ქართველი ხალხის წინააღმდეგ გამოყენებული ძალმომრეობის გამო, საქ. მთავრობამ კვლავ გაიმეორა, რომ ნებისმიერ პირობებში და ყველგან ერთგული დარჩება თავისი მოვალეობისა, ესე იგი, დაიცავდა ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს,–თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

ზემოდ ჩამოთვლილი ფაქტები ნათლად ადასტურებენ :

1. არა შინაურმა მოძრაობამ, გამომდინარემ თუნდაც ხალხის უმცირესობისაგან, არამედ უხეშმა გარეშე ძალამ დაარღვია ხალხის მიერ თავისუფლად მიღებული დემოკრატიული კონსტიტუციური წესწყობილება და მის ნაცვლად შემოიღო საბჭოთა რუსეთიდან გადმოღებული ინსტიტუტი.
2. ქართველმა ხალხმა გმირული წინააღმდეგობა გაუწია მტერს და მან , თავისი მთავრობის ირგვლივ დარაზმულმა, თავისი მიწა-წყალი დათმო მხოლოდ იმის შემდეგ, როცა ამოწურა წინააღმდეგობის ყველა შესაძლებლობა.
3. საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა არის უცხო ჯარის მიერ ქვეყნის სამხედრო ოკუპაცია.

იძულებული, ბოლშევიკური ოკუპაციის გამო, დაეტოვო ეროვნული მიწა-წყალი, საქართველოს მთავრობა აგრძელებს დამფუძნებელი კრებიდან მიღებული მანდატის და იმ ვალდებულების შესრულებას, რომელიც მან ხალხის წინაშე იკისრა, იცავს რა ამ ხალხის ინტერესებს იმ სახელმწიფოების წინაშე, რომლებმაც იცნეს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

პარიზი. 1921 წლის აპრილი

(საქ. მთავრობის ეს წერილობითი მოხსენება ამოღებულია: *„DOCUMENTS relatifs a la question de la Georgie devant la Societe des Nations"*-დან. *Edition de la Legation de georgie en France. Paris 1925.*)

---

"რა ხელს ჰყრის პატივს ნაზი ბულბული,
გალიაშია დატყვევებული?
ესრეთ რას არგებს კაცსა დიდება,
თუ მოაკლდება თავისუფლება?"

ნიკოლოზ ბარათაშვილი

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მორიგი საკითხები - "აქვე და ახლავე"

## "ო ქ რ ო ს  შ უ ა ლ ე დ ი"

### ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის რესტავრაციის გამო

I.

"ოქროს შუალედს" ვუწოდებთ ჩვენ ჩვენს შენიშვნას, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის განახლების გამო, იმიტომ, რომ გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაციის გორბაჩოვისეულ პროცესშიც სიფრთხილე, დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ ყოველი ჯურის "ურა-ნაციონალიზმს" თუ "ურა-ინტერნაციონალიზმს" თავი ავარიდოთ.

II.

ნუ დავივიწყებთ, რომ ბოლშევიკები, სადაც ისინი გაბატონდენ, ე.წ-ლ "მემარცხენე პარტიად", ე.ი. მუშების და გლეხების პარტიად მ ხ ო ლ ო დ თავისთავს თვლიან, რის შედეგია ის, რომ - საქართველოს ფარგლებში რომ დავრჩეთ - ისეთი უძველესი და, ამავე დროს, თანამედროვე პარტია, როგორიც იყო და არის "მესამე დასი"=საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია, სხვა დემოკრატიულ პარტიებთან ერთად, აკრძალულია.

III.

ბოლშევიკების კიდევ ერთი "უცნაურობა": ისინი, როგორც ჩანს, მათი ბატონობის ქვეშ მოქცეულ ქვეყნებში უფრო "ითმენენ" "მემარჯვენე", ვიდრე "მემარცხენე" პარტიების განახლება-ჩამოყალიბების ცდებს, ვინაიდან მათ უფრო ადვილად შეუძლიათ "მემარჯვენეების" წინააღმდეგ ბრძოლა, ვიდრე იმ პარტიასთან, რომელიც სოციალიზმისა და დემოკრატიის შერწყმას ცდილობს ს ო ც ი ა ლ უ რ დემოკრატიაში.

IV.

რა თქმა უნდა, ძნელია აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა, რადგან, ამ-ჯერადაც, "ყველაფერი დინებაშია"; და თუ იმ ფაქტსაც მივიღებთ მხედველობაში, რომ ჩვენი ინფორმაციის წყაროები მეტად "მჭლეა", განსაკუთრებით ამ სტრიქონების დამწერისა, რომელსაც მხოლოდ პარიზში გამომავალი ჟურნალი "გუშაგი" და გაზეთი "კომუნისტი"(ისიც არა ყველა ნომერი) აქვს ხელთ, - მაშინ, გასაგებია, ჩვენს მსჯელობასაც "ამ-წუთიერი" ყალიბი უნდა მივცეთ, რითაც იმის თქმა მსურს, რომ, ამ-ჯერად, ვესალმებით საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, როგორც მის პროგრამაშია ნათქვამი, რესტავრაციას.

V.

"ეროვნულ დემოკრატიული პარტია - ნათქვამია იქვე - აგრძელებს იმ პოლიტიკურ ხაზს, რომელსაც ადგა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ამ საუკუნის პირველ მეოთხედში - იმ პერიოდის ყველაზე უფრო ეროვნული პოლიტიკური ძალა, და ამიტომ თვლის, რომ მოხდა არა ახალი პარტიის შექმნა, არამედ ძველის რესტავრაცია. რაც შეეხება რიგ განსხვავებებს საპროგრამო საკითხებში ძველსა და ახალ პარტიას შორის, - ეს შედეგია დროისა და ახალი პოლიტიკური მდგომარეობის. ჩვენ ვცნობთ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას ემიგრაციაში და ვთხოვთ ჩვენი მოქმედების კოორდინაციის შესაძლებლობის შესწავლას".

## VI.

თუმცა გაურკვევლობას **იწვევს** აღნიშნულ "ლ" მუხლის დებულებათა შედარება "ა" მუხლთან("ეროვნულ-დემოკრატიული პარტია წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების - IV დასი - მოწინავე რაზმს, საქართველოს ეროვნულ-პარტიოტულ ძალთა ყველაზე რადიკალურ პოლიტიკურ გაერთიანებას"), რომელმ ლაპარაკია "მეოთხე დასზე", იმ დროს, როცა ილია ჭავჭავაძე "პირველდასელთა" მამამთავრად იყო მიჩნეული დღემდე. მერმეთ: რას უნდა ნიშნავდეს "ა" მუხლში აღნიშნული "...ეროვნულ-პატრიოტულ ძალთა ყველაზე უფრო რადიკალური პოლიტიკური გაერთიანება?!.." მაგრამ ამ-ჯერად ესეც არ არის მთავარი. მთავარია ის, რომ პოლიტიკური პარტიების გარეშე შეუძლებელია დემოკრატიული სახელმწიფოებრივი წესყობილების შექმნა, როგორც ეს ჩვენ გავვაჩნდა 1918-1921 წლებში - საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში და ეს არის არსებითი.

## VII.

მაგრამ - "მემარჯვენე" "პირველდასელების" გვერდით - "მესამედასელები" რომ არსად მოსჩანს საბჭოთა საქართველოში?!.. ეს ფაქტი გაუგებრობას იწვევს და გასაკვირი, უცნაური, დაუჯერებელია, რომ ჩვენი მუშების, გლეხების, ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი - ნებსით თუ უნებლიეთ - გაერთიანებულია საქართველოს კომპარტიაში, რომლის წევრთა რაოდენობა სამას-ოცდაათი-ათას აღემატება; და ეს "სამას-ათასიანი-არმია" - გორბაჩოვისეული გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაციის პროცესში - მხოლოდ რუსთაველის საზოგადოების შექმნით კმაყოფილდება, რომელიც ბოლშევიკური დოგმებისაგან განთავისუფლების მეტად "მორცხ" ცდათ უნდა ჩაითვალოს?..

## VIII.

თუ აღნიშნულ ინფორმაციის წყაროებს დავეყრდნობით, როგორც სჩანს, ჩვენმა მშრომელებმა, განსაკუთრებით ახალგაზრდობამ - "მემარჯვენეობის" გვერდით "მემარცხენეობა" ვერ გამოავლინა, მიუხედავად იმისა, რომ "მესამე დასი" ე.ი.საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია იყო და არის ის ძირითადი ძალა, რომელმაც მოგვცა 1918 წლის 26 მაისი. და "მესამედასელთა" საბჭოთ საქართველოს პოლიტიკურ ასპარეზზე ღ ი ა, ლ ე გ ა ლ უ რ გამოსვლას იმიტომ ვანიჭებთ ჩვენ დიდსა და გადამწყვეტ მნიშვნელობას, რომ საქართველო პატარა ქვეყანა, ჩვენ პატარა ერის, პატარა ქვეყნის შვილები ვართ და ახლაც, 26 მაისის დიადი იდეების განხორციელებისათვის ბრძოლაში, არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი ერის ფ ი ზ ი კ უ რ ი გადარჩენის საკითხი, რაც იმას გულისხმობს, რომ - ჩვენი დიდი ისტორიული ტრადიციის შესაბამისად - თავი ავარიდოთ ყოველი ჯურის "ურა-ნაციონალიზმს" თუ "ურა-ინტერნაციონალიზმს", მით უმეტეს, რომ ჩვენი მეზობელი სომხები და აზერბაიჯანელები, საუბედუროთ, ვერც იცავდენ და ვერც დღეს იცავენ "ზომიერებას","ოქროს შუალედის" პოლიტიკურ ხაზს, და ტერიტორიალური "წაგლეჯა-წამოგლეჯის" თუ ეროვნული სიძულვილის ვაი-პოლიტიკა მოაქციეს მათი მოქმედების ცენტრში, რითაც დიდ ზიანს აყენებენ არა მარტო საკუთარი ერის,არამედ კავკასიის ყველა ერისა და ეროვნების თავისუფლების საერთო საქმესაც,ვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაიდან კავკასიის ერებისა და ეროვნებების მედიატორის, მომრიგებლის როლს - შეგნებულად თუ შეუგნებლად - მოსკოვს ანიჭებენ, თითქოს, ჩვენ, კავკასიის ერებსა და ეროვნებებს თვითონ არ შეგვეძლოს ჩვენი საჭირბოროტო საკითხების მშვიდობიანად, მოლაპარაკებებით მოგვარება.

IX.

ჩვენმა ხალხმა, ჩვენმა ერმა, რა თქმა უნდა, თვითონ ყველაზე უფრო უკეთესად იცის თუ რა გზას უნდა დაადგეს ისეთ რთულ მომენტში, როგორიცაა გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაციის გორბაჩოვისეული პროცესი; და - ვინ იცის!.. - "მესამედასხელები",ე.ი.საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია, შეიძლება, უფრო მეხაფერ მომენტს ეძებს, რომ - "მემარჯვენეების" გვერდით - ისინიც გამოვიდენ ღიათ, ლეგალურად ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ასპარეზზე, რომ პოზიცია-ოპოზიციის დემოკრატიულ ჭიდილში შეუძლებელი გახდეს "ოქროს შუალედის" პოლიტიკური ხაზის ყოველგვარი გამრუდების გამოვლინება?!.. ვითომ ამგვარი ლოგიკური პროცესი ისევ შეწყდება,რადგან მ.გორბაჩოვს(8.1.89) "მრავალპარტიული სისტემა"მიუღებლად მიაჩნია"სოციალისტური აზრთა-პლურალიზმის" პროცესშიც?!..

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1989 წლის იანვარი

## კიდევ ეროვნული მთავრობის არქივის შესახებ

ეროვნული მთავრობის არქივის შესახებ მრავალი ცნობა გამოვაქვეყნე: "ეროვნული მთავრობის არქივი"("მებრძოლი საქართველო",2-20,1987 წელი); "საარქივო კომისიის გამგის განცხადება"("მებრძოლი საქართველო",3-21, 1987 წელი); "განმარტება მთავრობის არქივის გამგისა"("მებრძოლი საქართველო", 5-23, 1988); ეროვნული არქივის საკითხსაც შევეხე აგრეთვე სხვა მრავალ სტატიაში(იხ."ჩვენი დროშა") თუ ცალკე ბროშურაშიც "ჩემი პასუხი". და თუ ახლა კიდევ ამ საკითხს ვეხებით, ეს გამოიწვია ჰარვარდის უნივერსიტეტში შენახული საქართველოს მთავრობის არქივის მიკროფილმების - ეროვნული მთავრობის საარქივო კომისიის გადაწყვეტილების გარეშე - გადაგზავნამ საქართველოში, რაც არის ყოვლად გაუმართლებელი მარცხი.

პოლიტიკური ემიგრაციის როლი,როდესაც ქვეყანა დაპყრობილია,რაც არ უნდა მეტევი დატოვოს, მაინც აუცილებლად გამართლებულია. მისი არსებობა დამპყრობელს ძილს უფრთხობს და უჩინრად მის არსებობას დამპყრობელი მაინც ანგარიშს უწევს. ემიგრაციის ავტორიტეტის დაცემისათვის კი მილიონებს ხარჯავს და ზოგჯერ კრიმინალურ დანაშაულებამდეც მიდის,მაგალითად, 1930 წელს, 7 დეკემბერს, სტალინის რეჟიმის მიერ მოსყიდული ტყვიით დაეცა ჩვენი სახელმწიფოს ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავჯდომარე ნოე რამიშვილი. ქართული პოლიტიკური ემიგრაცია,მიუხედავათ რამდენიმე მიმდინარეობად დაყოფისა, ჩვენი ქვეყნის დამპყრობელთათვის მაინც საფრთხობელას წარმოადგენდა,რადგან მან - შესძლო მთელი დასავლეთის დემოკრატიის ალაპარაკება, განსაკუთრებით მეორე ინტერნაციონალისა, ჩვენი ერის თავისუფლების პროპაგანდისათვის.

დამპყრობლები ყველაფერს აკეთებდენ, ხშირად ჯორიკანობასაც კი მიმართავდენ ემიგრაციის სახელის გასატეხათ, მაგრამ ჩვენი დიდი ადამიანების სწორი ნაბიჯების შედეგად, პოლიტიკური ემიგრაცია ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. დაიწყეს რა საქართველოს ეროვნული მთავრობის მიერ თითქოსდა სამუზეიმო ქონების გაცარცვის ბრალდებით, დაამთავრეს იმით, რომ თურმე ეს ქონება ჩვენმა მთავრობამ თითქოს გაყიდა. მაგრამ როგორც "სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს", ექვთიმე თაყაიშვილის განცხადების შემდეგ, იძულებული შეიქნენ აღიარებიათ, რომ ქონება არამც თუ მთლიანად დაუბრუნდა ჩვენს სამშობლოს, არამედ მას მიემატა სხვადასხვა ქვეყნებში გაბნეული ეროვნული განძეულობა, მათი შესყიდვის საშუალებით. მაგრამ რა ფასი გადაიხადა ამისათვის, მისი დარჩენილი სიცოცხლის ნაწილიდან, აკადემიკოსმა ექვთიმე თაყაიშვილმა?.. განა ვინმე ფიქრობს, რომ მისთვის ის მისია, რაც მან შეასრულა ადვილი გადასაწყვეტი იყო?.. ჯერჯერობით, ამის დრო არ არის, მაგრამ მან ამ საპასუხისმგებლო მისიის მიღებისათვის მთელი ღამეები თეთრად გაათენა და თავისი სიცოცხლე სასწორზედ დადო ეროვნული საქმის სიყვარულის გამო. ჯერ ყველაფრის თქმის დრო არ არის, მაგრამ ერთ დროს მიუდგომელი ისტორიკოსები ყველაფერ სიმართლეს მზის სინათლეზე გამოიტანენ, რადგან სინამდვილე სულ სხვა რამეს ღაღადებს. ყოველ შემთხვევაში ეროვნული მთავრობა და პოლიტიკური ემიგრაცია, მართალია ექვთიმე თაყაიშვილის თავგანწირვის შედეგად, მაგრამ მაინც გამარჯვებული გამოვიდა, რის შედეგად ეროვნული ქონება თავის პატრონს - ქართველ ხალხს ჩაბარდა პირნათლად და უკლებლივ.

ეროვნული მთავრობის არქივი, რომელიც ჩვენს ხელში არის, და რომლის ბატონ-პატრონნი ჩვენ ვართ - მთავრობისა და პოლიტიკური ემიგრაციის დახმარებით - დავალიანებული არ არის, ე.ი. არქივს არავითარი ვალი არ აქვს და ყოველგვარი საზრუნავი-სამუშევარი: გადარჩევა, კატალოგის შედგენა, კლასიფიკაცია და ზურგით გადატან-გადმოტანა, ჩვენს მიერ არის შესრულებული. ასე რომ, მის მითვისებაზედ და პა ტრონად გახდომაზედ არავინ გვედავება და არც არავის არავითარი პრეტენზია არ აქვს. ცხადია, მისი გადაცემა ჩვენს სამშობლოზე, საქართველოზე, უნდა მოხდეს, ეროვნული მთავრობის დადგენილების თანახმად, მოლაპარაკებით, როგორც თანასწორი თანასწორთან, ეროვნულის მთავრობის დავალების და მოცემული თოთხმეტი მუხლის ხელის მოწერისა და სხვადასხვა აქტების გაცვლა-გამოცვლის თანახმად.

ამიტომ შეუძლებელია, რომ გამართლებულ იქნეს ერთი ან ორი პირის მიერ, ამბიციებზედ დაყრდნობილი, ყოველგვარ ლოღიკას მოკლებული, პირად ინტერესებიდან გამომდინარე ეგრედ წოდებული რეაბილიტაციის საბაბით გაკეთებული უმსგავსო დანაშაულის ჩადენა, რაც გამოიხატება ეროვნული მთავრობის არქივის მიკროფილმების თვითნებურ გადაცემაში ყოველგვარი წინასწარი მოლაპარაკებებისა და პირობების გარეშე, რის გამოც ჩვენი არქივი გახდა ნამუს ახდილი. ამაში, რა თქმა უნდა, მთავრობის არქივის შემნახველი კომისიასაც მიუძღვის დანაშაული; მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ ურთიერთ ნდობაზედ აგებული ეროვნული წმინდა საქმე ყოვ ლად უწმინდური გამოვიდოდა, რადგან განა ვინმეს შეეძლო ეფიქრა, რომ არქივის ამერიკაში გაგზავნის აუ-

ცილებლობის გამო სახელდახელოდ შექმნილ არქივის თვალყურის მდევნებელი კომიტეტი, თავზედ ხელს აიღებდა, პიროვნული რეაბილიზაციის გამო თავს ყოვლის შემძლედ გამოაცხადებდა, ეროვნული მთავრობის მიერ შექმნილ კომისიას გვერდს აუვლიდა და გადაწყვეტილებებს თვითნებურად მიიღებდა?! ცხადია, რომ ვიღაცის რეაბილიტაციის(რომლის ცრაზახი ალბათ უკვე ბევრმა გაიგონა), ჩვენი წმინდა საქმე შეეწირა; რადგან დღეს რეაბილიტაცია რაღაც შაბლონი გახდა, ცხადია, რომ არც ერთ პატიოსან ქართველ პატრიოტს ჩვენი ერის წინაშე რეაბილიტაცია არ სჭირდება, და თუ დღეს რომელიმე ქართველისათვის რეაბილიტაციის ყიდვა აუცილებელია, ის არ შეიძლება ჩაითვალოს იმ ქართველთა რიგებში, რომლებიც იმისათვის იბრძვის, რომ ქართველ პატრიოტს სხვისი რეაბილიტაცია არ დასჭირდეს. როცა ზოგიერთები ცრაზახობენ, რომ "მან რეაბილიტაცია უკვე მიიღო", მაშინ ჩვენ სირცხვილის ოფლი "კბილებიდანაც კი გამოგვდის", რადგან მათ თავისი საზომი და თავისებური სასწორი აქვთ, რასაც ქართველ პატრიოტთან არავითარი კავშირი არ აქვს.

"უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაესიაო" - მოგვაგონებს ჩვენი ეროვნული მთავრობის არქივის ბედს, რადგან არქივის შემნახველი კომისია, - გულუბრყვილო, გაუმართლებელი ნდობის გამო, - დამშვიდდა, რომ შემნახველი კომისიის მიერ გამოყოფილი არქივის თვალყურის მდევნებელი კომიტეტი პირნათლად შეასრულებდა თავის მოვალეობას. მაგრამ მოხდა საწინააღმდეგო: კომიტეტის ზოგიერთმა წევრმა, მთავრობის საარქივო კომისიისა და მთავრობის მიერ შედგენილი სავალდებულო მუხლების ხელმოწერის გარეშე, არქივის მიკროფილმები გააგზავნეს საქართველოში, რაც ჩვენ გაზეთ "კომუნისტის" ფურცლებზე გამოქვეყნებული ცნობით გავიგეთ. ცხადია, ეროვნული მთავრობის არქივი ქართველი ერის საკუთრებას წარმოადგენს. ისიც ცხადია, რომ ის უნდა ჩაბარდეს მის ნამდვილ პატრონს საქართველოს. ამისათვის საჭიროა შესაფერი მომენტის შერჩევა, რომ არქივი მთლიანად თავის ადგილზე მივიდეს, რაზედაც ეროვნული მთავრობა ყოველთვის მიგვითითებდა და ამ მხრივ კიდეც დაგვიტოვეს გარკვეული და საჭირო მითითებებიც, რომლებიც, შეიძლება ითქვას, არის მათი ანდერძიც, და რომელთა თანახმად, როცა სათანადო პირობები შეიქმნება, არქივი გადაცემული უნდა იქნეს ან თბილისის უნივერსიტეტისათვის, ანდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისათვის, რა თქმა უნდა, სათანადო პირობების ხელმოწერისა და ვალდებულების აღების შემდეგ.

ამიტომ ჩვენი მოვალეობა არის ეროვნული მთავრობის გადაწყვეტილება მთავრობის არქივის შესახებ პატიოსნად და პირნათლად სისრულეში მოვიყვანოთ. 1921 წლიდან, არქივს ეროვნული მთავრობა გამგებლობდა ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილის, აკაკი ჩხენკელის, ევგენი გეგეჭკორისა და კონსტანტინე კანდელაკის შემადგენლობით. მაგრამ საფრანგეთის ნაციონალურ არქივში წყლის ჩასვლის შემდეგ, სადაც ჩვენი არქივიც ინახებოდა,-არქივი ლევილში ჩამოტანეს და მთავრობამ აირჩია არქივის შემნახველი კომისია: კ.კანდელაკი, აკ.ჩხენკელი, გ.ერაძე, ჭ.ასათიანი და ნ.ცინცაძე. თავჯდომარედ კი არჩეულ იქნა გიორგი ერაძე. ეს სია თან გაყვა არქივს, როცა წყლისაგან დასველებული არქივი იქნა გამშრალი, გაწმენდილი და გადარჩეული და გაგზავნილი

უკან საფრანგეთის ეროვნულ არქივში შესანახად, 1958 წლის 22 მარტს, სათანადო სავალდებულო მუხლებით. აღნიშნულ სიაში ცვლილება არ მომხდარა და იმისა, რომ ჰ.ახათიანმა, ავადმყოფობის გამო, მისი უფლება სპეციალური მანდატით - მე გადმომცა; მე ვმუშაობდი არქივში როგორც აქივის გადამრჩევი და კათალოგის შემდგენი, ჯერ, გიორგი ერაძესთან ერთად და შემდეგ სრულიად მარტო. ასე გაგრძელდა 1969 წლამდე.

1969 წლის 22 ოქტომბერს, გ.ერაძის თავჯდომარეობით, მოწვეულ იქნა არქივის შემნახველი კომისიის საგანგებო კრება, რომელზედაც, ერთხმად, ა.კ. ჩხენკელის შემცვლელად არჩეულ იქნა ლევან ფაღავა; მე კი დამტოვეს ჰ. ახათიანის შემცვლელად და შემიყვანეს აგრეთვე შემნახველი კომისიის წევრად ვაჟიკო ჩუბინიძესა და კრიშა ლომაძესთან ერთად.

1969 წლის 22 ოქტომბერს, გიორგი ერაძის ინიციატივით, მოხდა შემნახველი კომისიის მოდიფიკაცია შემდეგი შემადგენლობით: გ.ერაძე, ნ.ცინცაძე, ჰ.ახათიანი, რომლის მანდატერი მე დავრჩი, ლ.ფაღავა, პ.სარჯველაძე, ვ.ჩუბინიძე, მ.ბერიშვილი. ეს იყო საბოლოო და უკანასკნელი სია, რომელიც იქნა გაზავნილი, გიორგი ერაძის ხელმოწერით, საფრანგეთის ეროვნულ არქივში. 1969 წლის 9 დეკემბრის კრებაზე კი საარქივო კომისიამ მიიღო

დადგენილება, რომელშიც ნათქვამია, რომ "როგორც საქმისათვის საჭირო და ქართული საქმისათვის ერთგული პიროვნება ბატონი კ.ინასარიძე დღეიდან, კოოპტაციის წესით, შეყვანილ იქნას საარქივო კომისიაში შემნახველი კომისიის გაძლიერების მიზნით და ჩაითვალოს არქივის შემნახველი კომისიის სრულუფლებიან წევრად." ეს იყო და ეს. და ახლა პირები, რომლებიც მხოლოდ ჰარვარდის უნივერსიტეტში შენახული მთავრობის არქივის მეთვალყურე კომიტეტის წევრებია, და არასოდეს მთავრობის არქივის შემნახველი კომისიის წევრები არ ყოფილან, ერთმა "თავჯდომარედ" გამოაცხადა თავი, მეორე - მის მოადგილედ დანიშნა, და, ალბათ, საუბედუროთ, მომხრეებიც იშოვეს და ეროვნული მთავრობის არქივის მიკროფილმები საქართველოში გააგზავნეს და, როგორც ხნა ეროვნული მთავრობის არქივის დაპატრონებასაც კი ლამობენ. და ეს მოხდა იმ დროს, როცა მთავრობის არქივის შემნახველი კომისიის დამფუძნებელ დოკუმენტში, ბოლოს, ნათქვამია შემდეგი: "იმ შემთხვევაში, თუ არქივის შემნახველი კომისიის ზემოთ ჩამოთვლილი წევრებიდან ერთი ან ორი გარდაიცვალა, მათი შეცვლა უნდა მოხდეს დარჩენილი წევრების უმრავლესობის დადგენილებითო".

ქართული პოლიტიკური ემიგრაცია ღირსია, განსაკუთრებით სხვადასხვა მიმართულებისა, - გაიგოს ვის მიერ, რომელ კრებაზედ, რა რიცხვში, მთავრობის არქივის შემნახველი კომისიის უმრავლესობის მიერ -"იქნა არჩეული მთავრობის არქივის შემნახველი კომისიის ახალი თავჯდომარე და მისი მოადგილე და სხვა ახალი წევრები"; ან ვინ ესწრებოდა "ამ უზენაეს უფლებებით მოსილ კრებას"; ან სად ინახება ამ კრების ოქმი? ანდა რა უფლებით იქნა "გადაყენებული" მთავრობის მიერ არჩეული ნამდვილი კომისია, რომელიც წლების განმავლობაში არქივს პირნათლად პატრონობდა? ნუთუ ყველაფერი ამის გაგება საჭირო არ არის, როცა ყოვლად მიუღებელი ბნელი საქმეები ჩვენ ზურგის უკან კეთდება "რეაბილიტაციის" იარლიყით ეროვნული საქმის საზიანოთ! ერთი ცხადია, რაც მოხდა, ეს რომ ვინმეს ჩვენთაგანს გაეკეთებია

"ჯვარზე გვაცვამდენ", მაგრამ ზოგიერთ "რჩეულთათვის" დღეს ყველას წყლით აქვს პირი გავსებული, რაც არამც თუ სავალალოა, არამედ სატირალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი დასკვნა ერთია: საქმე,ალბათ, უფრო რთულია და თუ ახლავე სათანადო დასკვნები არ გამოვიტანეთ და ზომები თავის დროზე არ მივიღეთ, შეიძლება სიჩუმემ მიგვიყვანოს იმ უფსკრულთან, საიდანაც გადარჩენას ვერ ავშორდებით და ჩვენი უმოქმედობით მარტო ფეხი კი არა, შეიძლება კისერიც მოვიტეხოთ, შეიძლება, სხვა უფრო დიდ პრინციპულ საკითხში.

ჩვენ უნდა უარვყოთ პიროვნულ გამოსვლების ნიადაგზე გაკეთებული ეროვნული საქმის გამრუდება, და უნდა დავდგეთ იმ გზაზე, რაც მთავრობამ დაგვავალა, სადაც ნათქვამია, რომ არქივი საქართველოს უნდა დაუბრუნდეს, რადგან ის მის საკუთრებას წარმოადგენს. მაგრამ სათანადო პირობის,ხელშეკრულების გარანტიით, რომ არ მოხდეს ერთიმეორეს ისეთი დაპირისპირება,რაც მოხდა სამუზეუმო ქონების გადაცემის დროს. არქივის გადაცემა მხოლოდ მთავრობის მიერ შექმნილი და დატოვებული საარქივო კომისიის უფლება-მოვალეობას წარმოადგენს და არა ჰარვარდის უნივერსიტეტში ჩვენი არქივის თვალყურის-მდევნებელი კომიტეტისა, რომელმაც არ იცის როგორ, რა გზით, როდის უნდა მოხდეს გადაცემა. არქივის მიკროფილმების მალულად, არალეგალურად აქედან წაღები, არ შეიძლება ჩაითვალოს "უდანაშაულო კრავად", რადგან

მან აუცილებლად აქაური მდგომარეობა უფრო კარგად იცოდა, ვიდრე ზოგიერთებს ჰგონია. სხვა რომ არ იყოს, მას ემიგრაციაში გამომავალი ჟურნალ-გაზეთების წაკითხვის საშუალება აქვს, და,შეიძლება, ვალდებულიც არის წაიკითხოს. ემიგრაციაში გამომავალ ჟურნალ-გაზეთებში კი არქივის შესახებ რამდენიმე სტატია არის დაბეჭდილი.მაშ,რამ აიძულა ის?..არ დაინტერესდა სიმართლე გაეგო და "ძმაბიჭურად" ჩაწყობილი საქმეების "კონტრაბანდისტი" გახდა!?

მამია ბერიშვილი
ლევილი, 1989 წლის იანვარი

## "საბჭოთა ფედერაციის შემდგომი განვითარება?.."

## ჯუმბერ პატიაშვილი და ეროვნული საკითხი

### I.

"ჯუმბერ პატიაშვილი და ეროვნული საკითხი" - ასეთი კითხვა დამებადა,როცა გავეცანი საბჭოთა კავშირის კომპარტიის XIX კონფერენციის რეზოლუციას ეროვნებათაშორისო უნთიერთობის შესახებ("კომუნისტი",5.7.1988) და ჯუმბერ პატიაშვილის, საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივნის მოხსენებას საქართველოს კომპარტიის ცეკას პლენუმზე, 1988 წლის 3 სექტემბერს.

### II.

საბჭოთა კავშირის კომპარტიის XIX კონფერენციამ(ივლისი,1988 წ.) მიიღო სულ ხუთი რეზოლუცია:"საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიზაციისა და პოლიტიკური სისტემის რეფორმის შესახებ"; "ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შესახებ"; "ეროვნებათაშორისო ურთიერთობის შესახებ"; "საჯაროობის შესახებ"; და"სა-

მართლებრივი რეფორმის შესახებ"; რომელთაგან, გასაგებია, ჩვენ წინაშეან ზე "ეროვნებათაშორისო ურთიერთობას" ვაყენებთ. მაგრამ, სამწუხაროთ, უნდა ავღნიშნოთ, რომ აღნიშნული რეზოლუციები უფრო ზ ო გ ა დ ი რეცორიკით კმაყოფილდება, ვიდრე კ ო ნ კ რ ე ც უ ლ ი ღონისძიებების დასახვით, რითაც განსაკუთრებით გამოირჩევა რეზოლუცია "ეროვნებათაშორისო ურთიერთობის შესახებ".

III.

საბჭოთა კავშირი თურმე გამოსახავს "...თანასწორუფლებიანი სალხების მრავალეროვანი ოჯახის რევოლუციურ ნებასა და მისწრაფებებს"; "ეროვნული პოლიციკის ლენინური ნორმები...შეუთავსებელია ყველა ჯურის მოვინიზმთა და ნაციონალიზმთან"; "...უნდა განხორციელდეს საბჭოთა ფედერაციის შემდ გომი განვითარება"; "...ყველა პირობა უნდა შევქმნათ იმისათვის, რომ ეროვნულ-რუსული ორ-ენოვნება ვითარდებოდეს ჰარმონიულად"; "...ეროვნული განსაკუთრებულობის ყოვჲლგვარი პრეცენზიები შეუწყნარებელია"; "...საქ მე უნდა წარვმართოთ ისეთი საზოგადოებრივი აცმოსფეროს შექმნისათვის, რო მლის დროსაც ყოველი ეროვნების კაცი თავს შინ უნდა გრძნობდეს ჩვენი სო ციალისცური სამშობლოს ნებისმიერ ნაწილში".(ხაზი ჩემია.კ.ი.); და ყვე ლა აღნიშნულის შესაბამისად, ნათქვამია შემდეგ ამ რეზოლუციაში, "კონფე რენცია მხარს უჭერს...გაიმართოს ცეკას პლენუმი ეროვნული ურთიერთობის საკითხზე".

IV.

და რა თქვა ეროვნული საკითხის შესახებ ჟუმბერ პაციაშვილმა საქართველო კომპარციის ცეკას XI პლენუმზე, 1988 წლის 3 სექცემბერს? - საქართველო კომპარციის ცეკას პირველმა მდივანმაც "ზოგადი" ლაპარაკი ამჯობინა"კონ კრეცულ" ფაქცებს: იგი შეეხო, მაგალითად, "საკავშირო გამოცემების ზოგი ერთ პუბლიკაციებს, რომლებშიც თავს იჩენს მოვლენებისა და ფაქცების მი- კერძოებული ანალიზი"; და აყენებს კითხვას:"რაცომ არის, რომ ზოგ-ზოგებ ცდილობენ ნაციონალიზმს მიაწერონ, ვთქვათ, რესპუბლიკის საზოგადოებრიობ სავსებით ბუნებრივი შეშფოთება კავკასიის საუღელცეხილო რკინიგზის მშენ ბლობის ეკოლოგიური, კულცურული, სოციალური შედეგების გამო?" - და განა რძო: "ჩვენ გვაფიქრებს ცდები გააგივონ წარსული წლების უკანონო რეპრეს ები სალხის ეროვნულ ხასიათთან". "...რესპუბლიკაში რეპრესიების წლებში უდანაშაულოდ დაზარებულთა ძეგლის დადგმის შესახებ გადაწყვეცილებათა ფარ თო მხარდაჭერა ჩვენი საზოგადოების მიერ...სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენი ისცორიის 'თეთრი ლაქები' უნდა გადავღებოთ შავი საღებავით".

ან კიდევ: "...გამოცემა, რომელსაც მრავალმილიონიანი აუდიცორია ჰყავს, ვითომდა უნებლიედ წამოისვრის ფრაზას 'გულისგამაწყალებელი ქართული მრა- ვალსმიანობის' შესახებ.ანდა უცბად ისე კადნიერდება, რომ წერს რაღაც 'სპორცული ბოცანიკის' შესახებ, და სამხრეთის ფეხბურთელთა გუნდების წარ მაცებებს უკავშირებს ციცრუსის შემოსვლის პერიოდს. მთლად გაუგებარია ზო გიერთი გამოცემის პოზიცია, დიდის სალ ისით რომ აუცაციათ აშკარად პროვო- კაციული ხასიათის პოლიციკური ანეგდოცები. განა აშკარა არ არის, რომ ასეთი გამოსცომები შეურაცმყოფელია...?.."

ეროვნული ბიბლიოთეკა

V.

აღნიშნული და სხვა მრავალი "ზოგადი ფაქტები", რომელზედაც ჯუმბერ პატიაშვილმა ილაპარაკა საბჭოთა კავშირში ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით, უთუოთ, მნიშვნელოვანია, მაგრამ არა ა რ ს ე ბ ი თ ი: ყველაფერი ეს "წვრილმანი" საკითხები არ არის, როცა ჩვენ ქართველი ხალხის ეროვნულ საკითხზე, როგორც ასეთზე, ვლაპარაკობთ?.. ვითომ საკავშირო პრესის ორგანოების აღნიშნული და სხვა მრავალი ანალოგიური "გამოხტომები" საბჭოთა კავშირში ეროვნული საკითხის მოუგვარებლობის მ ი ზ ე ზ ა თ კი არა შ ე დ ე გ ა დ არ უნდა მივიჩნიოთ?..

VI.

და თუ ეს ასეა,- და ასეა ეს,უდავოთ, - მაშინ რა არის საბჭოთა კავშირში ეროვნული საკითხის მოუგვარებლობის მთავარი, არსებითი, ნამდვილი მიზეზი? - - მიზეზი, ნამდვილი მიზეზი საბჭოთა კავშირში ეროვნული საკითხის მოუგვარებლობისა იყო და არის, აწ უკვე ოთხასწლოვანი, რუსული დიდმპყრობელურ-იმპერიული პოლიტიკა, რომლის შედეგად რუსეთი - დაწყებული ივანე მრისხანეს იმპერიული პოლიტიკიდან გათავებული სტალინის იმპერიულ პოლიტიკამდე - უზარმაზარ რუსულ იმპერიად იქნა დაწყებული ვლადივოსტოკიდან("დაიპყარი აღმოსავლეთი") გათავებული, ამ-ჯერად, ბერლინამდე. და რა გასაკვირია, რომ ამ უზარმაზარ ხელოვნურად შეკოწიწებულ რუსულ იმპერიაში შეუძლებელია ეროვნული საკითხის მოგვარება!.. და ამ დიდმპყრობელურ-იმპერიული პოლიტიკის შედეგია ის,რომ ეს უზარმაზარი, ხელოვნურად შეგოჯიჯებული შენობა - საბჭოთა კავშირი სატალიტებითურთ - არა მარტო ეკონომიკურად შერყეულია, არამედ დ ა შ ლ ი ს პროცესშია. მაგრამ - იმის მაგივრად რომ ეს უსაძირკვლო შენობა დანგრეული და ახალი შენობა იქნეს აგებული, - პარტიული ხელმძღვანელობა, ამჯერად მიხეილ გორბაჩოვის მეთაურობით, - მის "შეკეთებას","შერემონტებას" ცდილობს, რომ ეს უზარმაზარი რუსული იმპერია არ დაინგრეს.

VII.

და რუსეთის ამ უშველებელი იმპერიის შენარჩუნების საკითხში ყ ვ ე ლ ა რ უ ს ი, არის ის ბოლშევიკი, მენშევიკი, მონარქისტი თუ ლიბერალი, თვით რუსი ინტელიგენცია-ხელოვანებით ჩათვლით, - თუ თითო-ოროლა"გამონაკლის"არ მივიღებთ მხედველობაში - ე რ თ ი ა ზ რ ი ს ა რ ი ს: როგორმე შენარჩუნებულ იქნას რუსეთის დღემდე არ ნახული უშველებელი იმპერია. და განა იმპერიის პირობებში შესაძლებელია,საერთოდ, ეროვნული საკითხის მოგვარება?.. თუ ისევ ჯუმბერ პატიაშვილის სიტყვებს მოვიყვანთ, მაშინ ნათელი ხდება, რომ ეროვნული საკითხი საბჭოთა კავშირში კიდევ უფრო მწვავდება, რის ერთერთ ფაქტს თვით ჯუმბერ პატიაშვილი მოგვითხრობს:

"...რაოდენ დაუფარავად მოქმედებს ლენინგრადში წმინდა წყლის შავრაზმული გაერთიანება, თავის თავს რუსეთის ეროვნულ-პატრიოტულ ფრონტს 'პამიატს' რომ უწოდებს და ეწევა ეროვნული შუღლის აღვირახსნილ პროპაგანდას, ხოლო მოსკოვში სტიქიურ თავყრილობებს აწყობს ეგრეთ წოდებული დემოკრატიული კავშირი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

VIII.

რა თქმა უნდა, დიდმპყრობელური-შოვინიზმი, ხადაც არ უნდა აღმოცენდეს იგი, - დასაგმობია. მაგრამ - მეორე მხრივ - რუსული "წმინდა წყლის შავრაზმული" გაერთიანება უნდა დაგმოს, პირველრიგში, თვით რუსებმა და იგივ რუსეთის ე თ ნ ო გ რ ა ფ ი უ ლ საზღვრებში; რითაც იმის თქმა მსურს, რომ საქართველო, ქართველი ერი რატომ უნდა იყოს რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი "განაპირა" შემადგენელი ნაწილი, რომლის ბედი - ეროვნული საკითხის ჩათვლით - დამოკიდებული უნდა იყოს რუსეთის "წმინდა წყლის შავრაზმულ" თუ ბოლშევიკების ეროვნულ პოლიტიკასთან?!..

IX.

და თუ საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცეკას მომავალი პლენუმი "ეროვნული ურთიერთობის საკითხებს" და "საბჭოთა ფედერაციის შემდგომ განვითარებას" უნდა მიეძღვნეს, მაშინ ჯუმბერ პატიაშვილმა, როგორც საქართველოს "პირველმა" ხელმძღვანელმა, - არ უნდა წამოაყენოს საკითხი თუ როგორ უნდა გან-თავისუფლდეს საქართველო, ქართველი ერი "წმინდა წყლის შავრაზმული" თუ მოსკოვის პარტიული ხელმძღვანელობის დიდმპყრობელურ-იმპერიული პოლიტიკისაგან არა მარტო ეროვნულ საკითხში?..

X.

"საბჭოთა ფედერაციის შემდგომი განვითარება" სხვა რას უნდა ნიშნავდეს თუ არა საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების დღევანდელი სახელმწი-ფოებრივი სტატუსის გაფართოებას?.. და თუ ეს ასეა, მაშინ როგორი წინადა-დების წამოყენება შეიძლება ამ მიმართულებით?..

XI.

ერთერთი ახეთი წინადადება შეიძლება იყოს საბჭოთა ფედერაციის "გარდაქმ-ნა" კ ო ნ ფ ე დ ე რ ა ც ი ა დ. რას ნიშნავს ეს? - ეს ნიშნავს იმას, რომ ყველა მოკავშირე რესპუბლიკა, და ამით საქართველოც, - ჯერ - უნდა გა-ხდეს დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო და როგორც ასეთი გამოვი-დეს საერთაშორისო არენაზე, ე.ი. გახდეს საერთაშორისო სამართლის სუბიე-ქტი; და - შემდეგ - შეუძლია მას კონ-ფედერაციულ ბაზაზე დაუკავშირდეს სხვებს, რომლის დროს-კონფედერაციული სახელმწიფოს სახელწოდება იხევ დარჩება "საბჭოთა კავშირი" და მოინახება სხვა სახელწოდება - არსებითი არ არის; არსებითია, რომ კონფედერაციაში გაერთიანებული ყოველი რესპუბ-ლიკა დარჩება დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოები, რომლებიც, ვთქვათ, თავდაცვის, სახალხო მეურნეობის თუ საერთაშორისო ურთიერთობის ზო-გიერთ საკითხებში ითანამშრომლებენ საკუთარი სახელმწიფოს ინტერესების შე-საბამისად.

X.

კონფედერაციის პირობებში კი საქართველო, როგორც სახელმწიფო, უთუოთ, გა-ხდება ისეთი ქვეყანა, როგორიცაა უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია თუ ბულგარეთი, რომლებიც,მართალია, კომუნისტური ქვეყნებია,-მოსკოვის "არა-პირდაპირი" ბატონობის ქვეშ, - მაგრამ მაინც საერთაშორისო სამართლის სუბიექტებია

ეროვნული ბიბლიოთეკა

და - ეროვნული საკითხის ხფეროში რომ დავრჩეთ - არც გარუხებს, ე.ი. ახიმილიაციის თუ ეროვნული ჩაგვრის უშუალო საშიშროების ქვეშ იმყოფებიან.

XI.

ამგვარად, მ ი ზ ე ზ ი, ნამდვილი მიზეზი ეროვნული საკითხის მოუგვარებლობისა საბჭოთა კავშირში რუსული დიდმპყრობელურ-იმპერიული პოლიტიკაა; და თუ გორბაჩოვსა და მის მომხრეებს სურთ ეროვნული საკითხის მოგვარება, ეს შესაძლებელია "საბჭოთა ფედერაციის შემდგომი განვითარების", ე.ი. მოკავშირე რესპუბლიკების დამოუკიდებლობისა და სუვერენობის აღიარების გზით.

XII.

და ამგვარი წინადადების წამოყენება საბჭოთა კავშირის კომპარტიის მომავალ პლენუმზე სწორედ ჯუმბერ პატიაშვილის, საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივნის, მოვალეობა არ არის თუ მართლა "გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაციასთან" გვაქვს საქმე, რასაც უნდა მოყვე ს "საბჭოთა ფედერაციის შემდგომი განვითარება?.."

XIII.

მაგრამ უბედურება ის არის, რომ მიხეილ გორბაჩოვი, როგორც ჩანს, "გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაციაში" მხოლოდ საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ გამოჯანსაღებას გულისხმობს და არა რესპუბლიკების უფლებების გაფართოებას, რაც დადასტურდა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში შესწორებების შეტანის ცდებით საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე 1988 წლის ნოემბრის 30-ს. მიხეილ გორბაჩოვმა შეეცადა გაეუქმებინა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის ის მუხლი, რომლის თანახმად ყოველ მოკავშირე რესპუბლიკას იურიდიულად უფლება აქვს გამოვიდეს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან. მართალია, გორბაჩოვი იძულებული გახდა, პროტესტების შედეგად ესტონეთ-ლიტვა-ლატვია-საქართველოში, ეს საკითხი გადაედვა და განხილულ იქნება საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცეკას მომავალ პლენუმზე, რომელიც მიეძღვნება ეროვნულ საკითხს, -მაგრამ ამ ფაქტით ხომ ნათელი ხდება გორბაჩოვის მისწრაფება "სტალინური კონსტიტუციის" აღნიშნული დებულების გაუქმებისაკენ, რითაც იგი, ეროვნულ საკითხში, უფრო მეტი ცენტრალიზმის მომხრეა, ვიდრე თვით სტალინი იყო?..ესაა "საბჭოთა ფედერაციის შემდგომი განვითარება?.."

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1988 წლის დეკემბერი

---

მეგობრობის ალტერნატივა არ არსებობს

ივანე ჯავახიშვილის ერთი წერილის გამო ("ლიტერატურული საქართველო", 1988 წლის 23 სექტემბერი)

I.

კავკასიის ერებსა და ეროვნებებს შორის მეგობრობის ალტერნატივა არ არსებობს, ვინაიდან ჩვენ ყველა ერთ ნავში ვზივართ, და თუ რომელიმე ჩვენგანი - შეგნებულად თუ შეუგნებლად - შეეცდება ჩვენს შორის უნდობლობის, მტრობის, კიდევ მეტი, სიძულვილის დათესვას, - მაშინ ეს ნავის ჩაძირვის საშიშროებას ქმნის, ნავისა, რომელშიც ჩვენ ყველა ერთად ვზივართ. ამგვარი აზრი დაბადა ჩემშიმთი-

ან ყარაბაღში მომხდარმა ამბებმა, რასაც ქალაქ სუმგაითში ექსცესების გამოწვია; და ამგვარ დაძაბულ ურთიერთობას სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის სამწუხაროთ, ბოლო არ უჩანს, თუმცა მოსკოვმა მთიან ყარაბაღში"მიავლინა" საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათაშორისო ურთიერთობის საკითხთა კომისია, რომელსაც მეთაურობს ეროვნებათა საბჭოს თავჯდომარე ა.ე.ვოსი.

II.

მაგრამ მთიანი ყარაბაღი, რა თქმა უნდა, ერთადერთი რეგიონი არ არის მთელს კავკასიაში, რომელიც "იმკის იმას, რაც დათესეს" კავკასიაში ყოველი ჯურის დამპყრობლებმა, განსაკუთრებით თურქებმა,სპარსელებმა და რუსებმა. ამ სამი "დიდი სახელმწიფოს" იმპერიული ზრახვები ყოველთვის იყო და დღესაც არის კავკასიის ერებისა და ეროვნებების ერთმანეთში ისე არევა და მათში რუსული,თურქული თუ სპარსული მოსახლეობის ჩასახლება, რომ - საბოლოო ჯამში - მოხდეს კავკასიის ერებისა და ეროვნებების ასიმილაცია; და ვინაიდან - ერთი მხრივ - აზერბაიჯანელი ერის ერთი ნაწილი თურქეთისაკენ, ხოლო - მეორე მხრივ - სომეხი ერის ერთი ნაწილი რუსეთისაკენ "იხედება", ამით - ისედაც გართულებული მდგომარეობა - კიდევ უფრო რთულდება. და თუ ამასთანავე ავღნიშნავთ იმასაც, რომ კავკასიის ერებისა და ეროვნებების ერთმა ნაწილმა, როგორც სჩანს, რწმენა კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობისა და სუვერენობისა,როგორც ეს იყო 1918-1921 წლებში, - დაკარგა, და "ძლიერი მფარველის" ძებნაშია, მაშინ უფრო ნათელი ხდება თვით ჩვენი, კავკასიელების,ე.ი.ქართველების,სომხების, აზერბაიჯანელების ჩრდილოეთ კავკასიების - "ისტორიული დანაშაული" ჩვენი ერებისა და ეროვნებების და ამით მთელი კავკასიის მიმართ.

III.

ხელთ მაქვს, მაგალითად, 1988 წლის 23 სექტემბრის გაზეთი "ლიტერატურული საქართველო", რომელშიც გამოქვეყნებულია წერილი ივანე ჯავახიშვილის არქივიდან, რომელიც მას გაუგზავნია საქართველოს მთავრობისათვის 1930-იან წლებში. ამ წერილში, წერს ბონდო არველაძე, - "...მისთვის დამახასიათებელი მეცნიერული საბუთიანობით წარმოდგენილია ქართულ მიწა-წყალზე სხვადასხვა ეროვნების ხალხთა ჩამოსახლების ისტორია. ეს ისტორია მოიცავს XIX საუკუნეს და მასში ნათლადაა ნაჩვენები მკვიდრი მოსახლეობის ეთნიური შემადგენლობის ხელოვნური აჭრელების სურათი ამ პერიოდის საქართველოში. ეს მასალა ფართო საზოგადოებისათვის უცნობია და დღეს პირველად ქვეყნდება".

IV.

ივანე ჯავახიშვილის ეს წერილი, ჩემი აზრით, უნდა წაიკითხოს არა მარტო ყოველმა ქართველმა, არამედ ყოველმა კავკასიელმა, განსაკუთრებით კი ყოველმა სომეხმა, რომ ჩვენ "ჩვენს გულში" ჩავიხედოთ და ჩვენი დანაშაული დავინახოთ თუ როგორ, რა გზით ჩვენი ერებისა და ეროვნებების შვილებიც ჩვენი მოსახლეობის ეთნოლოგიურ აჭრელებას უწყობდა ხელს, და ამით იდგენ(და დგანან?) უცხო დამპყრობლების სამსახურში. მაგრამ მოვიყვანოთ რამდენიმე ადგილი ივანე ჯავახიშვილის აღნიშნულ წერილიდან:

V.

ჯერ შევჩერდეთ სომხეთის "ფანტასტიური რუკის" რაობაზე, რომელიც - როგორც ივანე ჯავახიშვილი წერს - "მავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე გადაჭიმული და სამხ

ის ოდნავ აღმოსავლეთით შავ ზღვაზე მდებარე ადგილიდან ხმელთაშუა ზღვამდე აღწევს...ბათუმი, ახალციხე, თვით ცფილისიც კი ამ რუკაზე სომხეთშია მოქცეული და საქართველოს პაცარა, ვიწრო ზოლი-ღა აქვს მიკუთვნილი". ამგვარი "ისტორიული რუკა" დაბეჭდილა 1918 წელს სცამბოლში; და,წარმოიდგინეთ, დამოუკიდებელი სომხეთის მთავრობას(1918-1920 წლები), ამგვარი "ფანცასციური რუკა" დასამცკიცებლად წარუდგინა პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულ მოკავშირეთა მსოფლიო კონფერენციას, რის წინააღმდეგ თურქეთის დელეგაციას დიდი ბრძოლა არ დასჭირვებია, რადგან მან სცაცისციკური ცნობებით დაამცკიცა, რომ ამ უზარმაზარ სახელმწიფოში ერთ კვადრაცულ კილომეცრზე სომხებს ორ-სამ სულზე მეცი მოსახლე არ ეყოლებოდა.

VI.

საცისოვები - იყვნენ რა რუსეთის მეფის მოადგილის სანდო პირნი კავკასიაში - საქართველოში ქართული მოსახლეობის ადგილმამულზე სომხებისა და ბერძნების ჩასახლების ინიციაცორები და განმხორციელებენი ყოფილან, რა თქმა უნდა, რუსეთის მეფის მოადგილის წყალობით, ვინაიდან რუსეთი ქართველებს "არასაიმედო"ხალხად, ხოლო სომხებს "საიმედოთ" მიიჩნევდა. "უკვე 1828 წლიდან მოყოლებული - წერს ივანე ჯავახიშვილი -, როდესაც ქართველ მაჰმადიანებით დასახლებული სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი და პალაკაციო რუსეთმა ოსმალეთს წაართვა და მცხოვრებნი ისეთ სულიერ განწყობილებაში ჩააგდო, რომ ქართველ-მაჰმადიანებმა თავიანთი მამა-პაპისეული სამოსახლოთგან აყრა და ოსმალეთში გადასახლება ირჩიეს, გრაფმა პასკევიჩმა ქართველებს ლისთიმერეთიდგან იქ გადასახლების ნება არ მისცა და მათ მაგიერ ოსმალეთთაგან გამოდსახლებულ სომხთაგან 3000 მცხოვრები ჩაასახლა. ამ ხელოვნური საშუალებით მესხეთში, სადაც უკვე 1828 წლამდე ქართველთა მოსახლეობა 90 პროცენცს აღემაცებოდა, 1832 წელს უკვე, რუს მოხელეთა წყალობით, უმრავლესობით სომეხნი იქცნენ".

VII.

მე-19 საუკუნის სამოციან წლებში, სომეხმა მოღვაწემ კანანოვმა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროების საკოლონიზაციოთ ოსმალეთიდგან ბეითუნის სომხების გადმოსახლების პროექცი წამოაყენა, რასაც მ.კაცკოვმა, 1864 წელს, მხარი დაუჭირა:"სომხები ჩვენი ერთგული მომხრენიც იქნებიან და ვითარცა ვაჭარი ხალხი თან ფულსაც მოგვიცანენო".

VIII.

მაგრამ ძვირად დაუჯდათ თვით სომეხ ხალხს მათი თითო-ოროლა ამგვარი პოლიციკოსის რუსეთზე უპირობო დანდობა: პირველი მსოფლიო ომის დროს, - წერს ივანე ჯავახიშვილი - "...რუსეთის მთავრობამ ოსმალეთში სამხედრო მოქმედების გასაადვილებლად დაშნაკელებს ოსმალეთის სომხების აჯანყება ურჩია და თანაც ოსმალეთის სომხეთის განთავისუფლებას და რუსეთის ფარგლებში ავცონომიას თუ რუსეთის მფარველობის ქვეშ დამოუკიდებლობას შეპირდა. სომეხ პოლიციკოსებმა და დაშნაკელებმა ეს რუსეთის პოლიციკური ფანდი გულწრფელ დაპირებად მიიჩნიეს და რუსი მთავრობის რჩევა განსაზღვრულ დროს აასრულეს კიდეც, მაგრამ საქმე უკუღმართად დაცრიალდა და განრისხებული ოსმალები დაშნაკელების და თავიანთი პოლიციკოსების მიერ გაბრიყვებულ სომეხთა ხალხის ნაზიზღარ ჟლეცას შეუდგენ. ვინც მოს-

წრო გამოქცევა ამიერკავკასიაში, სპარსეთში ან სხვაგან სადმე, გადარჩა, მაგ-
რამ დიდძალი სომხობა დაშნაკელების უგუნურ პოლიტიკასა და ოსმალთა სიმხ[illegible]
მსხვერპლად შეეწირა......,ხოლო შემდეგში, როდესაც რუსეთის ჯარი კვლავ ოს-
მალეთში შეიჭრა, სომეხ ლტოლვილებს თავიანთ სამშობლოში დაბრუნების ნებას არ
აძლევდნენ და ოსმალეთის სომხეთში ვალაშკერტის(ეხლანდელი - ალაშკერტის) და
ბასიანის(პასინის) ველზე ყაზახების დასახლების გეგმის შემუშავებასაც კი
მიჰყვეს ხელი".

IX.

და მიუხედავად ამგვარი დიდი "გაკვეთილისა", სომხეთის ზოგიერთი პოლიტიკოსე-
ბი და დაშნაკელები მაინც დარჩნენ "სომხეთის ფანტასტიური რუკის" ერთგულნი,და
იმ დროს, როცა კავკასია განთავისუფლდა უცხო დამპყრობლებისაგან და 1918-
- 1921 წლებში არსებობდა სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოსა და მთიულე-
თის(ჩრდილოეთ კავკასიის) დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოები, - მაინც
შეეცადნენ "სომხეთის ფანტასტიური რუკის" განხორციელებას, რის გამო სომხეთის
მთავრობის ბრძანებით, სომხეთის ჯარი - ინგლისის საოკუპაციო ჯარის უფროს გენე-
რალ უოფესთან შეთანხმებით - თავს დაესხა, 1918 წლის დეკემბრის დამდეგს, დამო-
უკიდებელ საქართველოს და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირით, საქარ-
თველოს მთავრობას ულტიმატიურად მოთხოვა "...ქართლის საზღვრამდის დაეხია;
რადგან ქართლად სომხები გორის მაზრას სთვლიან,ცხადია, რომ ულტიმატუმი ტფი-
ლისის დაცლასაც გულისხმობდა..." "...ამ უგუნურმა მეზობელთაშორისმა ომმა და
სისხლისღვრამ სომხეთს გამარჯვება ვერ არგუნა".

X.

მაგრამ საქართველოს მოსახლეობის აჭრელებასა და საქართველოს სახელმწიფოებრივი
ტერიტორიის "მარჯვნივ და მარცხნივ" დარიგებაში ყველაზე უფრო საშინელი როლი
ითამაშეს ქართველმა ბოლშევიკებმა, როცა მათ - საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის
იარაღის ძალით და ლენინის კურთხევით - დაიპყრეს დამოუკიდებელი საქართველო.
საბჭოთა საქართველოს შერჩა 69.700 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია დამოუკი-
დებელი საქართველოს 91.110 კვადრატული კილომეტრი ტერიტორიიდან, რომლის ერთი
ნაწილი - სოჭი და მისი რაიონი - თვით საბჭოთა რუსეთმა მიითვისა, თითქოს რუ-
სეთს ტერიტორია აკლდეს. და რა გასაკვირია, რომ ყველა ჩვენმა მეზობელმა შეე-
ცადა ესარგებლად ქართველი ბოლშევიკების ამგვარი უგუნური ვაი-პოლიტიკისაგან,
რამაც, როგორც ჩანს, მადაზე მოიყვანა სომხეთის "ფანტასტიური რუკის" შემ-
ქნელებ-მომხრეები, რომლის მრავალი ფაქტია მოყვანილი ივანე ჯავახიშვილის აღ-
ნიშნულ წერილში:"...ლორეს რაიონის სომხეთთან შეერთების გეგმის განხორციელება
სომეხთა წრეებმა მიაღწიეს, თუმცა ეს ქართველი ხალხის მესაქონლეობის ინტერე-
სებისათვის საზიანო იყო და არის და ადგილობრივი მცხოვრებლებთათვის ეს საკი-
თხი მოსაზრებით სასარგებლო არ იყო".

XI.

მიუხედავად სომეხი ერის ზოგიერთ პოლიტიკოსთა ამგვარი არა მარტო ტერიტორია-
ლური "წაგლეჯა-წამოგლეჯის" პოლიტიკისა, კავკასიის ერებისა და ეროვნებების
მეგობრობის ალტერნატივა არ არსებობს, თუ ჩვენ გვსურს"ჩვენი თავი ჩვენადვე-
გვეყუდნეს". ქართველი ერი, შეგვიძლია ამით ვიამაყოთ, ყოველთვის იდგა და დგე-

საც ძევს  ყ ვ ე ლ ა  ერთან და ეროვნებასთან გულწრფელი მეგობრობის პოზიციაზე. ჩვენ თვით რუსის, თურქის თუ სპარსელი ერების გულწრფელი მეგობრობის ნიადაგზე ვდგევართ იმ პირობით, რომ მათ იცნონ, უნდა იცნონ ქართველი ერის, კავკასიის ყველა ერისა და ეროვნების სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა, რაც არის იმის წინაპირობა, რომ კავკასიის ერებისა და ეროვნებების ტერიტორიალური საკითხი მოლაპარაკებების გზით მოგვარდება, როგორც ეს იყო 1918-1921 წლებში საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და მთიულეთის(ჩრდილოეთი კავკასიის) დამოუკიდებლობის დროს.

XII.

ამგვარად, კავკასიის ერებისა და ეროვნებების წინაშე დღეს, "აქვე და ახლავე" ტერიტორიალური საკითხები კი არ ძევს, არამედ ეროვნული თავისუფლების, ე.ი. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის საკითხი, რომლის განხორციელება, ვიმეორებთ, არის იმის წინაპირობა, რომ ყველა ტერიტორიალური სადავო საკითხი მოლაპარაკებების გზით, მშვიდობიანად მოგვარდეს. და ამგვარი მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობის ალტერნატივა არ არსებობს, არ უნდა არსებობდეს. ამის მაგალითი  **არის** ქართველი ერის ჰუმანურობა სწორედ იმ დროს, როცა სომხეთი - 1918 წლის დეკემბრის დამდეგს - თავს დაესხა დამოუკიდებელ საქართველოს: "...ერთი შემთხვევაც კი არ ყოფილა ჩვენში - მოიგონებს თბილისის უნივერსიტეტის პირველი რექტორი პეტრე მელიქიშვილი - სომხის შეურაცყოფისა.ასეთი მოპყრობა ახასიათებს ქართველ ერს ყოველივე უცხო ტომის მიმართ. ყოველი მხრიდან მოხეული მტერი მცირე ზიანითაც დიდათ გვავნებს, მაგრამ მიუხედავათ ამისა არც ერთ  ერთან არ ვიმყოფებით მტრულ განწყობილებაში, მშვიდობიან ხალხზე შურს არ ვიძიებთ. ასე არ მოქცეულა  მრავალრიცხოვანი და მდიდარი ხალხი კულტუროსან ევროპისა  არც გერმანიაში და არც საფრანგეთში".

XIII.

როგორ ვთქვით დასაწყისში? - კავკასიის ერებსა და ეროვნებებს შორის მეგობრობის ალტერნატივა არ არსებობს, ვინაიდან ჩვენ ყველა ერთ ნავში ვზივართ, და თუ რომელიმე ჩვენგანი - შეგნებულად თუ შეუგნებლად - შეეცდება ჩვენს შორის უნდობლობის, მტრობის, კიდევ მეტი, სისხლის დათესვას, - მაშინ ჩვენ, ამ ჩვენი საერთო ნავის - კავკასიის - ჩაძირვის საშიშროებას ვქმნით.

XIV.

და, ეს სტრიქონები უკვე დაწერილი იყო, როცა ბუნებამ, მიწის
ძვრამ ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით სომხეთში, რომელმაც,
ვარაუდით, ორმოცდა-ათიათასამდე ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა,
ისევ გამოავლინა კავკასიის ერებისა და ეროვნებების მეგობრობა -
გასაჭირში ერთმანეთს გვერდში ამოუდგენ.

ვითომ ბუნებრივი უბედურებაცაა გზა მეგობრობისაკენ?.. და ვითომ ეს
ფაქტიც არ მოგვიწოდებს იმისაკენ, რომ ჩვენ, კავკასიის ერებმა
და ეროვნებებმა მშვიდობიანად, მოლაპარაკებების გზით უნდა მოვა-
გვაროთ ყველა პრობლემა ჩვენს შორის თუ ჩვენ გვსურს უცხო ბატონო-
ბისაგან განთავისუფლება?..

კარლო ინასარიძე

პარიზი,1988 წლის დეკემბერი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# "ვ ე ფ ხ ვ ზ ე  მ ო ჯ ი რ ი თ ე ნ ი?.."

## ესტონეთ-ლიტვა-ლატვიის მაგალითი

### I.

"ჩვენ ვიცით, რომ ვეფხვზე ვზივართ, რომელსაც შეუძლია ჩვენ ისევ შეგვჭამოს" - თქვა ე.წ-ლი "სახალხო ფრონტის" ერთერთმა მებრძოლმა ესტონეთში; და ამით უკვე მოხაზულია ის წრილი "წონასწორობის ძაფი", რომელიც ყოველ წუთში შეიძლება გაწყდეს, ამ-ჯერად, გაუთვალისწინებელი შედეგებით.

### II.

რაშია საქმე?.. რატომ ასეთი მწვავე ხასიათი მიიღო ე.წ-ლი"სახალხო ფრონტის" მოძრაობამ ბალტიისპირეთში, განსაკუთრებით ესტონეთის რესპუბლიკაში?.? ბალტიისპირეთის სამი რესპუბლიკა - ესტონეთი, ლიტვა,ლატვია - 1918 წელს გახდენ დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკები, რომლებიც თვით საბჭოთა რუსეთმაც იცნო. მაგრამ 1939 წლის ე.წ-ლი "პიტლერ-სტალინის პაქტის" შედეგად, ნაცისტურმა გერმანიამ ბალტიისპირეთის ეს ქვეყნები"რუსეთის გავლენის სფეროდ"აღიარა, რის შედეგად საბჭოთა კავშირმა ესტონეთი,ლატვია და ლიტვა დაიპყრო 1940 წელს და საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებად აქცია. და რა გასაკვირია, რომ ესტონეთი, ლიტვა და ლატვია, ისე როგორც საბჭოთა კავშირში მოქცეული სხვა დაპყრობილი ერები, - ცდილობენ სახელმწიფოებრივი სუვერენობის ისევ მოპოვებას, რასაც,ამ-ჯერად, ბიძგს აძლევს გორბაჩოვისეული "გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაციის" პროცესი, რის შედეგად ბალტიისპირეთის ამ ქვეყნებში წარმოიშვა ე.წ-ლი"სახალხო ფრონტი", რომლის პოლიტიკური რაობა ჩამოყალიბება-განსაზღვრის პროცესშია.

### III.

და როცა 1988 წლის ოქტომბრის პირველი კვირის ბოლოს, შაბათ-საღამოს "ესტონეთის სახალხო ფრონტის" დამფუძნებელი ყრილობა დამთავრდა, ყრილობის 3267 დელეგატმა,ათასობით აღფრთოვანებულ მოქალაქეებთან ერთად, ჩირაღდნებით ხელში, მოედვა მთელ ქალაქს, რომლის დროს ერთმა გადამდგარმა მოსამართლე-ქალმა, როგორც კორესპონდენტები იტყობინებიან, თქვა: "ეს უკვე კი აღარ არის მხოლოდ პროტესტი, არამედ უკვე ერთი ნაბიჯი ესტონეთის შეგნებული ისევ-ხელში-ჩაგდებისა ესტონელების მიერ".

### IV.

ესტონეთი დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა გახდა 1918 წელს და როგორც ასეთი იცნო საბჭოთა რუსეთმაც. ესტოეთის მოსახლეობა უდრის 1.500-ათას სულს, რომელთაგან ესტონელებია მხოლოდ 975-ათასი, დანარჩენი,დაახლოებით 40 პროცენტამდე, არიან რუსები,უკრაინელები და სხვები. ესტონეთის ტერიტორია კი 45.100 კვადრატული კილომეტრია. ლიტვაც 1918 წელს გახდა დამოუკიდებელი და სუვერენული სამხელწიფო, როგორც ლატვია. ლიტვის სახელმწიფო ტერიტორია უდრის 65.20 კვადრატულ კილომეტრს; მოსახლეობა კი 3.103-ათას სულს. ლატვიის სახელმწიფო ტერიტორია უდრის 63.700 კვადრატულ კილომეტრს, მოსახლეობა კი 2.323.000 სულს(1969). ესტონეთი, ლიტვა და ლატვია დაიპყრო საბჭოთა კავშირმა 1940 წელს და გახადა საბჭოთა კავშირის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოკავშირე რესპუბლიკებად, თუმცა ესტონეთ-ლიტვა-ლატვიის დაპყრობა იურიდიულად დღემდე არ უცვნია ამერიკის შეერთებულ შტატებს და მხოლოდ რიგ სხვა სახელმწიფოებს.

V.

ამგვარ საგარეო და საშინაო პოლიტიკურ ფონზე, გასაგებია, რომ ბალტიისპირეთ ამ სამ მოკავშირე რესპუბლიკაში მეტად ძლიერია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ ლტოლვა. ამით აიხსნება ესტონეთის "სახალხო პრონტის" რადიკალური მოთხოვნები:

1.დაუყონებლივ უნდა შეწყდეს "მექანიკური მიგრაცია" და დაგმობილი უნდა იქნას მიზეზი: მოსკოვის შოვინისტური პოლიტიკა, რომელიც მშობლიურ, ეროვნულ და პატრიოტულ გრძნობებს აბუჩად იგდეს და იმისაკენ არის მიმართული, რომ არარუსი ერები თავიანთ სამშობლოში თანდათანობით უმცირესობაში მოექცენ.

2.ეკონომიკური სრული დამოუკიდებლობა, ყველა მისი შედეგით: საგარეო ვაჭრობის ავტონომია; კერძო საკუთრების გამეფება პირველყოვლისა სოფლის მეურნეობაში; ეკოლოგიური შეთავსება ყოველი სახის საწარმოოსა; ხელფასის, ფასებისა და სატარიფო ხელშეკრულებების დადება უნდა იყოს მხოლოდდამხოლოდ რესპუბლიკის ხელში.

3.გარდაქმნილი უნდა იქნას საბჭოთა კავშირი სუვერენულ რესპუბლიკების კავშირად, რომლის დროს ცალკეული რესპუბლიკის ინტერესები წინა-პლანზე უნდა იდგეს,ვიდრე მთელი კავშირისა; და სხვა.

VI.

მიუხედავად იმისა, რომ ესტონეთის კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი - ვაინო ვეილას - სულ რაღაც ოთხი თვეა თავის პოსტზე, მან მაინც "ზომიერი" სიტყვებით მიესალმა ესტონეთის სახალხო ფრონტის დელეგატებს და გადასცა მიხეილ გორბაჩოვის მისალმებაც. "პირველ ყოვლისა, - თქვა სახალხო ფრონტის ერთერთმა დამაარსებელმა, 38 წლის ედგარ სავიზარმა კონგრესზე - საქმე ეხება დემოკრატიზაციას ძალაუფლების მექანიზმისა, რომ შესაძლებელი გახდეს ძალაუფლების ორგანოების კონტროლისა მოქალაქეების მიერ". და დასძინა: ჩვენ, ესტონელებს გვსურს მომავალში ვიყოთ"ბატონები ჩვენს სახლში".

VII.

ესტონეთის სახალხო პრონტის აქტიური წევრი - მარია ლაურისტინი,რომელიც კომპარტიის წევრია - პირდაპირ ამბობს:"გამოვიდეთ საბჭოთა კავშირიდან, უკეთესია დღეს, ვიდრე ხვალ"; და ლაპარაკობს "პლიურალიზმის დაბადებაზე" ესტონეთში.სახალხო ფრონტის პროგრამაში კი ნათქვამია:"არავითარი განსაკუთრებული უფლება არ უნდა გააჩნდეს რომელიმე პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელსაც შეეძლებოდა სახელმწიფოსა და სოციალური ცხოვრების წარმართვა ხალხისაგან საერთო და დემოკრატიული არჩევნების გზით მინიჭებული ავტორიტეტის გარეშე".

VIII.

ვინაიდან სახალხო ფრონტის დელეგატთა ერთი-მეოთხედი კომუნისტებია და მოსკოველი კონსერვატორების გაღიზიანება სასურველი არ არის, ესტონელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტები ამბობენ, რომ სახალხო ფრონტი არ მოითხოვს შეასრულოს რაიმე პარტიის როლი; მას სურს მხოლოდ "არჩევნების დემოკრატიზაცია, რომლის დროს იგი დამსახურებულ და ღირსეულ კანდიდატებს დაუჭერს მხარს".

IX.

ამგვარად, ბალტიისპირეთის ქვეყნები - ესტონეთი, ლიტვა, ლატვია - ერთის მხრივ - ცდილობენ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენას, მაგრამ - მეორეს მხრივ - სიფრთხილეს იჩენენ, რომ კარგად იციან "ვეფხვზე ზიან, რომელსაც შეუძლია ისევ შეჭამოს" ის შედარებითი თავისუფლებაც, რომელიც თანდათანობით ფეხს იკიდებს გორბაჩოვის ე.წ-ლი "გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაციის" პროცესში, რასაც რა მოყვება - სრული ეროვნული თავისუფლება თუ სტალინიზმი -,ვფიქრობ, თვით მიხეილ გორბაჩოვმაც კი არ იცის.

X.

და რა შეგვიძლია ჩვენ, ქართველებმა, საქართველოს სახელმა ვისწავლოთ ბალტიისპირეთის აღნიშნულ მაგალითიდან? - ჯერ უნდა ვთქვა, რომ ქართველ ერს გააჩნია სამია-ათას-წლოვანი სახელმწიფოებრივი ისტორია, რომლის დროს არაერთხელ იყო ბიზანტიის, არაბეთის, სპარსეთის, თურქეთის თუ რუსეთის "ოპეკუნობის" ქვეშ, რაც იმას მოწმობს, რომ ქართველმა ერმა თ ვ ი თ ო ნ ი ც ი ს თუ როგორც უნდა მოიქცეს ახლანდელ "გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაციის" პროცესშიც. რა თქმა უნდა, ყოველი ქართველის, სულ ცოტა, ქართველი ერის დიდი, დიდი უმრავლესობის პოლიტიკური მიზანია "26 მაისის დიადი იდეების" ისევ განხორციელება ჩვენს სამშობლოში, მაგრამ "ს უ რ - ვ ი ლ ი" და "რ ე ა ლ უ რ ი" მდგომარეობა არ უნდა აურიოთ ერთმანეთში: დღევანდელი საერთაშორისო და საბჭოთა კავშირის(სატალიტებითურთ) შინაგანი მდგომარეობა გვკარნახობს, რომ მოსკოვის ბატონობის ქვეშ მოქცეული ერები ან ყველა გახდებიან თავის-უფალნი, ანდა ყველა დარჩება, მეტ-ნაკლებად, მოსკოვის ბატონობის ქვეშ."მეტ-ნაკლებად", ვამბობ, იმიტომ, რომ "წაწოლის" პოლიტიკა,პოლიტიკა,რაც შესაძლებლობის ხელოვნებაა, - ვერაფერს ვერ მოგვიტანს: ჩვენ პირდაპირ უნდა ვუთხრათ მოსკოვს, რომ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლა სურს, როგორც ეს იყო 1918-1921 წლებში საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის დროს; და რომ, საქართველოს სახელმწიფოებრივი,ე.ი. სა-ერთა-შორისო ურთიერთობა განსაზღვრულია 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულებით, რაც,- საერთოდ,- ბაზაა რუსი ერისა და ქართველი ერის ურთიერთობისა. გასაკვირია, მაგრამ ფაქტია: როგორ შეიძლება დაპყრობილი ერი(ქართველი ერი) იყოს დამპყრობელი ერის(რუსი ერის) მეგობარი?.. თუ ბატონ-ყმობა მოისპო, რატომ არ უნდა მოისპოს ერთი ერის მიერ მეორე ერის დაპყრობა-დაბეჩავების ბოლშევიკური "ინტერნაციონალიზმი?!.."

XI.

არა მარტო ბალტიისპირეთის ქვეყნებმა, არამედ ჩვენც ვიცით,-როცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენას მოვითხოვთ, -რომ "ვეფხვზე ვზივართ"; ისიც ვიცით, რომ ჩვენ პატარა ერი ვართ, რომელსაც

ფიზიკური განადგურების საშიშროებაც ემუქრება, მაგრამ, ამავე დროს, ისიც ვიცით, რომ ჩვენი, როგორც ერის, როგორც სახელმწიფოს "შეჭმა" ვეფხვსაც არ შეუძლია თუ ჩვენ შევძლებთ მოსკოვის დარწმუნებას იმაში, რომ დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრიობა სრულიადაც არ ეწინააღმდეგება კავკასიაში რუსეთის, თურქეთის თუ სპარსეთის სახელმწიფოებრიობას, თუესენი ხელს აიღებენ იმპერიულ, დიდმპყრობელურ პოლიტიკაზე. და განა იმპერიული, დიდმპყრობელური პოლიტიკა უკვე ისტორიას არ ჩაბარდა?..

XII.

"ვეფხვზე ჯირითი", ვეფხვზე, რომელსაც შეუძლია მახზე მოჯირითე "შეჭამოს" - არ არის ყოველი პატარა ერის საშიში ისტორიული ბედი?.. მაგრამ სხვა გზა რომ არ არსებობს ეროვნული თავისუფლებისაკენ?..

XIII.

და ეს არ დაადასტურა მოვლენებმაც საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის რეფორმასთან დაკავშირებით?.. ესტონეთი, ლიტვა, ლატვია და საქართველო გაილაშქრა, თუ გნებავთ, "სტალინური კონსტიტუციის" იმ ფიქციური, მაგრამ იურიდიული მუხლის გაუქმების წინააღმდეგ, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკებს ანიჭებს საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის უფლებას; რის შედეგად გორბაჩოვი იძულებული გახდა ეს საკითხი, ე.ი. მოკავშირე რესპუბლიკების უფლებების გაფართოების საკითხი გადაედვა და ეს საკითხი განხილულ იქნება საბჭოთა კავშირის კომპარტიის სპეციალურ პლენუმზე, თუმცა ამგვარი პლენუმის მოწვევის დრო განსაზღვრული არ არის.

XIV.

როგორც ჩანს, ასი-ათასობით დემონსტრანტები, რომლებმაც თბილისში, ტალინში, რიგაში და ვინლ ოში საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის აღნიშნული დებულების წინააღმდეგ გაილაშქრეს, - ერთი მხრივ -, შეიძლება, მართლაც "ვეფხვზე მოჯირითენი" არიან, რომლებიც ვეფხვს ყოველთვის შეუძლია გადმოაგდოს და შეჭამოს, მაგრამ - მეორე მხრივ - ვიმეორებთ - სხვა გამოსავალი რომ არ არსებობს ეროვნული თავისუფლებისაკენ?.. თავის-უფლებას რომ არავინ არ"იძლევა?!.." "ვინ ნახა თავისუფლება ტანჯვით და მოთმინებითა!?" მაშ, თავის-უფლებისათვის ბრძოლა არ არის საჭირო?..

XV.

მაგრამ იბრძვიან არა მარტო "დაპყრობილნი",არამედ"დამპყრობლები" და მათი მომხრეები, თუ გნებავთ, ამჯერად, ლატვიაში. ლატვიაში, როგორც საკლესმა გვაცნო 1989 წლის 9 იანვარს, -შეიქმნა ე.წ-ლი"ინტერნაციონალური ფრონტი", რომლის სულისჩამდგმელებია,როგორც იტყობინებიან, უმთავრესად, ლატვიაში მცხოვრები რუსები. 1979 წლის აღწერით კი, ლატვიაში მოსახლეობის 54 პროცენტი ლატვიელები, ხოლო 33 პროცენტი რუსები იყვნენ; დანარჩენები კი უკრაინელები,ბელორუსები თუ პოლონელები; და ახლა "ინტერ-ნაციონალურ ფრონტში" გაერთიანებული ყოფილა სამასიათასი კაცი,უმთავრესად რუსები, რითაც, გასაგებია, "ინტერ-ნაციონალური ფრონტი" დაპირისპირებულია "ლატვიის სახალხო ფრონტისადმი",რაც"ვეფხვზე მოჯირითეთაგან",უდავოა, დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. როგორც ვხედავთ, ყოველი გზა თავის-უფლებისაკენ - ეკლიანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

"ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა" - აი, "მესამედასელთა", ე.ი. საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის სამოქმედო პროგრამის დედა-ძარღვი, რომლის განხორციელებას საფუძველი ჩაეყარა 1918 წლის 26 მაისს, როცა ისევ აღსდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა. მაგრამ 1921 წლის 25 თებერვალს ჩვენ დავკარგეთ არა მარტო ეროვნული და პიროვნული თავისუფლება, არამედ, ამასთანავე, "მესამე გზის" თეორიულ-პრაქტიკული განხორციელების რეალური საშუალებაც, რაც, ამავე დროს, ნიშნავდა და ნიშნავს "თავისუფალი ბაზრისა" და დიქტატორული "გეგმიანი მეურნეობის", მეტ-ნაკლები, მანკიერებათა გარდაუხვის ცდას. "თავისუფალი ბაზრის"(კაპიტალიზმის) პირობებში, მაგალითად, მეტად ძნელია განხორციელებულ იქნას ოთხი მიზანი: 1.ეროვნული(სახელმწიფოს) პროდუქციის ზომიერი ზრდა; 2.ფასების სტაბილურობა; 3.მშრომელთა სრული დასაქმება, და 4.წონასწორობის დამყარება ექსპორტ-იმპორტის სფეროში. დიქტატორული "გეგმიანი მეურნეობის" პირობებში კი, როგორც ამას კომუნისტური ქვეყნების ეკონომიკური ცხოვრება ნათელჰყოფს, გამოთიშულია არა მარტო მიწოდება-მოთხოვნილების ეკონომიკური განვითარების მოტორი, **რომლის** შემცვლელი სხვა საშუალება ეკონომიკურ მეცნიერებას (არც მარქსიზმს) არ გააჩნია, არამედ შეუძლებელი გახდა მშრომელები ძალდატანებით, იძულებით თუ ორდენებით დაჯილდოების გზით მიყვანილ იქნან სამუშაოზე, ვინაიდან პ ი რ ა დ ი ინტერესებისა და სარგებლიანობის გარეშე ადამიანის შემოქმედებითი უნარიანობა, როგორც ჩანს, ვერ იფურჩქნება.

და აქ უკვე მივედით თეორია-პრაქტიკის დიალექტიკურ პროცესთან, რომლის დროს - თუ საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროში დავრჩებით - აღიარებული უნდა იქნას თეორიისა და პრაქტიკის, ე.ი. თეორიული ბჭობისა და პრაქტიკული მოქმედების უშუალო ურთიერთ-ზეგავლენა. ამდენად, საზოგადოებრივ მეცნიერებაში, თეორიას შეიძლება ეწოდოს "თესლი", რომელიც სხვადასხვა"მიწაში" დათესვისას სხვადასხვაგვარ ნაყოფს იძლევა, როცა ეს, ერთი შეხედვით, შეიძლება, შეუმჩნეველიც იყოს."...იბძოლ იმისათვის, რომ, ვთქვათ, ინგლისში შექმნილმა თესლმა(თეორიამ) ზუსტად იგივე ნაყოფი გამოიღოს საქართველოს მიწაზეც, ეს წყლის ნაყვაა და სხვა არაფერი." ამიტომ, თუ რომელიმე თეორია საქართველოს, ქართველი ერის რაობას არ შეესაბამება, გასაგებია, უნდა მოხდეს მისი "რევიზია","გადასინჯვა" ან უკუგდება.

აქედან იბადება კითხვა: "გეგმიანი მეურნეობის"(**ბოლშევიზმი**) **და** "თავისუფალი ბაზრის"(კაპიტალიზმი) ნაკლოვანებათა გარდაუხვის შესაძლებლობას ხომ არ იძლევა "მესამე გზა", რომლის აკვანი საქართველოში დაირწა 1918-1921 წლებში?..

შევეცადოთ ამ მრავალფეროვანი და მრავალფენოვანი პრობლემათა კომპლექსის ზოგიერთი ასპექტის თეორიულ-პრაქტიკულ გარკვევას, რამდენადაც ეს შესაძლებელია დღეს!

პარტია("ნაწილი") არის ერის,ხალხის ქვეცნება. ამიტომ ერთი პარტია ვერასოდეს ვერ წარმოადგენს მთელ ხალხს. მთელი ერის სახელით ლაპარაკი მხოლოდ დემოკრატიული(უმრავლესობის) გზით არჩეულ მთავრობას შეუძლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

I.

"პარტია" და "ერი", "პარტია" და "ხალხი", "ნაწილი" და "მთელი" - ამ საკითხის გარკვევა აუცილებელი გახდა ამჯერად, ვინაიდან - ქართული პოლიტიკური ემიგრაციის სფეროში რომ დავრჩეთ - აღნიშნულ ცნებათა აღრევასთან გვაქვს საქმე, როცა ზოგიერთი პირი თუ დაჯგუფება "პარტიულ" მიმართულებას - შეგნებულად თუ შეუგნებლად - ზოგად ეროვნულ, დემოკრატიულ თუ პოლიტიკურ, ე.ი."მთელის" შეხედულებათ გასაღებას ცდილობს.

II.

"პარტია" არ არის "ერი","ხალხი", ვინაიდან "ნაწილი" შეუძლებელია იყოს "მთელი". "პარტია", ეს ლათინურიდან გამომდინარე სიტყვა,("პარს","პარტის")"ნაწილი","ნაწილადი" თუ"განყოფილებაა", რომელიც, საერთოდ, "ჯგუფია ადამიანთა, რომლებიც ერთიანდებიან საერთო ინტერესებისა და მიზნების განხორციელებისათვის"; და განსაკუთრებულ განზომილებას ღებულობს ეს სიტყვა პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი  პ ა რ ტ ი ი ს თეორიულ-პრაქტიკული რაობის განსაზღვრისას.

III.

არა მარტო ყოველი ჯურის დიქტატურის მიმდევარი ცდილობს "ნაწილის", ე.ი. ერთი "დაჯგუფების","პარტიის" შეხედულება გაასაღოს "მთელის","ერის","ხალხის" საერთო შეხედულებად, რომლის დროს - თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ვერ მიაღწია ამ მიზანს - ფიზიკური ტერორისაგანაც არ იხევს უკან.

IV.

და თუ პარტია ერის, ხალხის მხოლოდ ნაწილია, მაშინ მან უნდა შეეცადოს, როგორც პოლიტიკურმა გაერთიანებამ, - პარტიის წევრებისა და მიმდევრების მეშვეობით - უშუალო მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, სოციალურ ცხოვრებაში, რომლის დროს იბრძვის სახელმწიფო ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის ლეგალური, დემოკრატიული გზით.

V.

ამგვარად, დემოკრატიული, უფლებრივი სახელმწიფოებრივი წესყობილება მოითხოვს მრავალ-პარტიულ, სულ ცოტა, ორ-პარტიულ სისტემას, რომ შესაძლებელი გახდეს პოზიცია(მთავრობა)-ოპოზიციის "დიალექტიკური მოტორის" ამოძრავება, რომლებიც ცალკცალკე ერის, ხალხის "ნაწილს", მაგრამ ერთად "მთელს" ერს, ხალხს წარმოადგენენ.

VI.

ამდენად, პოლიტიკური პარტიები, დემოკრატიულ სახელმწიფოში, არიან კონსტიტუციური უფლებით დაკანონებული საჭირო შემადგენელი ნაწილები დემოკრატიული წესრიგისა. პარტიების პოლიტიკური მიზნები და ორგანიზაციული წეს-რიგი ჩამოყალიბებულია მათს პროგრამებსა და წესდებებში.

VII.

პარტიები, პროგრამა-წესდების შესაბამისად, მოქმედებენ სახელმწიფო ხალხის პოლიტიკური ნება-სურვილის გამომჟღავნება-შექმნისათვის საზოგადოებრივ-სახელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, რომლის დროს, ყოველი პარტია –
ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის შექმნაზე;
ხელს უწყობს პოლიტიკური განათლების საქმეს;
ხელს უწყობს მოქალაქეთა პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას;
მონაწილეობას ღებულობს პარლამენტის თუ ადგილობრივი მმართველობის დეპუტატთა კანდიდატების წამოყენებასა და არჩევაში;
ხელს უწყობს უნარიანი მოქალაქეების აღზრდას, რომ მათ სახელმწიფოებრივი თუ საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა გადაიბარონ;
ზეგავლენას ახდენს პარლამენტისა და მთავრობის მოქმედებაზე;
პარტიის მიერ შემუშავებულ მიზნებს აქსოვს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ნება-სურვილის შექმნის პროცესში, და ამით განუწყვეტელ და ცხოველ კავშირს ამყარებს ხალხსა და სახელმწიფოს შორის.

VIII.

პარტიების ეფექტური ბრძოლის საშუალებაა კრებები, დემონსტრაციები, პრესა, რადიო, ფილმი თუ ტელეხედვა, რომ ყოველმა პოლიტიკურმა პარტიამ თავისი პარტიული თეორიულ-პრაქტიკული პროგრამისათვის მოსახლეობის უმრავლესობა მიიმხროს, და ამით სახელმწიფო ძალაუფლებას,-განსაზღვრული დროის განმავლობაში, რომელიც საარჩევნო კანონითაა განსაზღვრული, - დაეპატრონოს; და თუ უმრავლესობას ვერ მიიმხრობს, მაშინ კოალიციურ მთავრობაში ან ოპოზიციაში იმოღვაწეოს.

IX.

ამგვარად, პარტია არის ერის, ხალხის, ე.ი. "მთელის" "ნაწილი", რომელიც - ეყრდნობა რა მის თეორიულ პრაქტიკულ საფუძვლებს - იბრძვის, სხვა პოლიტიკურ პარტიებთან ერთად, - "მთელის" უმრავლესობის მიმხრობისათვის, რომ ამ გზით მოექცეს სახელმწიფოს ძალაუფლების სათავეში. ამდენად, პარტიის ამოცანას არ წარმოადგენს "მთელი ერის", "მთელი ხალხის" მიმხრობა,-თუმცა, გასაგებია, მისი თეორიულ-პრაქტიკული საფუძვლები "მთელი ერის","მთელი ხალხის","მთელი ქვეყნის","მთელი სახელმწიფოს" პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, სოციალურ რაობას ეყრდნობა, - არამედ, ამომრჩეველთა უმრავლესობის მიმხრობა, რომლის დროს დემოკრატია მ ო ქ მ ე დ ე ბ ა შ ი უნდა დარჩეს, რაც პოზიცია(მთავრობა)-ოპოზიციის განუწყვეტელი დიალექტიკური(თეზისი-ანტითეზისი-სინთეზი) პროცესია, რაც "კასანდრას ძახილ"(ოპოზიცია) თავისთავში აქცევს, ვინაიდან "კასანდრას ძახილის" ჩახშობა თვით დემოკრატიის აღკვეთას უდრის.

X.

"როცა რომელიმე ერთ თეორიას იზიარებს, იგი აწარმოებს უკანდახევით ბრძოლებს ფაქტებისავანო", ამბობს ჟან-პოლ სარტრი, რაც მხოლოდ მაშინ შეიძლება სიმართლესთან ახლოს იყოს, თუ თეორიას, ესა თუ ის პირი ან პარტია, "დოგმად","დოქტრინად", ე.ი."უცვლელად","ფანატიკურად" გაიგებს, რაც - თავის მხრივ - დიალექტიკურ პროცესს, და ამით, ადამიანის, გვარის, ტომის, ერის, ხალხის ცხოვრებას ეწინააღმდეგება, ვინაიდან, ამ პროცესში,"ყველაფერი ცვალებადობაშია", თვით თეორიაც, რომლის ყველაზე უფრო ობიექტური განმჭვრეტელია პრაქტიკა. კიდევ მეტი: "პრაქტიკა", ე.ი.ცხოვრება ბადებს თეორიას და არა პირიქით, თუმცა თეორია-პრაქტიკის ურთიერთობაც დიალექტიკურია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XI.

და საქართველოს პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, კულტურულმა და სოციალურმა ცხოვრებამ, მე-19 საუკუნის მეორე-ნახევარში, შობა "პირველი დასი","მეორე დასი", "მესამე დასი", რომლის დროს "მესამე დასელებმა" საერთაშორისო ასპარეზზე", განსაკუთრებით დასავლეთ ევროპის ასპარეზზე გამოვიდენ, მოწინავე ინდუსტრიული ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურულ-სოციალურ ბაზაზე აღმოცენებული სოციალისტური თეორიები და პრაქტიკა შეისწავლეს, და ეს "თესლი"(თეორია) ქართულ მიწაზე "დათესეს", რის შედეგად "თესლმაც" სახე იცვალა, რაც გამომჟღავდა "მესამე დასის" პირველ პროგრამაში, რომელიც მიღებული და დამტკიცებულ იქნა "მესამე დასის" დაარსებისთანავე, 1893 წლის 7 თებერვალს, და რომლის მთავარი დებულებაა -"ნივთიერი კეთილდღეობა,როგორც დედა-ბოძი ადამინის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელის ერისა და თვითეული პიროვნებისა".

XII.

და საქართველოს დემოკრატიული პოლიტიკური პარტიების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ დებულებათა განხორციელება შესაძლებელი გახდა 1918 წლის 26 მაისს, როცა საქართველომ, როგორც სახელმწიფომ, 117 წლის უცხო ბატონობის შემდეგ, - ისევ აღადგინა თავისი დამოუკიდებლობა და სუვერენობა. ამით 26 მაისი გახდა საქართველოს დემოკრატიული პარტიების საერთო სიმბოლო თავის-უფლების, რაც დავას არ იწვევს დღესაც, თუმცა საქართველომ დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ 1921 წლის 25 თებერვალს დაკარგა, როცა საბჭოთა რუსეთმა, ლენინის მთავრობამ დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო.

XIII.

"26 მაისის იდეების" ამგვარმა ცხოველმყოფელობამ, ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში, მე ვიტყოდი,სამწუხაროთ, დაბადა აზრი, რომ "პარტიები საჭირო არ არის"; რაც პოლიტიკურ ბრძოლაზე უარის თქმას უდრის, ვინაიდან "მთელი ქართველი ერი", საქართველოს "მთელი მოსახლეობა" შეუძლებელია "ერთი აზრის" იყოს,თუ გნებავთ, "26 მაისის იდეების" ცხოველმყოფელობაშიც კი, რადგან ქართველ ერში, ხალხში, უდავოა, მოიპოვებიან ისეთებიც, რომლებიც "უცხო მფარველების"("უცხო დამპყრობლების") ძებნაში იყვნენ და არიან, ე.ი. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდების იდეას არ იზიარებენ, ხან თურქეთის თუ ხან სპარსეთის დაპყრობის შიშით, თითქოს რუსეთის ბატონობა საქართველოში "უფრო მისაღები" იყოს!..

XIV.

მაგრამ, ჩვენის აზრით, უთანხმოება არსებობს არა მარტო "26 მაისის იდეების" მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის, არამედ თვით "26 მაისის დიადი იდეების" მომხრეებსაც შორის, რაც სრულიად ნორმალურია, ვინაიდან ამ იდეების განხორციელებისათვის არსებობდა და არსებობს მრავალი გზა, რომელთაგან ყველაზე უფრო ვარგისიანი სტრატეგიისა და ტაქტიკის გამონახვა მხოლოდ საქართველოს პოლიტიკური პარტიების კონსტრუქციულ ჭიდილშია შესაძლებელი. აქ კი საქმე ეხება საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, სოციალურ ცხოვრებას, რომლის განსაზღვრა უფრო ინდუქციურად,ვიდრე დედუქციურად არის შესაძლებელი, ვინაიდან "სატანა იმალება დეტალებში".

## XV.

"ყველა პარტიას","ყველა ქართველს","საქართველოს ყოველ მოქალაქეს", ვფიქრობთ, სურს საქართველოს, ქართველი ხალხის ბედნიერება. მაგრამ ამ მიზნის განხორციელების  კ ო ნ კ რ ე ტ ი ზ ა ც ი ა, დეტალური "დამღა" და მისი თეორიულ-პრაქტიკული განხორციელება იწვევს აზრთა სხვადასხვაობას, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, "ეშმაკი დეტალებშია". საქართველოს სახელმწიფოებრივი სისტემის განსაზღვრა, საერთაშორისო ურთიერთობა, კანონმდებლობა, საგადასახადო სისტემა, სოციალური უზრუნველყოფა, სწავლა-განათლება, თავდაცვა თუ  სახელმწიფო-საზოგადოებრივი-კერძო საკუთრების განსაზღვრა -, გასაგებია, სხვადასხვაგვარად ესმის საქართველოს მოსახლეობის ცალკეულ ფენებს(კლასებს), რაც თავის ორგანიზაციულ გამოხატულებას პოულობს სწორედ პოლიტიკურ პარტიებში თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, რომელთა შორის ყველაზე უფრო ძლიერია, ძლიერი უნდა იყოს პროფკავშირები.

## XVI.

აქედან გამომდინარე, "მესამე დასი",ე.ი.საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია, რომელიც დაარსდა 1893 წლის 7 თებერვალს, არის საქართველოს ყველაზე უფრო ძველი და,ამავე დროს, თანამედროვე, მოდერნული პარტია, რომელიც იცავს  მ შ რ ო მ ე ლ ი   ხ ა ლ ხ ი ს  გარდაუვალ ინტერესებს; უფრო ზუსტად,"მესამე დასი" არის საქართველოს მშრომელთა პარტია.

## XVII.

მართალია, საბჭოთა საქართველოში დღეს მთელი მოსახლეობა "ბოლშევიკურ ჭაობში არის მოქცეული", რომლის ფენობრივი(კლასობრივი) დაყოფა არც ისე ადვილია, ვინაიდან - "გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაციის" გორბაჩოვისეული პოლიტიკის შედეგად - "ყველაფერი დინებაშია", თუმცა "ორი ფენა" - "ნომენკლატურა" და "დანარჩენი ხალხი" - უფრო უნდა ახასავდეს დღევანდელ საბჭოთა სინამდვილეს საქართველოშიაც. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, საქართველოს მშრომელი ხალხი ეს იყო, არის და დარჩება საქართველოს მუშები, გლეხები და მშრომელი ინტელიგენცია, თუმცა მშრომელთა, ე.ი.გლეხთა და მუშათა ყოფიერება - თუ საქართველო მოექცევა მეორე(კომპიუტერიზმი) და მესამე(გენტექნიკა) ინდუსტრიული რევოლუციის სფეროში - თანდათან უახლოვდება ინტელიგენციას. და თუ მხედველობაში მივიღებთ ქართველი მუშების  გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს, რაც იმაში გამოიატება, რომ ქართველი მუშა არასოდეს კავშირს არ სწყვეტს საქართველოს მიწასთან, ე.ი. იმავე დროს "მიწად-მომქმედია", და ანალოგიურია ქართველი ინტელიგენციის მისწრაფებაც,-მაშინ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს მშრომელები, ერთად აღებული, არის ბაზა,რომლისაგან გამომდინარეობს "მესამე დასი", მისი თეორიულ-პრაქტიკული მრწამსი.

## XVIII.

და ამგვარი რწმენიდან, ამგვარი პოზიციიდან გამომდინარეობს "მესამე დასი", ე.ი.საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია, რომელიც ცდილობს სოციალური სამართლიანობისა და დემოკრატიის ერთმანეთთან ისეთ შერწყმას, რომლის დროს ადამიანს მიეცემა ეკონომიკური საფუძველიც ეროვნული და პიროვნული თავისუფლების პრაქტიკული განხორციელებისათვის, რაც უწყვეტი"მარადიული" პროცესია,რო-

მელიც ყ ო ვ ე ლ დ ღ ი უ რ ა დ განხორციელებას მოითხოვს თეზის-ანტითეზის-სინთეზის დიალექტიკურ ჭიდილში, რომლის დროს "მესამე ძალი", პარტიის შიგნით და გარეთ, - ებრძვის ყოველ ჯურის ექსტრემიზმს, ე.ი."ურა-ინტერნაციონალიზმს" თუ "ურა-ნაციონალიზმს".

XIX.

და ამ ბრძოლაში, ამ-ჯერად, პოლიტიკურ ემიგრაციაში", ჩვენი ეროვნული კონსტრუქტიული ბრძოლის ერთერთი იარაღია ჩვენი პარტიული პრესა, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელი ბიუროს ოფიციალური ორგანო "ჩვენი დროშა", რომელიც დაარსებულია,"მესამე დასელთა" თეორეტიკოს-პრაქტიკოსის,ნოე ჟორდანიას მიერ. ამდენად, "ჩვენი დროშა" არის პ ა რ ტ ი უ ლ ი ორგანო,რით იმის თქმაც გვსურს, რომ ჩვენ უარვყოფთ, ჯერ კიდევ მე-15 საუკუნიდან გამეფებულ შეხედულებას, რომ " პ ა რ ტ ი უ ლ ი" ნიშნავს "წინასწარმეგონებას, წინარწმენას;მიკერძებას, არა-ობიექტურობას", ხოლო ა რ ა - პ ა რ ტ ი უ ლ ი - "მიუდგომლობას, ნეიტრალობას, ობიექტურობას".("დუდენ",ტ.7,გვ.493). ჩვენის აზრით, პრესის ყოველი ორგანო, ყოველი მასობრივი ინფორმაციის საშუალება - მეტ-ნაკლებად, შეგნებულად თუ შეუგნებლად - "პ ა რ ტ ი უ ლ ი ა", ე.ი. გამოხახავს იმ პირის, პირების თუ მათ უკან მდგომთა, - შეხედულებას, რის შედეგად ყოველი მასობრივი ინფორმაციის საშუალება,"მეტ-ნაკლებად", პარტიულია, რაც სრულიად ნორმალურია დემოკრატიის პირობებში, რომელიც სხვადასხვა პარტიათა შეხედულებების განუწყვეტელ ჭიდილში ცდილობს ჭეშმარიტებასთან, ე.ი. ყველაზე უფრო ჰუმანურ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წესყობილებასთან დაახლოვებას.

XX.

ეს იმას არ ნიშნავს, თავის მხრივ, რომ პარტიებს, სხვა პოლიტიკურ დაჯგუფებებს თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის შეუძლებელია "ერთობის" მიღწევა. "26 მაისის დიადი იდეების" განხორციელების საკითხში, როგორც აღვნიშნეთ, თითქმის, ყველა პარტია თუ საზოგადოებრივი ორგანიზაცია "ერთი აზრისაა", თუმცა მათი"ტაქტიკა", შეიძლება,განსხვავებული იყოს.ანალოგიური "ერთობა" სახელმწიფოში, ერში იბადება,ვთქვათ, ბუნებრივი უბედურებათა თუ ომის დროს, როდესაც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნება ყველა პარტიის უწმინდესი მოვალეობაა.

XXI.

ამგვარად,ნაწილი"(პარტია), როგორც დავინახეთ,"მთელი"(ერი,ხალხი) არ არის და არც შეიძლება იყოს; და ამგვარ მდგომარეობაშია საქართველოს კომუნისტური პარტიაც, რომელიც ქართველი ერის, საქართველოს მოსახლეობის,ალბათ, მცირე ნაწილის ნება-სურვილს თუ გამოხახავს, ვინაიდან საქართველოს კომპარტია, შეიძლება ითქვას, პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პარტია საერთოდ არ არის, ვინაიდან მის მოქმედებას მოსკოვის "პოლიტ-ბიურო",ე.ი.პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ბიურო განსაზღვრავს, რაც სიტყვისშეუბრუნებლად უნდა განახორციელოს საქართველოს კომპარტიამ, რის შედეგია ისიც, რომ საქართველოს კომპარტიას პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ბიურო, ე.ი.პოლიტბიურო კი არა მხოლოდ ბიურო გააჩნია.

XXII.

მაგრამ "გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაციის" პროცესი არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ საქართველოს ისტორიულად ჩამოყალიბებული პოლიტიკური პარტიები,

ვთქვათ, საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია, ეროვნულ დემოკრატიული პარტია თუ სოციალისტ-ფედერალისტები ისევ ღიათ გამოვიდენ პოლიტიკურ არენაზე და კონსტრუქციული აზრთა გაცვლა-გამოცვლის თუ შეჯახების გზით, შევეცადოთ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, თავისუფლების ისევ-აღდგენას "26 მაისის დიადი იდეების" შესაბამისად?.. და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აღდგენა არ იძლევა ამგვარ იმედს?..

XXIII.

ნუ დავივიწყებთ: არც ერთი პარტია("ნაწილი") არ არის "მთელი ერი","მთელი ხალხი", მით უმეტეს, რომ საქართველოს კომპარტია, რომელიც საქართველოს მოსახლეობის,"მთელი ხალხის" ნება-სურვილის გამომხატველის როლში გამოდის აგერ უკვე ორი-მესამედი საუკუნეა, - ქ ა რ თ უ ლ ი პოლიტიკური პარტია კი არა, რუსეთის ბოლშევიკური პარტიის საქართველოში გამოგზავნილი "მეხუთე კოლონა" იყო და დარჩა დღემდე.

XXIV.

ამდენად, "გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაციის" წინაპირობა არ არის, არ უნდა იყოს მრავალ-პარტიული სისტემის ისევ დამკვიდრება საქართველოში, რომ საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენას(კლასს) შეეძლოს თავისი ნება-სურვილის პოლიტიკური არტიკულაცია, და ჩვენი ქვეყნის - საქართველოს - პოლიტიკური,ეკონომიკური,კულტურული და სოციალური ძალების ე რ ო ვ ნ უ ლ ყაიდაზე მოგვარება?..

XV.

ცალკეული პარტიების ინტერესები არასოდეს არ უნდა იდგეს, ერის, ხალხის, სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის შენარჩუნებაზე მაღლა, რაც ყველა პარტიას - საგარეო პოლიტიკაში - "ერთხმიანობის", "ერთობისაკენ" მოუწოდებს. საშინაო პოლიტიკაში კი ჭიდილი, ბჭობა, შეჯახება-შემოჯახება - ამომრჩეველთა უმრავლესობის მოპოვების მიზნით - საჭიროა, აუცილებელია, რომ ამ გზით განვსაზღვროთ ის პოლიტიკური ხაზი, რომელიც ყველაზე უფრო პასუხობს ქვეყნის წინაშე მდგომ საჭირბოროტო საკითხების დადებითად გადაწყვეტას. ამგვარი დემოკრატიული გზით მთავრობაში მისულ პარტიას უფლება და მოვალეობაც ენიჭება ილაპარაკოს "მთელი" ერის,"მთელი" სახელმწიფოს სახელით, რა თქმა უნდა, განსაზღვრული დროის განმავლობაში,ე.ი.მომდევნო არჩევნებამდე.

XVI.

ამგვარად, პარტია ერის, ხალხის ქვეცნებაა, მისი "ნაწილია" და არა "მთელი" ერი, "მთელი" ხალხი. ამიტომ იგი, სხვა პარტიებთან ერთად, იბრძვის შენარჩუნებულ და გაფურჩქვნილ იქნა ერის შვილების ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობა, მისი ენა, ტერიტორია, ეკონომიკა და კულტურა, რომლის დროს, გასაგებია, იგი არის ერის მსახური.

XVII.

როგორ ვთქვით დასაწყისში? - პარტია("ნაწილი") არის ერის ქვეცნება.ამიტომ ერთი პარტია ვერასოდეს ვერ წარმოადგენს მთელ ხალხს. მთელი ერის სახელით ლაპარაკი მხოლოდ დემოკრატიული გზით არჩეულ მთავრობას შეუძლია.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1988 წლის ნოემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სოციალისტური ინტერნაციონალი და ჩვენი პარტია

I.

"სოციალისტური ინტერნაციონალი და ჩვენი პარტია", ე.ი. საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია("მესამე დასი") -,ჩვენის აზრით, არის მეტად საჭირბოროტო და სადღეისო საკითხი, რომელიც დადებით მოგვარებას ელის, რადგან საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია("მესამე დასი") არ არის "სოციალისტური ინტერნაციონალის" წევრი, რომელიც დაარსდა 30 ივნისს, 1951 წელს, მაინის ფრანკფურტში(გერმანია). საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია კი,ათეული წლების განმავლობაში, გადაჯაჭვული იყო სოციალისტური პარტიებთან,განსაკუთრებით კი დასავლეთ ევროპის სოციალისტურ პარტიებთან, რომელთა მეშვეობით "მესამე დასელები" ისევდაისევ საერთაშორისო მასშტაბით აყენებდნენ, დაწყებული 1918 წლის 26 მაისიდან, საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის, ჯერ, საერთაშორისო ცნობის, ხოლო შემდეგ, როცა საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო საქართველო, ე.ი.1921 წლის 25 თებერვლიდან,—საქართველოდან რუსეთის საოკუპაციო ჯარების გაყვანისა და საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენის საკითხს.

II.

გადავხედოთ სოციალისტური ინტერნაციონალის წარსულს: 125 წლის წინათ, 1864 წლის 28 სექტემბერს,ლონდონში,დაარსდა სოციალისტური ინტერნაციონალი. მისი ნიადაგი მოამზადა"ინტერნაციონალურმა მუშათა ასოციაციამ", რომლის საფუძველი მუშათა მოძრაობებში უნდა ვეძიოთ, დაწყებული მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედიდან, რასაც ბიძგი მისცა მე-19 საუკუნის 40-იანი წლების რევოლუციურმა მოვლენებმა, რამაც - თავის მხრივ - შესატყვისი გამოხატულება ჰპოვა მარქსისა და ენგელსის "კომუნისტურ მანიფესტში"(1847 წ.). პირველი ნამდვილი ინტერნაციონალური მუშათა მოძრაობის იდეა დაიბადა ინგლისის პროფკავშირებში, რასაც მოჰყვა, 1864 წლის 28 სექტემბერს, ლონდონში, პირველი ინტერნაციონალის დროებითი კომიტეტის დაარსება, რომლისათვის საპროგრამო საფუძველი გახდა კარლ მარქსის დაწერილი ე.წ.-ლი "Inauguraladresse", ასე ვთქვათ,"სადღესასწაულო მიმართვა". პირველი ინტერნაციონალის უმაღლესმა ორგანომ"გენერალურმა საბჭომ" 1866 წლის 3-დან 8-ა სექტემბრამდე ჩაატარა ჟენევაში პირველი ინტერნაციონალური მუშათა კონგრესი, რის შემდეგ სწრაფად გაფართოვდა მისი სამოქმედო სფერო, როცა სოციალისტურ ინტერნაციონალს შეუერთდა ბელგიის, იტალიის, შეერთებული შტატების, ესპანეთის, პორტუგალიის, დანიის, ჰოლანდიის, ავსტრიის . . მუშათა ასოციაციები (გაერთიანებები). გერმანიის მუშათა ასოციაციები კი პირველ ინტერნაციონალს შეუერთდა 1869 წელს კონგრესზე ქალაქ აიზენახში. მაგრამ პირველი ინტერნაციონალის დასუსტებას ხელი შეუწყო პარიზის კომუნის დამარცხებამ

1871 წელს, რომლის დროს ინტერნაციონალის შიგნით წარმოიშვა წინააღმდეგობა, რაც ნათელი გახდა კონფლიქტში კარლ მარქსსა და მ. ბაკუნინს(1814-1876) შორის, რომლის დროს, როგორც ცნობილია, ანარქისტების მიზანი კი არ იყო სახელმწიფო ძალაუფლების ხელში ჩაგდება, არამედ პოლიტიკური ძალაუფლების მოსპობა და უძალაუფლებო სისტემის შექმნა, რომელშიც "ყველა" ადამიანი "თავისუფალი" კერძო მესაკუთრე იქნებოდა, რაც პ.ჟ.პრუდონის(1809-1865) დებულებას -"რა არის საკუთრება?" - "საკუთრება არის ქურდობა"( Pierre-Joseph Proudhon:"Qu´est ce que la propriété?" "La propriété c´est le vol".) - ეყრდნობოდა.ანარქისტები გარიცხულ იქნენ პირველ ინტენაციონალიდან(1872) და კარლ მარქსის მოთხოვნით, 1872 წელს, ჰააგის კონგრესმა გადაწყვიტა პირველი ინტერნაციონალის მთავარი სადგომის გადატანა ლონდონიდან ნიუ-იორკში, რითაც ფაქტიურად დამთავრდა პირველი ინტერნაციონალის მოღვაწეობა.

III.

1889 წლის ივლისში, საფრანგეთის დიდი რევოლუციის 100 წლისთავზე, პარიზში, ერთდროულად მიმდინარეობდა ორი სოციალისტური ინტერნაციონალის კონგრესი: ერთ კონგრესზე თავი მოიყარეს ინგლისის არა-მარქსისტულმა პროფკავშირებმა და"პოსიბილისტებმა"("სოციალისტურ-რევოლუციონური მუშათა პარტია"-1882 წლიდან,რომელიც,პოლ ბრუსის მეთაურობით, "რადიკალურ ცენტრალიზმს" უარყოფდა, წინააღმდეგ "საფრანგეთის მუშათა პარტიისა", რომელიც მარქსისტულ ცენტრალიზმს უჭერდა მხარს). მეორე კონგრესზე კი თავი მოიყარეს, არსებითად, მარქსისტულმა მუშათა ორგანიზაციებმა, და ეს კონგრესი ითვლება მეორე ინტერნაციონალის პირველ კონგრესად, რომელმაც დაადგინა პირველ მაისს, 1890 წელს, მუშათა მასიური დღესასწაულის ჩატარება და რვა-საათიანი სამუშაო დღის მოთხოვნა. ასე ჩაეყარა საფუძველი პირველი მაისის საერთაშორისო მუშათა, და, საერთოდ, მშრომელთა დღესასწაულად აღნიშვნას.

IV.

მეორე ინტერნაციონალის მომდევნო კონგრესებზე(ყრილობებზე) მთავარი სადავო საკითხი გახდა თეორია და ტაქტიკა: ჯერ ყურადღების ცენტრში მოექცა "გენერალური(საერთო) გაფიცვის თეორია" როგორც საშუალება სოციალური რევოლუციისა, ხოლო მოგვიანებით წინაპლანზე წამოწია"რევიზიონიზმმა", რომლის მამამთავარი გერმანიის სოციალდემოკრატიულ პარტიაში ედუარდ ბერნშტაინი(1850-1932) გახდა, რომელიც ნარკვევში -"სოციალიზმის წინაპირობანი და სოციალდემოკრატიის ამოცანები" - აკრიტიკებდა მარქსის ზოგიერთ თეზისს და წერდა: პროლეტარიატის გაძვალტყავება, კაპიტალის კონცენტრაცია და საზოგადოების პოლარიზაცია კაპიტალისტებსა და მუშებს შორის არ მოხდება. აქედან გამომდინარე, ედუარდ ბერნშტაინი მოითხოვდა სოციალდემოკრატია რევოლუციისათვის კი არ უნდა ემზადებოდეს, არამედ, პარლამენტარული გზით, პოლიტიკური და სოციალური რეფორმების გატარებისათვის იბრძოლოს და ამ პროცესში, თუ საჭირო გახდა, სხვა არასოციალისტურ პარტიებთან ითანამშრომლოს.

V.

მიუხედავად იმისა, რომ 1914 წლის 24 ივლისს, სოციალისტური ინტერნაციონალის ბიურომ გაილაშქრა პირველი მსოფლიო ომის გაჩაღების წინააღმდეგ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას უკვე ძალა აღარ გააჩნდა განსაზღვრული ზეგავლენა მოეხდინა საერთაშორისო დიდ პოლიტიკურ მოვლენებზე, რის შედეგია, თუ გნებავთ ისიც, რომ "რადიკალურმა სოციალისტებმა" 1915 წლის 10 სექტემბერს თავი მოიყარეს ციმერვალდში(შვეიცარია), რომ ახალი-"მესამე ინტერნაციონალი"- დაეარსებინათ,რის შესახებ ბჭობა, 1916 წლის 24-29 აპრილს კინტალში,შ ოლს,1917 წლის ივნისში,სტოკჰოლმში,გააგრძელეს, მაგრამ ერთობის მიღწევა შეუძლებელი გახდა.

VI.

1917 წლის რუსეთის თებერვლის დემოკრატიულ რევოლუციამ, განსაკუთრებით კი რუსეთში ოქტომბრის ბოლშევიკურმა გადატრიალებამ კიდევ უფრო გააღრმავა და განხეთქილებამდე მიიყვანა საერთაშორისო მუშათა ერთობა. 1919 წლის 2-6 მარტში, ლენინის წინადადებით, ჩამოყალიბდა მესამე ინტერნაციონალი, რომელშიც გაერთიანდა 35 კომუნისტური პარტია. კომინტერნი მოექცა, განსაკუთრებით სტალინის დროს, საბჭოთა კავშირის კომპარტიის ჰეგემონიის ქვეშ. ამგვარად, მესამე ინტერნაციონალი გახდა "კომუნისტური ინტერნაციონალი",ე.ი"კომინტერნი", რომელიც - მეორე მსოფლიო ომის დროს - 1943 წელს დაშილ იქნა; და მის მაგივრად დაარსდა, 1947 წელს, "კონინფორმი",ე.ი."კომუნისტური და მუშათა პარტიების საინფორმაციო ბიურო", რომლის სადგომი იყო ჯერ ბელგრადი, ხოლო 1948 წლის შემოდგომიდან ბუქარესტი."კომინფორმი", რომელიც საბჭოთა კავშირის კომპარტიის ბრმა იარაღი გახდა, დაშილ იქნა სტალინის სიკვდილის შემდეგ, 1956 წელს. ამის შემდეგ საბჭოთა კავშირის კომპარტიამ არაერთხელ შეეცადა კომპარტიების საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნას,-მაგალითად, ოთხმოცდა-ერთი კომპარტიისა და მუშათა პარტიის კონფერენცია მოსკოვში, 1960 წელს, - მაგრამ უშედეგოდ.
მეოთხე ინტერნაციონალი ჩამოაყალიბა ლეო ტროცკიმ, თავისი მიმდევრებისაგან, 1938 წელს,მექსიკოში, რომელსაც დიდი მნიშვნელობა არ ჰქონია საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში,მისი"პერმანენტული რევოლუციის" თეორიით.

VII.

1919 წლის თებერვალში, ბერლინში, თავი მეიყარეს 26 ქვეყნის სოციალისტური პარტიის 97 დელეგატმა, რომ ისევ-დაეარსებინათ მეორე ინტერნაციონალი. მაგრამ თავი იჩინა უთანხმოებამ ეროვნული თავდაცვის მომხრე და კომპრომისული მშვიდობიანობის მომხრე სოციალისტებს შორის; ასევე მოკავშირეებისა და გერმანიის სოციალისტებს შორის. ამის გამო, 1921 წლის თებერვალში, საფრანგეთის, ავსტრიის, შვეიცარიის, გერმანიის დამოუკიდებელმა და ბრიტანეთის სოციალისტებმა შეიკრიბნენ ვენაში და შექმნეს კავშირი, რომელსაც "ორონიუმად ორ-ნახევარი ინტერნაციონალი უწოდეს"(G.L.,"la Grande E.", v. 31, p.6392),რომელიც იმედოვნებდა შუამავლის როლს ითამაშებდა აღნიშნულ ორ დაჯგუფებას შორის. მაგრამ ეს ცდა, 1922 წლის აპრილში,ბერლინში, მარცხით დამთავრდა. 1923 წლის მაისში კი, ჰამბურგში, 620 დელეგატმა 30 ქვეყნის 43 პარტიიდან, რომლებიც წარმოადგენდნენ 6.700.000 პარტიის წევრს 25 მილიონი ამომრჩევლებით,—დაარსეს "მუშათა საერთაშორისო ინტერნაციონალი", რომელიც აერთიანებდა ყველა პარტიას, რომლებიც მიზნად ისახავდნენ მუშების განთავისუფლებას კაპიტალისტებისაგან და უარყოფდნენ მოსკოვის მბრძანებლობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ინტერნაციონალი, 1923 წელს, ჰამბურგში, ახლად იქნა დაარსებული როგორც "სოციალისტური მუშათა ინტერნაციონალი", რომლის სათავეში იდგა ორი გენერალური მდივანი, ინგლისელი ი.მოუ და ავსტრიელი ფ. ადლერი. მეორე მსოფლიო ომის დროს, 1944 წლის დეკემბერში, ინგლისის მუშათა პარტიამ მიიწვია ლონდონში 12 სახელმწიფოს სოციალისტური პარტიები მეორე ინტერნაციონალის მუშაობის გამოცოცხლების მიზნით. 1946 წლის მაისში შეიქმნა სოციალისტური ინტერნაციონალის ბიურო ლონდონში; მას გვერდში ედგა საკონსულტაციო კომიტეტი, რის ბაზაზე,1947 წელს, წარმოიშვა "სოციალისტური ინტერნაციონალური კონფერენციის კომიტეტი", რომელშიც ყოველი ქვეყნის სოციალისტურმა პარტიამ წარადგინა ერთი წარმომადგენელი. ამის შემდეგ, 1951 წლის 30 ივნისს, მაინის ფრანკფურტში, დაარსებულ იქნა "სოციალისტური ინტერნაციონალი",რომლის მთავარი ორგანოებია კონგრესი,საბჭო და ბიურო.

VIII.

ორგანიზაციული სისტემა: სოციალისტური ინტერნაციონალი არის საერთო გაერთიანება, რომელსაც არ გააჩნია დირექტივების მიცემის ძალაუფლება. მისი წევრები არიან სუვერენული, და მათთვის სავალდებულო არ არის რეზოლუციები და მითითებები სოციალისტური ინტერნაციონალის ორგანოებისა.

მიზნები: სოციალისტური ინტერნაციონალის მიზანია ნაციონალური წევრ-პარტიების პოლიტიკური საზისა და მოქმედების კოორდინაცია; დემოკრატიული სოციალიზმის გაძლიერება და განვითარება საერთაშორისო მასშტაბით; სოციალისტურ სახელმწიფოთა შექმნა მთელს მსოფლიოში.

მთავარი მოთხოვნები: მსოფლიო სასალხო მეურნეობის ახალი წესრიგი, რომლის დროს ყურადღების ცენტრშია განვითარებადი ქვეყნების("მეორე-" და "მესამე-მსოფლიოს") დაკალიანებათა აღკვეთა; მსოფლიო დაძაბულობის განმუხტვის პოლიტიკის განგრძობა; ადამიანის უფლებათა დაცვა.

წევრები: დაახლოებით 80 პარტია და ორგანიზაცია მსოფლიოს ყველა კონტინენტიდან, რომლებშიც გაერთიანებული არიან 50 მილიონზე მეტი ადამიანი.

ხმისუფლებიანი წევრებია შემდეგი ქვეყნების პარტიები: ავსტრია,ავსტრალია, ბელგია(2), გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა,კანადა, შვეიცარია, კოსტარიკა, ბარბადოს, დანია, დომინიკანის რესპუბლიკა, ესპანეთი, ეკვადორი, ელ სალვადორი, საფრანგეთი, გვატემალა, იტალია(2), ისრაელი, ირლანდია, ისლანდია, იაპონია(2),იამაიკა, ლუქსენბურგი(2), მალტა, მალაიზია, მავრიკიუსი, ნორვეგია, ჰოლანდია, ახალი ზელანდია, პორტუგალია, პარაგვაი, არგენტინა, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, ლიბანია, სან მარინო, შვეცია, ფინეთი, სენეგალი, თურქეთი, დიდი ბრიტანეთი(3), შეერთებული შტატები(2), კანადა.

სათათბირო ხმის უფლება გააჩნიათ შემდეგი ქვეყნების პარტიებს: კვიპროსის რესპუბლიკა, ისრაელი, ანტილების კუნძულები(ჰოლანდია)(2), ვენესუელა(2), და აღმოსავლეთ ევროპის ცხრა(9) ქვეყნის სოციალისტური პარტიას, რომლებიც გაერთიანებულია "ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ კავშირში"(SUCEE - Socialist Union of Central Eastern Europe), და ამყოფებიან

და მოღვაწეობენ პოლიტიკურ ლტოლვილობაში:
ბულგარეთი(დემოკრატიული მოქმედების პარტია), ჩეხოსლოვაკია(სოციალდემოკრატიული პარტია), ესტონეთი(სოციალისტური პარტია), უნგრეთი(სოციალდემოკრატიული პარტია), ლატვია(სოციალდემოკრატიული პარტია), ლიტვა(სოციალისტური პარტია), პოლონეთი(სოციალისტური პარტია), რუმინეთი(სოციალდემოკრატიული პარტია), და იუგოსლავია(სოციალისტური პარტია).

სოციალისტური ინტერნაციონალის თანამგრძნობი(ძმური) ორგანიზაციებია:
ინტერნაციონალური შევარდენის მოძრაობა - სოციალისტური განათლების ინტერნაციონალი; სოციალისტური ახალგაზრდობის ინტერნაციონალური კავშირი; ქალთა სოციალისტური ინტერნაციონალი.
დაკავშირებული ორგანიზაციებია: აზია-წყნარი ოკეანეს სოციალისტური ორგანიზაცია; სოციალისტური და დემოკრატიული პრესის კონფედერაცია; ებრაელების მუშათა კავშირი; სოციალდემოკრატიული მასწავლებლების ინტერნაციონალური კავშირი; მუშათა სპორტის ინტერნაციონალი; მუშათა სიონისტური მოძრაობა; ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის სოციალისტური კავშირი.

სოციალისტური ინტერნაციონალის იდეოლოგიურ მოწინააღმდეგეებად უნდა იქნან მიჩნეული საერთაშორისო თუ რეგიონალური ორგანიზაციები, რომელშიც გაერთიანებულია არასოციალისტური პარტიები.ქრისტიანულ-დემოკრატიულ ინტერნაციონალში, მაგალითად, გაერთიანებულია, როგორც თვით სახელწოდება ამბობს, ქრისტიანული პარტიები მსოფლიოს ყოველი კუთხიდან, განსაკუთრებით ევროპიდან.
ქრისტიანულ-დემოკრატიული ინტერნაციონალი დაარსდა 1982 წლის ნოემბერში, რომელშიც გაერთიანებულია 50-ზე მეტი პარტია. მისი მიზანია პოლიტიკური სოლიდარობის მიღწევა"ქრისტიანული დემოკრატიის" განხორციელების საქმეში. მისი სადგომია რომი. დემოკრატიული ინტერნაციონალის კავშირში გაერთიანებულია დემოკრატიული პარტიები ევროპიდან, წყნარი ოკეანესა და კარიბის რეგიონებიდან, რომლის მიზანია დემოკრატიის, კერძო საკუთრების დაცვის, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო მეურნეობის გაძლიერება. მისი სადგომია ლონდონი. დაარსებულ იქნა 1983 წლის 24 ივნისს, ლონდონში.
ლიბერალური ინტერნაციონალი დაარსებულ იქნა 1947 წლის აპრილში, რომელშიც გაერთიანებულია 30 მეტი პარტია და დაჯგუფება 21 ქვეყნებიდან. მისი მიზანია მსოფლიო მასშტაბით ლიბერალური აზროვნების გავრცელება, თავისუფალი ზაზოგადოების განხორციელება, რომელიც პირად თავისუფლებასა და პასუხისმგებლობას, ისე როგორც სოციალურ სამართლიანობას ეყრდნობა. მისი სადგომია ლონდონი.

IX.

სოციალისტური ინტერნაციონალის ორგანიზაციული სტრუქტურა: სოციალისტური ინტერნაციონალის კონგრესი, რომელიც შედგება ექვს-ექვსი დელეგატისაგან ყოველი წევრი პარტიიდან, ტარდება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, და განსაზღვრავს - ძირითად დებულებებს და პოლიტიკური მოქმედების მთავარ საკითხებს; ადასტურებს სტატუსებს; მიიღებს ახალ წევრებს; და სხვა.
ბიურო: სოციალისტური ინტერნაციონალის ბიურო შედგება ყოველი წევრ-ქვეყნის ორი დელეგატისაგან, და იკრიბება ერთხელ ან მრავალჯერ ყოველწლიურად.
თავჯდომარე: სოციალისტური ინტერნაციონალის თავჯდომარეა 1976 წლიდან ვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ბრანდტი(გერმანიის სოციალდემოკრატიული პარტია); თავჯდომარეს ჰყავს დაახლოებით ოცი მოადგილე, რომლებიც ერთად განაგებენ სოციალისტური ინტერნაციონალის მმართველობას კონგრესებს შორის, ამზადებენ და იწვევენ კონგრესს, ღებულობენ გადაწყვეტილებას საგანგებო კონფერენციების მოწვევისათვის და, საჭიროების შემთხვევაში, ქმნიან სხვადასხვა კომისიებს, განსაზღვრავს ბიუჯეტს, და სხვა. ფინანსთა და ადმინისტრაციის კომისია შედგება 7 წევრ-ორგანიზაციისაგან. სამდივნო არის ორგანიზაციის ცენტრი. სოციალისტური ინტერნაციონალის გენერალური მდივანი არის 1983 წლიდან - პენტი ვეენანენი(ფინეთი). სოციალისტური ინტერნაციონალის სადგომი კი არის ლონდონი. სამუშაო, ე.ი. ოფიციალური ენებია ინგლისური, ფრანგული, გერმანული და ესპანური.

X.

სოციალისტური ინტერნაციონალის ფინანსური სახსრებია საწევრო გადასახადი, რაც შესაბამებულია ცალკეული წევრ-პარტიის ფინანსურ შესაძლებლობასთან. ფინანსური მთავარი ტვირთი კი აწევს გერმანიის, შვეციის, ავსტრიის, იტალიის, დიდიბრიტანეთისა და ნორვეგიის პარტიებს.

XI.

სოციალისტური ინტერნაციონალი, როგორც საერთაშორისო ორგანიზაცია, ცდილობს უშუალო ზეგავლენა მოახდინოს მსოფლიოს პოლიტიკურ,ეკონომიკურ,კულტურულ, სოციალურ ცხოვრებაზე: 1976 წელს, მაგალითად, ჟენევის კონგრესზე, სოციალისტურმა ინტერნაციონალმა ფართედ გაუღო კარები მონათესავე პარტიებს "მესამე მსოფლიოდან",და ამით დაიწყო "ევროცენტრიზმის" უკან დახევა. ამან კი, თავის მხრივ, ხელი შეუწყო სოციალისტური ინტერნაციონალის როლის გაზრდას საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრებაში, რის ერთერთი შედეგია,მაგალითად, "ჩრდილოეთ-სამხრეთის-კონფლიქტის", ე.ი.ჩრდილოეთის ინდუსტრიული ქვეყნებისა და სამხრეთის განვითარებადი ქვეყნების კონფლიქტის მოგვარება, რომლის დროს სოციალისტური ინტერნაციონალი გამოდის "შუამავლის" როლში. 1986 წელს კი, ლიმას კონგრესზე, სოციალისტურმა ინტერნაციონალმა მიიღო "ლიმას მანიფესტი"შიმშილობის, ჩამორჩენილობისა და კრიზისის შესახებ"მესამე მსოფლიოში".

XII.

სოციალისტური ინტერნაციონალის კონგრესებისა და ბიუროს რეზოლუციები და განცხადებები ეხება მსოფლიო პოლიტიკურ საკითხებს, როგორც,მაგალითად, "უშიშროების პოლიტიკა", რომელსაც სწავლობს სპეციალური კომისია; "ნიკარაგუა" და"ახლო აღმოსავლეთი", რომლებსაც სწავლობენ საგანგებო კომიტეტები; აგრეთვე "ეკოლოგიური კომიტეტი", "განიარაღების კომიტეტი", და სხვა. სოციალისტური ინტერნაციონალი ყოველწლიურად აწყობს აგრეთვე "პარტიის ლიდერთა კონფერენციას", რომელშიც მონაწილეობას ღებულობენ სოციალდემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელები და მთავრობის თავჯდომარეები, რაც, გასაგებია, პოლიტიკურად ცენტრალურ როლს ასრულებს. აღნიშნული და სხვა მრავალი სახის მოქმედებით, სოციალისტური ინტერნაციონალი,უთუოთ, ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი და სა-ერთა-შორისო პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომლის მნიშვნელობა და გავლენა სულ უფროდაუფრო იზრდება.

## XIII.

დიდია, მეტად დიდია სოციალისტური ინტერნაციონალის, განსაკუთრებით მისი დასავლეთ ევროპის ქვეყნების სოციალისტური პარტიებისა და მათი ლიდერების დამსახურება საქართველოს, ქართველი ხალხის წინაშე განსაკუთრებით საქართველოს დამოუკიდებლობის დროს - 1918-1921 წლებში და დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის შემდგომ პერიოდში, დაწყებული 1921 წლის 25 თებერვლიდან. ყველა ეს დოკუმენტები,ალბათ, რამდენიმე ტომი იქნება. აქ კი ორიოდე ამონაწერი: "...1918 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში გაეგზავნა ერთი თავის წევრთაგანი სპეციალური მემორანდუმით, რომელიც მიმართული იქნებოდა სოციალისტურ ინტერნაციონალის და ყველა მის სექციებისადმი...ევროპაში წასვლა...დაევალა კ.გვარჯალაძეს." (კ.გვარჯალაძე:"საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის მუშაობა საზღვარგარეთ",პარიზი,1936,გვ.6). "ეს მემორანდუმი,ნოე ჟორდანიას ცალკე კერძო წერილთან ერთად პირველყოვლისა გადაეცა შეიდემანს, აგრეთვე კაუცკის, ბერნშტეინს, ჰააზეს და სხვებს გერმანიაში...შემდეგ მემორანდუმი სკანდინავიის ნეიტრალური ქვეყნების სოციალისტებს გადაეცა...ჩვენი პარტიის წარმომადგენელი უნდა გადასულიყო მოკავშირე ქვეყნებში - ინგლის-საფრანგეთში - და იქ გაება კავშირი სოციალისტებთან."(იქვე,გვ.6-7). "მალე ამის შემდეგ, 1919 წლის თებერვლის შუა რიცხვებში პარიზში ჩამოვიდენ ვერსალის კონფერენციაზე წარმოგზავნილი საქართველოს დელეგაციის თავჯდომარე კარლო ჩხეიძე და ამ დელეგაციის წევრი ირაკლი წერეთელი,რომელთაც ფრანგი სოციალისტები თანაგრძნობით და პატივისცემით შეხვდენ..."(გვ.8). "1919 წლის დამდეგს ბერნში შედგა ინტერნაციონალურ-სოციალისტური კონფერენცია,რომელსაც ...მოხსენდა ჩვენი პარტიის მემორანდუმი. კონფერენციამ გაიზიარა მემორანდუმის შინაარსი და მიიღო დადგენილება საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის მხარდასაჭერად".(იქვე,გვ.9).

## XIV.

"1920 წლის აგვისტოში ჟენევაში შეიკრიბა ინტერნაციონალურ სოციალისტური კონგრესი,რომელსაც საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის დელეგაციამ წარუდგინა სპეციალური მოხსენება...საქართველოს ცნობის დასაჩქარებლად... დაავალა თავის დელეგატებს ჟენევის სოციალისტურ კონგრესზე 1920 წელს მოეწვიათ საქართველოში უცხოელ სოციალისტებიდან შემდგარი ინტერნაციონალური დელეგაცია. ასეთი დელეგაცია შედგენილ იქნა და ის გაემგზავრა საქართველოში 1920 წლის სექტემბერში. დელეგაციაში შედიოდენ: კ.კაუცკი და ლუიზა კაუცკი - გერმანიიდან; ინგლისიდან - მაკდონალდი, ტომ შოუ და ქალბატონი სნოუდენი; ფრანგებიდან - რენოდელი, მარკე და ინგელსი. ბელგიელებიდან - ვანდერველდე, დებრიუკერი და ჰიუსმანსი. ამ დელეგაციამ საქართველოში სამი კვირა დაჰყო, კაუცკი კი თავისი ცოლით ოთხ თვემდე დარჩა იქ. ამ ხნის განმავლობაში ეს უცხოელი სოციალისტები საკმარისად გაეცნენ საქართველოს მდგომარეობას და ჩვენი მეზობელ ქვეყნების ვითარებას. უკან დაბრუნებისას, უკლებლივ, ყველა ამ ევროპიელ სოციალისტებმა დიდი აქტიუ-

რი მუშაობა გასწიეს პრესის საშუალებით, ლექციების მოწყობით(იხ. "L'Internationale Socialiste et la Géorgie", Paris,1921). "...ზოგმა მათგანმა ოფიციალური დემარშებითაც კი საქართველოს ოფიციალური ცნობის სასარგებლოდ გამოვიდნენ."ამ მხრივ მათ,მართალია, დიდი სამსახური გაგვიწიეს"(გვ.10).

XV.

აი,ზოგიერთი  ამონაწერი მათი წერილებიდან:"თუ ერთა თავისუფლება ცარიელი სიტყვა არაა, თუ რომელიმე ერს თავისუფლება ეკუთვნის, ესაა ქართველი ერი, რომელმაც დაუმტკიცა მთელ კაცობრიობას თავისი მაღალი კულტუროსნობა და პოლიტიკური სიმწიფე. მე გავეცანი მის კონსტიტუციას, მის სოციალურ და ეკონომიურ აღმშენებლობას, მე იქ რაც ვნახე, ვისურვებდი ასე მოწყობილი მენახოს ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში"(რამსეი მაკდონალდი).
"ომის წინა წლებში რომ დასმულიყო საკითხი მეგობრებში, თუ სად, ევროპის რომელ დიდ ქალაქში შეხვდებოდა პირველი სოციალისტური მთავრობა, ზოგი დაასახელებდა ლონდონს, ზოგი პარიზს, ბერლინს, სტოკჰოლმს თუ ბრიუსელს, მაგრამ ვინ იფიქრებდა საქართველოს სატახტო ქალაქზე - თბილისზე? მაშინ სწორედ ამ ქალაქში აღიმართა დროშა სოციალისტური და დაიწყო ნამდვილი დემოკრატიული წესწყობილების მშენებლობა - უმაღლესი საფეხური სოციალიზმისა; და ეს მოხდა არა აჯანყების გზით, არა სისხლის ღვრით, არამედ ხალხის სუვერენული უფლების აღიარებით, მისი სურვილისა და ნებისყოფის სრული გამოვლინებით".(ემილ ვანდერველდე).
აგრარული რეფორმის გატარება:"...მემამულეთ დაუტოვეს თავის საყოფი სარჩო, ჩამორთმეული მიწები გადაეცა უმიწაწყლო გლეხობას. საუფლისწულო და დიდი მამულები გადავიდა სახელმწიფოს ხელში და ამავე დროს ბუნებრივი სიმდიდრენი. მოხდა სრული აგრარული რევოლუცია სისხლის დაუღვრელად, მშვიდობიანად. ამაში ქართველ სოციალისტებმა გამოიჩინეს გონიერება, ჭკუა და შორსმჭვრეტელობა. გლეხობა გახდა საიმედო ძალა ახლადდაარსებულ დემოკრატიულ რესპუბლიკისათვის..."(პიერ რენოდელი).
"რევოლუციამ წაართვა ფეოდალებს მიწები, რომლებიც გადაეცა უმიწაწყლო გლეხებს...ეს იყო არა სოციალისტური, არამედ ბურჟუაზიული რევოლუცია, მაგრამ ნაკარნახევი იყო მოცემული პირობებით და ესაა მნიშვნელოვანი...სწორედ ამით განვსხვავდებით ჩვენ სოციალისტები უტოპისტ-სოციალისტებისაგან..."
"...რევოლუციამ საქართველოს მოუტანა პროვინციებისა და სოფლების სრული თვითმმართველობა. ეს თვითმმართველობა შეიქმნა ცენტრალისტური ბიუროკრატიული სისტემის ადგილზე"(კარლ კაუცკი).
"არა მარტო ქართული დემოკრატიის, არამედ მსოფლიო დემოკრატიის ინტერესი მოითხოვს დაუყონებლივ ცნობილ იქნას ახლა-დაარსებული რესპუბლიკა" - საქართველო.(ალბერ თომა).

XVI.

აღნიშნული და სხვა მრავალი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები უკომპრომისოთ მოითხოვდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო ცნობას, რის შედეგად, უმოკლეს ხანში, დამოუკიდებელი საქართველო იცნო მსოფლიოს ოცზე მეტმა სახელმწიფომ, მათ შორის, თვით საბჭოთა რუსეთმა, 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულებით,რომლის პირველ მუხლში,სხვათა შორის, ნათქვა-

მია:"რუსეთი უსიტყვოთ სცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და სუვერენობას და ნებაყოფლობით ამბობს უარს ყოველგვარ სუვერენულ უფლებებზე, როგორიც კი გააჩნდა რუსეთს ქართველი ხალხისა და საქართველოს ტერიტორიის მიმართ". მაგრამ - დაარღვია რა აღნიშნული ხელშეკრულება - საბჭოთა რუსეთმა, ლენინის ბრძანებით, იარაღის ძალით დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტში, რის წინააღმდეგ, სხვათა შორის, სასტიკი პროტესტები განაცხადეს სოციალისტურ ინტერნაციონალში გაერთიანებულმა სხვადასხვა ქვეყნების სოციალდემოკრატიულმა პარტიებმა და პროფკავშირებმა, რომლებიც მოითხოვდნენ საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო ჯარების საქართველოდან გაყვანას და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენას.და ამ მიმართულებით მუშაობა არასოდეს არ შეუწყვეტია საქართველოს სოციალდემოკრატიულ პარტიას როგორც სოციალისტური ინტერნაციონალის წევრ-პარტიებში, ისევე სხვა დემოკრატიული პარტიებში. საქართველოს ეროვნული მთავრობა კი - ნოე ყორდანიას თავჯდომარეობით - მოქმედებდა ერთა ლიგის თუ ცალკეული სახელმწიფოების მთავრობებთან დიპლომატიური ურთიერთობის ფარგლებში, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლეოდა იმით, რომ საფრანგეთის მთავრობამ - მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რუსეთმა საქართველო 1921 წლის 25 თებერვალს დაიპყრო - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩო,პარიზში, 1933 წლამდე,სრული დიპლომატიური უფლებებით შეუნარჩუნა.

XVII.

საფრანგეთის დიდი დემოკრატიისა და მისი დემოკრატიული მთავრობის ასეთ დიდბუნებოვან და კეთილ განწყობილებას საქართველოს, ქართველი ხალხის და მისი დემოკრატიული მთავრობის მიმართ, მთავრობისა, რომელსაც ნოე ყორდანიას თავჯდომარეობით თავშესაფარი და მოქმედების საშუალება მიეცა პარიზში, - საქართველო, ჩვენი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს და ფრანგი ერის ვალში არ დარჩება, როცა დაჰკრავს საქართველოს, ქართველი ერის თავისუფლების ზარები.

XVIII.

აი,კიდევ რამდენიმე მაგალითი სოციალისტური ინტერნაციონალისა და მისი სექციების(წევრ-პარტიების) მოღვაწეობისა დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის შემდეგ:

"1921 წლის...13 და 14 აგვისტოს ბერლინში შეიკრიბა მუშათა პროფესიონალურ კავშირების ინტერნაციონალის წარმომადგენელნი. კონფერენციამ სხვათა შორის მოისმინა კ.ჩხეიძის მოხსენება საქართველოს დამშევის შესახებ. კონფერენციაზე არჩეულ იქნენ წარმომადგენელნი, რომელთაც პროფესიონალურ ინტერნაციონალის მოქმედება უნდა დაეკავშირებია წითელი ჯვარის მოღვაწეობასთან დახმარების საქმეში. ამ წარმომადგენლების ინიციატივით წითელი ჯვარის კონგრესმა ყენევაში დაადგინა საქართველოს რუსეთისაგან დამოუკიდებლად გასწეოდა დახმარება"(გვ.19).

1921 წლის 20 სექტემბერს გერმანიის სოციალდემოკრატიული პარტიის გერლიცის პარტაიტაგზე კიდევ ერთხელ იქნა მიღებული შემდეგი რეზოლუცია:"პარტაიტაგი მთელი თავის სიმკაცრით ჰკიცხავს საბჭოთა რუსეთის მიერ საქარ-

თველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე ვერაგულათ თავდასხმას და მის დაპყრობას. ყველა ქვეყნის სოციალდემოკრატიასთან შეთანხმებით პარტიატაგი მოითხოვს, რომ ბოლშევიკური ჯარები დაუყონებლივ გაყვანილ იქნენ საქართველოდან".(გვ.20).

"1923 წლის თებერვალში დამხჯელ რაზმის მეთაურის ობოლაძის გურიაში მოკვლის გამო ბოლშევიკებმა მეტეხის ციხიდან გამოიყვანეს 92 პოლიტიკური ტუსაღი და გაუსამართლებლად დახვრიტეს. ერთ ღამეში საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ხუც დახოცილ იქნა 200 პოლიტიკური ტუსაღი, რომელთა შორის იყვნენ პროფესორები, მასწავლებლები, სტუდენტები, მუშები და უმთავრესად გლეხები. ნოე ჟორდანიამ წერილით მიმართა კულტურულ კაცობრიობას, აცნობებდა მას მთელ მხეცურ და ბარბაროსულ ამბებს..." "მეორე და ორ-ნახევარი ინტერნაციონალების გამაერთიანებელი კონგრესი უნდა შეკრებილიყო 1922 წლის შემოდგომაზე, მაგრამ სხვადასხვა ტექნიკური და ორგანიზაციული მოსაზრებების გამო ის გადაიდვა და მას ადგილი ქონდა ჰამბურგში 1923 წლის ივნისში. ამ გამაერთიანებელ კონგრესისათვის საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელ წარმომადგენლობის მიერ წარდგენილ იქნა მემორანდუმი..."

"მაგრამ მოსკოვი ევროპის პროლეტარიატის პროტესტს ყურადღებას არ აქცევდა. საქართველოში კი ბოლშევიკური ხელისუფლება რეპრესიებს აძლიერებდა... ამან გამოიწვია...თბილისის მუშების აშკარა გულისწყრომა. მათ გადაწყვიტეს საქართველოს რევკომთან წარმომადგენლების გაგზავნა და წერილობითი განცხადების გადაცემა. განცხადებაზე ხელი მოაწერა 5.132 მუშამ. აირჩიეს 9 კაცისაგან შემდგარი დელეგაცია და მას დაავალეს ხელისუფლებისადმი მემორანდუმის წარდგენა. ამ მემორანდუმში მუშები მოითხოვდნენ: საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას და იქიდან რუსის ჯარების გაყვანას; მუშათა ორგანიზაციების, კავშირების, არჩევნების, კრების, პრესის, სიტყვის თავისუფლებას და პიროვნების ხელუხლებლობის აღდგენას; ქართველ მუშების ადგილებიდან დათხოვნის და მათ უცხოეთში გადასახლების შეჩერებას; მუშათა ოჯახების ნივთიერ გაუმჯობესებას; პოლიტიკური დევნილების და ტუსაღების განთავისუფლებას და სხვა. საქართველოს რევკომმა 5000 მუშის წარმომადგენელთ არ მოუსმინა, ისინი 24 ოქტომბერს დააპატიმრა და ფარულად ციხეში გაგზავნა. ბოლშევიკების ასეთმა საქციელმა თფილისის მუშათა კლასის საერთო აღშფოთება და პროტესტი გამოიწვია...მთელი ეს ამბავი თფილისის მუშებმა მეორე ინტერნაციონალს, ევროპის ყველა სოციალისტურ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს აცნობეს"(გვ.23-24).

"ჩვენი პარტიის ხაზს პარიზის ინტერნაციონალურ კონფერენციაზე 1933 წლის აგვისტოში იცავდა კ.გვარჯალაძე(იხ."ბრძოლის ხმა",ნომ.35),რომელიც აღნიშნავდა, რომ...ბოლშევიკებმა სოციალისტური პარტიები თავიანთ მთავარ მტრათ გამოაცხადეს და მათ სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლა გაუმართეს".

XIX.

ამგვარად, საქართველოს სოციალდემოკრატიულ პარტიას არასოდეს არ შეუწყვეტია უშუალო კავშირი სოციალისტურ ინტერნაციონალსა და მის ცალკეულ სექციებს შორის, თუმცა საქართველოში სოციალდემოკრატიული პარტია აკრძალულია,

ხოლო პოლიტიკურ ლტოლვილობაში მისი რიგები საგრძნობლად შესუსტდა. მაგრამ იმ ძალებით, რომლებიც ჩვენ დღეს გაგვაჩნია, საქართველოს სოციალდემოკრა-ტიული პარტიის საზღვარგარეთულმა ბიურომ ისევ უნდა გააძლიეროს ჩვენი პარ-ტიის სა-ერთა-შორისო ურთიერთობა იმდენად, რომ ჩვენი პარტია - ჯერ -უნდა გახდეს აღმოსავლეთ ევროპის სოციალდემოკრატიულ პარტიათა კავშირის სრულ-უფლებიანი წევრი, ხოლო შემდეგ სოციალისტური ინტერნაციონალის ერთერთი სექცია(წევრი), სათათბირო ხმის-უფლებით, რომ ჩვენ შევხძლოთ "26 მაისის დიადი იდეის" ისევ-და-ისევ საერთაშორისო მასშტაბით წამოყენება ყველა დემოკრატიული, განსაკუთრებით კი სოციალდემოკრატიული ძალების მეშვეობით.

XX.

"მესამე დასმა",ე.ი. საქართველოს სოციალდემოკრატიულმა პარტიამ პირველმა ალლო ალლო საქართველოს, ქართველი ერის საერთაშორისო მდგომარეობის იმ განსაკუთრებულ მდგომარეობას, რომ მონათესავე ერი,-თუ ზახკებს არ მივი-ლებთ მხედველობაში, რომელიც ქართველ ერსავით უთავისუფლებობას განიცდის, - ჩვენ, ქართველებს არ გაგვაჩნია "**ნ ა თ ე ს ა ვ ე ბ ი**"უცხოეთში, რო-გორც აზერბაიჯანელებს თურქული წარმოშობის მრავალი ერი თუ სომხებს მრა-ვალრიცხოვანი დიასპორა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ამდენად, საქართველოს სოციალდემოკრატიულმა პარტიამ,სწორედ სოციალისტური ინტერნაციონალის მეშ-ვეობით, შესაძლებელი გახადა მსოფლიოს,განსაკუთრებით მოწინავე ინდუსტრი-ული ქვეყნების არა მარტო სოციალისტური წრეები დაეინტერესებინა საქართვე-ლოს სახელმწიფოებრივი სუვერენობის ბედიღბლით. და ეს დიდი კოზირი, რომე-ლიც დღესაც ხელში გვაქვს, უნდა გამოვიყენოთ - სხვა შესაძლებლობათა გვე-რდით - "26 მაისის დიადი იდეების" ისევ განხორციელებისათვის საქართვე-ლოში.

XXI.

აი, "მესამე დასის",ე.ი.საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის სამო-ქმედო ხაზი სოციალისტური ინტერნაციონალის სფეროში, რომელიც მოითხოვს დაუყონებლივ, "აქ და ახლა" მოქმედებას.

არ უნდა დავივიწყოთ:საგარეო სფეროში, ჩვენი პარტიის, როგორც სოციალდემო-კრატიული პარტიის, ყველაზე უფრო მჭიდრო მოკავშირე, გახლავან, არიან მსოფლიოს, განსაკუთრებით ევროპის სოციალდემოკრატიული პარტიები და ამით თვით სოციალისტური ინტერნაციონალი. მაშ, ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში, გავყვეთ ამ გზას.

კარლო ინასარიძე
პარიზი,1989 წლის თებერვალი

---

ხოციალისტური ინტერნაციონალის წევრთა სია(1982)

---

Mitgliedsverzeichnis der Sozialistischen Internationale

Full member parties

*Argentina* — Popular Socialist Party
*Australia* — Australian Labour Party (ALP)
*Austria* — Socialist Party (SPÖ)
*Barbados* — Barbados Labour Party
*Belgium* — Socialist Party (BSP/PSB)
*Canada* — New Democratic Party (NDP)
*Chile* — Radical Party (PR)
*Costa Rica* — National Liberation Party (PLN)
*Denmark* — Social Democratic Party
*Dominican Republic* — Dominican Revolutionary Party (PRD)
*Ecuador* — Democratic Left Party
*El Salvador* — National Revolutionary Movement (MNR)
*Finland* — Social Democratic Party (SDP)

ეროვნული ბიბლიოთეკა

*France* — Socialist Party (PS)
*Germany (Fed. Rep. of)* — Social Democratic Party (SPD)
*Great Britain* — Labour Party
*Grenada* — New Jewel Movement
*Guatemala* — Democratic Socialist Party
*Iceland* — Social Democratic Party
*Ireland* — Labour Party
*Israel* — Labour Party
*Italy* — Italian Social Democratic Party (PSDI)
*Italy* — Italian Socialist Party (PSI)
*Jamaica* — People's National Party (PNP)
*Japan* — Democratic Socialist Party (DSP)
*Japan* — Japan Socialist Party (JSP)
*Lebanon* — Progressive Socialist Party (PPS)
*Luxembourg* — Luxembourg Socialist Workers' Party (LSAP/POSL)
*Malaysia* — Democratic Action Party (DAP)
*Malta* — Malta Labour Party
*Mauritius* — Mauritius Labour Party
*Netherlands* — Labour Party (PvdA)
*New Zealand* — Labour Party
*Northern Ireland* — Northern Ireland Labour Party (NILP)
*Northern Ireland* — Social Democratic and Labour Party (SDLP)
*Norway* — Labour Party (DNA)
*Paraguay* — Revolutionary Febrerista Party
*Portugal* — Socialist Party (PS)
*San Marino* — Unitary Socialist Party
*Senegal* — Socialist Party of Senegal
*Spain* — Spanish Socialist Workers' Party (PSOE)
*Sweden* — Social Democratic Party (SAP)
*Switzerland* — Social Democratic Party (PSB)
*Turkey* — Republican People's Party (RPP)
*Upper Volta* — Progressive Front of Upper Volta
*USA* — Democratic Socialist Organising Committee (DSOC)
*USA* — Social Democrats USA (SDUSA)

## Consultative parties

*Aruba NA* — Movimiento Electoral di Pueblo
*Curacao NA* — Movementu Antiyas Nobo
*Cyprus* — EDEK Socialist Party
*Israel* — United Workers' Party (MAPAM)
*Venezuela* — Democratic Action (AD)
*Venezuela* — People's Electoral Movement (MEP)
*SUCEE Bulgaria* — Social Democratic Party*
*SUCEE Czechoslovakia* — Social Democratic Party*
*SUCEE Estonia* — Socialist Party*
*SUCEE Hungary* — Social Democratic Party*
*SUCEE Latvia* — Social Democratic Party*
*SUCEE Lithuania* — Social Democratic Party*
*SUCEE Poland* — Socialist Party*
*SUCEE Romania* — Social Democratic Party*
*SUCEE Yugoslavia* — Socialist Party*
*SUCEE:* Socialist Union of Central-Eastern Europe

## Fraternal organisations

International Falcon Movement/Socialist Educational International (IFM/SEI)
International Union of Socialist Youth (IUSY)
Socialist International Women

* in exile

## Associated organisations

Asia-Pacific Socialist Organisation
Confederation of the Socialist Parties of the European Community
International Federation of the Socialist and Democratic Press
Jewish Labor Bund
International Union of Social Democratic Teachers
Labour Sports International
Labour Zionist Movement
Socialist Union of Central-Eastern Europe

## დემონსტრაციები თბილისში

გერმანელი სტუდენტი ლარს პეტცოლდი იყო მოწმე დემონსტრაციებისა, რომლებიც ჩატარდა თბილისში, 1988 წლის ნოემბრის ბოლოს. მან მისი შთაბეჭდილებები გამოაქვეყნა დასავლეთ-გერმანულ ჟურნალში("შპიგელ",5.12.1988). აი, ამონაწერები ამ ცნობიდან:

"მოსკოვი მეტად შორსაა აქედან; რა იციან იქაურმა ბიუროკრატებმა ჩვენი? ჩვენ თვითონ ვიცით, რა არის უკეთესი ჩვენთვის," - გაჰყვირის გულმოსული სტუდენტი დ.პ.,რომელიც სწავლობს მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე თბილისში.

საქართველოს პარლამენტიდან მოდიან ამ დღეებში, რომ ის,მოსკოვიდან ნაბრძანებ ცვლილებებს საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში, უარყოფს. ამისათვის მინაწილეობას ღებულობს დემონსტრაციებში სტუდენტი დ.პ. და ათასობით მისი თანამოაზრენი უკვე დღეების განმავლობაში, თბილისში, საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის დედაქალაქის ცენტრში, მთავრობის სასახლის წინ.

ოთხშაბათს, 23 ნოემბერს, დემონსტრანტებს თან მიქონდა"პლაკატები: წმინდა გიორგი და ჯვრები; განსაკუთრებით თვალში გვცემათ მინდისფერ, თეთრ-შავ-ზოლიანი დროშები, საქართველოს დამოუკიდებლობის,(1918-1921 წლები) პერიოდიდან. დემონსტრანტები გაიძახიან:"გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!!"

"დემონსტრანტებმა განაცხადეს, რომ უნივერსიტეტ ისა და ინსტიტუტების თითქმის ყველა სტუდენტი უარს ამბობს მონაწილეობა მიიღონ სავალდებულო სამხედრო სწავლებაში,რომელიც ტარდება რუსულ ენაზე."

"საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის შეცვლის მოსკოვის წინადადებების წინააღმდეგ, დემონსტრანტებმა შეიმუშავეს მინიმალური პროგრამა, ვინაიდან მაქსიმალური პროგრამა - საბჭოთა კავშირიდან გამოსვლა - ამჟერად არარეალისტური, მიუღწეველი ეჩვენებათ."

"დემონსტრანტების რაოდენობა სულ უფრო და უფრო მატულობს. საღამოს ქალაქის ცენტრში მოძრაობა შეჩერებულია. დემონსტრანტთა რაოდენობა აღწევს ორმოციდან - სამოც-ათასამდე."

"საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიის დაწყებიდან, დემონსტრანტებმა თავი მოიყარეს პარლამენტის წინ და გამოაცხადეს შიმშილით გაფიცვა. უმრავლესობა სტუდენტებია, მაგრამ მასში მონაწილეობას ღებულობს მოსახლეობის ყველა ფენა".

"მეც გაფიცულთა შორის ვიქნებოდი- ამბობს პროფესორი სუსანა მ.,- მაგრამ მე ფიზიკურად ვერ გაუძლებ შიმშილით გაფიცვას, ამიტომ გაფიცულებისათვის მომაქვს წყალი და ხილის წვენი". "ჩვენ ვამაყობთ ჩვენი შვილებით,- განაგრძო მან - რომ ისინი პატრიოტებია. მხოლოდ ის, ვინც სწავლობს თავის საკუთარ ქვეყანას, მის კულტურას და ტრადიციებს, მას შეუძლია აგრეთვე ჰქონდეს უნარი პატივი სცეს სხვა საზღვრებსა და მათს კულტურას".

"ყველგან ხეებზე ჩამოკიდებულია ფურცლები, რომლებზედაც მიწერილია მოსახლეობის სოლიდარობა დემონსტრანტებისადმი. ქუჩებში აგროვებენ ფულს დემონსტრანტების დასახმარებლად. მილიციონერები, უმთავრესად ქართველები, ყველგან მოჩანან, მაგრამ მეტად თავდაჭერილად არიან უკანა პლანზე. არავინ არ დაუპატიმრებიათ, ყველაფერი ჩატარდა წესიერად და მშვიდობიანად".

ლარს პეტცოლდი

თბილისი, 1988 წლის ნოემბერი.

---

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 40 წლისთავთან დაკავშირებით,აი, მე-19 მუხლი, მის 30 მუხლიდან:

"ყოველ ადამიანს აქვს უფლება შეხედულებათა თავისუფლებისა და მათი თავისუფლად გამოხატვისა. ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას დაბრკოლების გარეშე დაეფუძნოს საკუთარ შეხედულებებს, აგრეთვე თავისუფლებას, ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი საშუალებით სახელმწიფოებრივი საზღვრებისაგან დამოუკიდებლად".

1948 10 დეკემბერი 1988

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## "გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაცია" და ჩვენ

### (წერილი მეორე)

### "ოქტომბრის პირმშო - გარდაქმნით დაბრუნებული?!.."

უშანგი სიდამონიძე:"1918 წლის 26 მაისი ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეა".
("კომუნისტი",25.5.1988 წ.)

რევაზ ჯაფარიძე:"ერის ისტორიის ბრწყინვალე ფურცელი".
(გაზეთი"თბილისი",25.5.1988 წ.)

I.

ჯერ მოვიყვანოთ ამ ვრცელი სტატიის სიდამონიძისეული შეჯამება: "ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში - წერს ის - გამორჩეულ ადგილს დაიკავებს 1918 წლის 26 მაისი - ქართული ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის დღე. ისტორიისათვის უცხო არ არის, როდესაც ერის ცხოვრებაში მომხდარი რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა გარკვეული პერიოდის მანძილზე სხვადასხვა მიზეზითა და,უფრო ხშირად კი, შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო, მივიწყებულია; მისი აღნიშვნა, მოგონება აკრძალულია. ცხოვრების პროგრესი, წინსვლა, საზოგადოებრივი დემოკრატიზაცია ბოლოს ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს. სიმართლე იმარჯვებს. ასეთ წინსვლასა და პროგრესს განიცდის დღეს ჩვენი საზოგადოება. მიმდინარეობს გარდაქმნის, საჯაროობის და დემოკრატიზაციის შეუქცევადი პროცესები. მხოლოდ ამის შედეგად ხდება შესაძლებელი აღვნიშნოთ ისეთი ისტორიული მოვლენა, როგორიცაა ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე".

II.

ანალოგიურია რევაზ ჯაფარიძის სტატიაც სათაურით -"ერის ისტორიის ბრწყინვალე ფურცელი" -,რომელიც გამოქვეყნდა 1988 წლის 25 მაისის გაზეთში "თბილისი", და რომლის"შესავალში" ვკითხულობთ:

"დღეს შესრულდა 70 წელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან, რაც 1918 წლის 26 მაისს განხორციელდა. ერის მიერ თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა ან აღდგენა უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია ამ ერის ისტორიაში, ხოლო დამოუკიდებლობის ძალდატანებით თუ ნებით დაკარგვა, ლენინის სიტყვით რომ ვთქვათ, უდიდესი უბედურებაა".

III.

უკვე ამ ორი ავტორის მიერ დაწერილი სტატიების შინაარსის შეჯამება - ვითომ ნათელჰყოფს, რომ "სიმართლე იმარჯვებს...გარდაქმნის, საჯაროობის და დემოკრატიზაციის შეუქცევადი პროცესის" პირობებში, როგორც ამას წერს უშანგი სიდამონიძე; და ვითომ ლენინის სიტყვები - დამოუკიდებლობის დაკარგვა უდიდესი უბედურებაა - გამოდგება 26 მაისის, საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის აღდგენის შესაფასებლად?.. თუ, აღნიშნული ავტორებისათვის, "გარდაქმნის" ეს "შეუქცევადი პროცესი" "სიმართლის გამარჯვებას" იმდენად უწ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყოზს ხელს, რამდენადაც ეს მისაღებია მოსკოვის დღევანდელი ხელმძღვანელებისათვის?..

IV.

ამგვარი ეჭვის გამოთქმისაკენ ბიძგს გვაძლევს თვით ამ ორი ავტორის აღნიშნული სხვაობები: თუ, მაგალითად, ლენინი ქადაგებდა დამოუკიდებლობის დაკარგვა ძალდატანებით უდიდესი უბედურებაა, მაშინ რატომ დაესხა საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის ნაწილები დამოუკიდებელ საქართველოს ხუთი მხრიდან და დაიპყრო იგი?.. მაგრამ ნუ ვჩქარობთ; შევეხოთ ამ სხვაობების ცალკეულ დებულებებს:

V.

"სამეფო-სამთავროებად დაქსაქსული ქვეყნის გაერთიანებას და დამპყრობლების, აგრეთვე, შინაგან გამთიშველთა წინააღმდეგ წარმატებულ ბრძოლას წინ გარდაუვლად ეღობებოდა 1555 წლის ამასიის ზავით დაკანონებული უსამართლობა: აღმოსავლეთი საქართველო - ქართლ-კახეთის სამეფო - სპარსეთის ხელდებულ ქვეყნად ითვლებოდა, დასავლეთი საქართველო კი მტაცებელი ოსმალეთის გავლენის სფერო იყო". და ამის "ტრაგიკული ალტერნატივა", - რევაზ ჯაფარიძის აზრით,- "...1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით რუსეთის მფარველობაში" შესვლა იყო. ისტორია, როგორც ცნობილია, არის ის, რაც მოხდა, და არა ის, რაც შეიძლება მომხდარიყო. ამდენად, უსხურია იმაზე დავა თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო თუ მეფე ერეკლე არ აირჩევდა "ტრაგიკულ ალტერნატივას". მაგრამ ერთი ნათელია: ქართლ-კახეთის სამეფო 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით სახელმწიფოებრივად გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იყო, ვიდრე დღეს საბჭოთა საქართველო. და ამგვარი "შედარების" საშუალებასაც კი არ იძლევა მიხეილ გორბაჩოვის "გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაციის" ახე გახმაურებული პოლიტიკა?..

VI.

მეფის რუსეთი, 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით, არ ერეოდა, ვერ ერეოდა ქართლ-კახეთის სამეფოს შინაურ საქმეებში, და მხოლოდ საგარეო საკითხებში უნდა ეწარმოებია მოლაპარაკება მეფის რუსეთის მთავრობასთან. ამგვარად, საქართველოს პოლიტიკურ,ეკონომიკურ,კულტურულ,სოციალურ საქმეებს განაგებდა ქართლ-კახეთის მეფე. და რა მდგომარეობაშია დღეს საბჭოთა საქართველო?.. ნუთუ ფაქტი არ არის, რომ საქართველოს მოქალაქემ უცხოეთში გამგზავრებარომ მოისურვოს, ვიზის გაცემა მხოლოდდამხოლოდ მოსკოვის საქმეა?.. ასეთ ყველაზე უფრო მცირე საქმეშიც რომ მოსკოვი ბრძანებლობს, ნუთუ ამის შესახებ არ შეიძლება ლაპარაკი დღეს, "გარდაქმნის" პროცესში?..

VII.

და აქ უკვე მივედით საქართველოს ისტორიის ბედკრულ თარიღთან - 1801 წელთან, როცა მეფის რუსეთმა გააუქმა საქართველოს სახელმწიფოებრიობა და საქართველო რუსეთის იმპერიის ორ - თბილისისა და ქუთაისის - გუბერნიებად აქცია. მართალია, საბჭოთა საქართველოს შედარება მეფის რუსეთის თბილის-ქუთაისის გუბერნიებთან, გარეგნულად შეუძლებელია, ვინაიდან დღეს საქართველო მოსკოვის ქვეშაა,მაგრამ როგორც სახელმწიფო არსებობს, თუმცა ქართველი ერი, როგორც საქართველოს სახელმწიფოს შემქმნელი და ძირითადი ერი, მოსკოვის

მიერ უგულებელყოფილია სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში: პოლიტიკაში, ეკონომიკაში, კულტურაში თუ სოციალურ ცხოვრებაში. საქართველოში დღესაც - "გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაციის" პროცესში - ყველაფერი, დიახ, ყველაფერი კეთდება ისე, როგორც ეს მოსკოვს სურს, რის შედეგია ის, რომ შესაძლებელია თურქეთის თუ სპარსეთის მტაცებლური, იმპერიული პოლიტიკის დაგმობა, შესაძლებელია მეფის რუსეთის იმპერიული პოლიტიკის"ფრთხილი" კრიტიკა, მაგრამ აკრძალულია ლენინ-სტალინის მტაცებრული პოლიტიკის აღნიშვნაც კი, რომ არ ვილაპარაკოთ მათი დაპყრობითი პოლიტიკის დაგმობაზე.

VIII.

"ფაქტია, რომ მონარქიული რუსეთის წიაღში საქართველო გადარჩა, მოსულიერდა, ევროპულ კულტურას ეზიარა, ახალი ძალებით აღივსო და არამცთუ არსებობა შეინარჩუნა, მნიშვნელოვანი როლიც შეასრულა თვით რუსეთის ისტორიაში", - წერს, სხვათა შორის, ავტორი. მაშ, ყველაფერი წესრიგში ყოფილა თუ რუსეთმა ჩვენ ამდენი ბედნიერება მოგვიტანა!.. მაგრამ ქართველი ხალხი,საქართველო ხომ - დაწყებული კოლხეთისა და იბერიის სახელმწიფოებიდან, - ყოველთვის ევროპის აღმოსავლეთი ფორპოსტი არ იყო, რომლის ყველაზე ნათელი ფაქტია ქრისტიანული რელიგიის აღიარება სახელმწიფო რელიგიათ 337 წელს, როცა რუსეთის სახსენებელი არც კი არსებობდა?.. და მეფის რუსეთს საქართველო არ დაეპყრო და მის კოლონიად არ გაეხადა, ქართველი ერი მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში გულზეხელდაკრეფილი მოუცდიდა საქართველოს "გასაგზნობებას" ლენინის მიერ, რომ"ბოლშევიზმის კულტურას" ზიარებოდა?.. ეს ჰიპოტეტური გააზრებაც კი უარყოფს იმ აზრს, რომ თითქოს რუსეთმა ჩვენ "გადაგვარჩინა"!.. ის ერი, რომელიც სხვისი "გადასარჩენია" არც კი არის იმის ღირსი, რომ "გადარჩეს".ერმა თვითონ უნდა გადაირჩინოს თავი, და თუ ეს მას არ ძალუძს, ის "გადარჩენის" ღირსიც არ არის, როგორც ამას ახლო აღმოსავლეთის ანტიკური ქვეყნების ბედი ნათელჰყოფენ. მეფის რუსეთი და საბჭოთა რუსეთი ბატონობდა და ბატონობს საქართველოში არა ქართველი ხალხის, ქართველი ერის "გადარჩენისათვის", არამედ რუსეთის იმპერიის გაფართოება-გაძლიერებისათვის, რომლის დროს ჩვენ, ქართველები ამ უზარმაზარი, ტლანქი მანქანის"ხრახნების"როლს ვასრულებთ, რომლის ყველაზე უფრო ნათელი ფაქტია, თუ გნებავთ, მეორე მსოფლიო ომი, რომელშიც საქართველომ შვიდასი-ათასზე მეტი ჯარისკაცი გაიყვანა, რომელთაგან ნახევარზე მეტი უკან აღარ დაბრუნებულა.

IX.

ახლა შევეხოთ საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის("მესამე დასის") რაობის განხილვას უშანგი სიდამონიძისა და რევაზ ჯაფარიძის მიერ აღნიშნულ სტატიებში: "მიღებულია, რომ პარტია სოციალური კლასის ინტერესებს უნდა ახასიათებს. ჩვენ ვერ დავკვიკავშირებია ქართველი სოციალდემოკრატების ნიჰილისტური დამოკიდებულება ქართული ეროვნული საკითხისადმი საქართველოს მშრომელების ინტერესებთან. არადა, სოციალდემოკრატიული მიმართულება - რუსეთის სოციალ-დემოკრატიული ნაწილი, მისი მენშევიკური ნაწილი, სალხმრავალი იყო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავლენა ჰქონდა საქართველოში". ამ ამონაწერს,უმანკი სიდამონიძის სტატიიდან, დაუმატოთ რევაზ ჯაფარიძის შემდეგი სიტყვები: ამიერკავკასიის"...კომისარიატის და შემდეგ სეიმის სათავეში მოქცეული ქართველი მენშევიკი ლიდერები სამჭოთა რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის, მეტიც, რუსეთთან ტრადიციული კავშირის იდეით გამოდიოდნენ, კერძოთ, ამ აზრს ადგა პარტიის თავკაცი ნოე ჟორდანია, მაგრამ მრავალი პარტიის წარმომადგენლებისაგან შემდგარი კომისარიატის და სეიმის, ისევე როგორც თვით ქართველი მენშევიკები, ამ საკითხში ერთსულოვანი არ იყვნენ".

X.

მიუხედავათ "გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაციის" პროცესისა, საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის("მესამე დასის") რაობის განხილვა მაინც ლენინურ-სტალინური ტერმინოლოგიით წარმოებს:"ბოლშევიზმი" და "მენშევიზმი"(ისევ-და-ისევ მიხდება ამ მარტივი ჭეშმარიტების გამეორება) - არის წმინდა წყლის რუსული მოვლენა და არავერი საერთო არ აქვს საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის("მესამე დასის") რაობასთან: საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია("მესამე დასი") დაარსდა(კიდევ ერთხელ უნდა გავიმეორო) 1893 წლის 7 თებერვალს, ე.ი. ხ უ თ ი  წ ლ ი თ  უ ფ რ ო  ა დ რ ე, ვიდრე რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. და არსებითი განსხვავება რომ არსებობდა საქართველოსა და რუსეთის სოციალდემოკრატიულ პარტიებს შორის, ამის დასადასტურებლად ისევ უნდა მოვიყვანო საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის("მესამე დასის") დამაარსებლისა და თეორეტიკოსის ნოე ჟორდანიას სიტყვები:

XI.

"...ს.ჯიბლაძესთან და ეგნატესთან(ნინოშვილი. კ.ი.) ერთად გადავწყვიტეთ ხელახლა შეყრა...საკითხისადმი მიდგომა იყო ორი მხრით - ნაციონალურის და ტაქტიკურის. უნდა მომენახა ისეთი ღერძი, რომლითაც შეიძლებოდა ძველი საზოგადოების გადატრიალება. ასეთ პიონერათ მიმაჩნდა მუშები და ეს ელემენტები უნდა მომენახა ჩვენს ცხოვრებაში. ახლა მე არ შემიძლია ახსნა მეორე დებულების - ერის თავისუფლების აუცილებლობის. არ ვიცი საიდან ამოვიღე ეს; არც ერთ ნაწერში, რომელიც მე წამიკითხავს იმ დროს, ასეთი აზრი არ იყო გატარებული, არ ერთი ქვეყნის სოციალისტები ამ დებულებას არ აყენებდნენ. რუსები,პოლონელები, პირიქით, მას ებრძოდნენ....ჩემი დებულება იყო საერთო ხასიათის და მოკლებული კონკრეტიულ ფორმას. არ იყო ნათქვამი საქართველოს განთავისუფლება, თუმცა მასში სწორედ ამას ვგულისხმობდი.......რა ძირითად მოსაზრებებიდან გამოდიოდა ერის თავისუფლება? მხოლოდ ერთიდან - დემოკრატიულ მსოფლმხედველობიდან. თუ კი პიროვნება უნდა იყოს თავისუფალი, თუ მთელი საზოგადოება თავის თავს უნდა მართავდეს, რატომ ერი,როგორც ერთი დიდი ეთნიური საზოგადოება, არ უნდა მართავდეს თავის თავს, არ ქონდეს თავისი სახელმწიფო....ამით საზოლაოთ დავშორდით ნაროდნიკულ, რუსულ ყველა სკოლის სოციალიზმს..."(ნ.ჟორდანია:"ჩემი წარსული",პარიზი,1953 წ.;გვ.39-31).

XII.

"ამგვარად, ტრადიციული მარქსისტული სოციალიზმის შეხეთქა მოხდა თფილისში, თებერვლის კონფერენციაზე(1893 წ.). მან მიიღო ნაციონალური ფორმა".(იქვე).

და ეს დებულება ახე იქნა ჩამოყალიბებული "მესამე დასის" სამოქმედო პროგრამაში, რომელიც მიღებულ და დამტკიცებულ იქნა იმავე 1893 წლის კონფერენციაზე თბილისში:"ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა. თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული ადამიანისა".

ესაა "ქართველი სოციალდემოკრატების ნიჰილისტური დამოკიდებულება ქართული ეროვნული საკითხისადმი",როგორც ამას უ.სიდამონიძე ამბობს?..

XIV.

"...ჩვენი სოციალიზმი თანდათან ღებულობდა ხალხურ ხასიათს. ამ დროს არც რუსეთში, არც ევროპის სოციალდემოკრატების პროგრამაში გლეხთა დაცვის საკითხი არ იდგა. რუსეთში გლეხების კიდევაც ეშინოდათ, თუ აიშალა დაგვანგრევსო..." (გვ.49).

"ამნაირად, საქართველოში მხოლოდ დამკვიდრდა და გაბატონდა მარქსიზმის ძირითადი ორგანიზაციული და პოლიტიკური ლოზუნგი: მუშათა კანთავისუფლება თვით მუშათა საქმეა. ჩვენ გამოვეყევით როგორც რუსებს, ისე ევროპიულ სოციალიზმს. რუსების ლოზუნგი და პრაქტიკა იყო: მუშათა განთავისუფლება 'თავდადებული ინტელიგენციის საქმეა', ლოზუნგი წმინდა ნაროდნიკული, და ახლა ს.-დ. მიერ მითვისებული. ორივე შემთხვევაში, ევროპაში და რუსეთში, მუშათა მასად გულიხხმობდენ მხოლოდ ქარხნის მუშებს, სამრეწველო პროლეტარიატს, რომელიც შეიყვანს აღთქმულ ქვეყანაში დანარჩენ მშრომელთა მასას(გლეხი,ხელოსანი და სხ.). ჩვენ კი გადავაბით მუშას გლეხი და მათგან შევქმენით ერთი რაზმი, ერთი ჯარი, რასაც უნდა განეახლებია ერის მობერებული, დრომოჭმული სოციალ-პოლიტიკური შენობა".(გვ.67).

XV.

"1902 წლის დამდეგს ციხეში მივიღეთ თბილისის კომიტეტის ფურცელი,რამაც გაგვანცვიფრა იმით, რომ თავზე ეწერა: - რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. გამიკვირდა, რა შუაშია რუსეთის პარტია. როდის შევერთდით, რა პირობით - არაფერი არავინ იცოდა.....დამაფიქრა, შემეშინდა იდეოლოგიურადაც არ მიგვეღო რუსების მთელი პოზიცია, სადაც არ იდგა არც გლეხის საკითხი, არც ნაციონალური, არც ორგანიზაციული ჩვენის მნიშვნელობით და სხ. საჭიროა ამ უკანასკნელი ახსნა. ჩვენში ორგანიზაცია შესდგებოდა მხოლოდ მუშებისაგან, ორგანიზატორები და ხელმძღვანელები იყვნენ ისინი. მხოლოდ პროპაგანდისტები იყვნენ ინტელიგენტები, მაგრამ მათ არ ქონდათ გადამწყვეტი ხმა კომიტეტში და რაიონებში......რუსეთში კი იყო პირუკუღმა: ორგანიზაცია შესდგებოდა ინტელიგენტ-პროპაგანდისტებისაგან.....ეს იყო,მამასადამე პარტია არა მუშების, არამედ მუშების სახარგებლო, დიამეტრალურად წინააღმდეგი ჩვენი პარტიული წყობისა".(გვ.54-55). "რაკი ასეთი დიდი განსხვავება იყო ჩვენსა და რუსებს შორის, სახიფათოთ მიმაჩნდა ახე ხელაღებით მათ პარტიაში გათქვეფა. მაგრამ რაკი ეს მოხდა, საჭირო იყო თავისი ხასიათის შენარჩუნება და ცდა ამ მხრით გავლენის მოხდენა თვით რუსებზე".(გვ.55).

XVI.

და თვით რუსეთისა და ევროპის მუშებიც კი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდენ ქართველი მუშებისაგან: ევროპაში "...მუშა იყო მართლა პროლეტარი, უძრავ საკუთრებას მოკლებული და მხოლოდ ქირაზე მიშვებული; ჩვენი მუშა კი იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლელი, მცირე მესაკუთრე, მაგრამ მაინც მესაკუთრე, უმუშევრობის დროს თავის შინ ბრუნდებოდა და თავი იოლად გაჰქონდა". (გვ.35).

## XVII.

მარტივი ენით რომ ვთქვათ, საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია ("მესამე დასი") იდგა პარტიული, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის "ქვემოდან" აგების განმხორციელებელი, დიამეტრალურად რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიისა, რომელიც "ზემოდან" დიქტატურის მომხრე იყო დასაწყისიდან და დარჩა დღემდე, სულ ცოტა, მისი ბოლშევიკური ფრთა. და ყველა ამ არსებითი განსხვავებისა საქართველოს სოციალდემოკრატიული და რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიებს შორის, (დიახ, "პარტიებს შორის", ვინაიდან ოფიციალური გაერთიანება არასოდეს არ მომხდარა "მესამე დასელებსა" და რუსეთის სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიას შორის), - საქართველოს ინტელიგენციის ნაწილი, ამ შემთხვევაში უმანკი სიდამონიძე და რევაზ ჯაფარიძე, (მსგავსად, პოლიტიკურ ემიგრაციის ეროვნული დემოკრატიული პარტიის თითქმის ყველა წევრისა და მიმდევრებისა), - რომ იტყვიან ხოლმე, "წელებზე ფეხს იდგამს", რომ გააიგივოს საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია რუსეთის სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიასთან?..

## XVIII.

კიდევ მეტი: აღნიშნული აზრის (თუ უაზრობის?) მომხრეები ყოველი ხერხით ცდილობენ - ერთი მხრივ - (ახლა საბჭოთა საქართველოშიც) ხოტბა შეასხან "26 მაისს", მაგრამ - მეორე მხრივ - "26 მაისის" განმხორციელებლები, "მესამედასელები" როგორმე, თუ შესაძლებელია, არც კი ახსენონ ხოლმე. იგივეობა პოლიტიკური ემიგრაციის "მემარჯვენე ფრთის" თითქმის ყველა მიმდევარსა და საბჭოთა საქართველოს "ოფიციალურ პოლიტიკას" შორის "გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაციის" პროცესის დროსაც. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რევაზ ჯაფარიძე, მაგალითად, თავის აღნიშნულ სტატიაში "მორცხვად", მაგრამ მაინც აღნიშნავს: "ჩემს მიზანს არ შეადგენს ძირფესვიანად მიმოვიხილოთ სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობა იმ დროის საქართველოსი, რომელიც არცთუ მართებული ტრადიციის თანახმად 'მენშევიკების ბატონობის' პერიოდად იხსენიება". როგორც ჩანს, მიუხედავად "გარდაქმნის" პროცესისა, ავტორს ახლაც არ შეუძლია ისტორიული ფაქტის მიუდგომელი ასახვა, რომ საქართველოში 1918-1921 წლებში არსებობდა არა "მენშევიკების ბატონობა", არამედ, დემოკრატიული გზით არჩეული მთავრობის ბატონობა, რა თქმა უნდა, ოპოზიციის პირობებში, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. და განა თვით ლენინმა 1920 წლის 7 მაისს საზავო ხელშეკრულება არ დადო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და არა "მენშევიკებთან?.."

## XIX.

ერთი საგულისხმიერო პარალელი: რუსეთის სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიაში, მეფის რუსეთის იმპერიის დროს, იყვნენ ფინელები, პოლონელები თუ სხვა ერის შვილები, მაგრამ არც ფინეთის, არც პოლონეთის სოციალდემოკრატებს, თვით ფინელები და პოლონელები არასოდეს არ უწოდებდნენ და არც უწოდებენ "მენშევიკებს", ვინაიდან მათ "მენშევიზმი"-"ბოლშევიზმი", სამართლიანად, "წმინდა წყლის" რუ-

სულ ფოტლენად მიაჩნდათ და მიაჩნიათ. ჩვენი "მემარჯვენეები" და ქართველი ბოლშევიკები, საქართველოს სოციალდემოკრატებს ისე უწოდებენ "მენშევიკებს", რომ ეს თითქოს საგინებელი სიტყვა იყოს!.. ესაა "პატრიოტიზმი", ესაა "[illegible] დაქმნა"?..

ბიბლიოთეკა

XX.

მერმეთ: მიუხედავათ "გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაციისა" ისევ-და-ისევ "ნახევარი-სიმართლე","ისტორიული ფაქტის მხოლოდ ერთი-მხარის აღნიშვნა"!.. "1918 წლის 9 აპრილს ამიერკავკასიის სეიმმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა. შეიქმნა მრავალი პარტიის წარმომადგენლებისაგან შემდგარი ახალი კაბინეტი(ავტორს,როგორც ჩანს სიტყვა"მთავრობა არ სურს იხმაროს.კ.ი.),რომელსაც ევგენი გეგეჭკორის ნაცვლად სათავეში ამჯერად აკაკი ჩხენკელი ჩაუდგა. ამ ფაქტს ამიერკავკასიისა და თურქეთის ურთიერთობაში არავითარი ცვლილება არ მოჰყოლია. ეროიანობის მირგამომთხრელნი კვლავ პროთურქულ პლატფორმაზე მდგარი მუსავატელები იყვნენ. ისინი კვლავ ბაქოში ეპატიჟებოდენ ერთმორწმუნე თურქებს..." და სომხები?!.. რატომ არ ამბობს ავტორი, რომ არა მარტო მუსავატელების პროთურქულმა პოლიტიკამ, არამედ,ამასთანავე, დაშნაკების პრორუსულმა პოლიტიკამ გამოუთხარა ძირით ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას?.. როგორ ?.. პროთურქული პოლიტიკა დასაგმობია, ხოლო პრორუსული არა?!..

XXI.

ამით აიხსნება, ალბათ, ის ფაქტი, რომ - მიუხედავათ "გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაციის" პროცესისა - საქართველოში დღეს ყველა პიროვნება, ყოველი პოლიტიკური მიმართულება "მისაღებია" თუ ის რუსეთთან "ერთადყოფნას" ქადაგებს. ამის მაგალითად შეგვიძლია საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია და მისი ლიდერი არჩილ ჯორჯაძე მოვიყვანოთ, რომელიც, როგორც ჩანს, უფრო "მისაღებია" მოსკოვისათვის დღესაც -"გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაციის" დროსაც,-ვინაიდან სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, როგორც თვით სახელწოდებაც ამბობს, რუსეთთან "ფედერაციის"მომხრე იყო. ამით აიხსნება ისიც, რომ არჩილ ჯორჯაძე დღეს საბჭოთა საქართველოში, ასე ვთქვათ, "დამვებული"პიროვნებაა, რის შედეგად უმანკი სიდამონიძეს, მის სტატიაში, მოყავს ა.ჯორჯაძის შემდეგი სიტყვები:

XXII.

"სახელმწიფომ შვა  ერი, და იქ, სადაც ერისა და სახელმწიფოს შუა გათიშვა მოხდა, ერი სულ იმის ცდაშია, რომ გათიშულ სახელმწიფოსთან ან ხელმეორედ შეჰკრას კავშირი, არ შექმნას რაიმე მისი მსგავსი ორგანიზაცია, სადაც გათიშულ და ლტოლვილ ერს სურს თავი შეაფაროს. აქ იმალება ის მიზეზი,რომ თანამედროვე ეროვნული მოძრაობა არის მოძრაობა ან ახალი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ან მათ მსგავს დაწესებულებათა დაარსებისა. ავტონომია, ფედერაცია და დამოუკიდებელი სახელმწიფო... ამ მოძრაობის რგოლებია, ამ მოძრაობის შემადგენელი ელემენტებია".

XXIII.

თუმცა ერი შობს სახელმწიფოს და არა,პირიქით, სახელმწიფო ერს - (საბერძნეთი, ანტიკური საბერძნეთი არასოდეს არ ყოფილა ერთი სახელმწიფო,მაგრამ ვითომ ბერძენი ერი არ არსებობდა?!..), მაგრამ "ავტონომიის" თუ "ფედერაციის"

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკითხი დღეს, სულ ცოტა, საქართველოსათვის დრომოჭმული არ არის?.. და აქ ისევ ერთი ამონაწერი:"კომისარიატის და შემდეგ სეიმის სათავეში მოქცეული ქართველი მენშევიკი ლიდერები საბჭოთა რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის, მეტიც, რუსეთთან ტრადიციული კავშირის იდეით გამოდიოდნენ, კერძოთ, ამ აზრს ადგა პარტიის თავკაცი ნოე ჟორდანია, მაგრამ მრავალი პარტიის წარმომადგენლებისაგან შემდგარი კომისარიატიც და სეიმიც, ისევე როგორც თვით ქართველი მენშევიკები, ამ საკითხში ერთსულოვანი არ იყვნენ". რევაზ ჯაფარიძის მიერ ასახულ ამ ისტორიულ მდგომარეობას აქვს მრავალი ასპექტი:

1.ანგარიშში უნდა ყოფილიყო მიღებული–თუ რა სურდა ქართველ ერს, ვამბობ, ქართველ მუშებსა და გლეხებს და არა ქართველი ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომელიც იჩენდნენ "ურა-ნაციონალიზმისა" თუ "ურა-ინტერნაციონალიზმისაკენ" მიდრეკილებას. ქართველ ხალხში მაშინ(და თუ საბჭოთა საქართველოდან ტურისტად ევროპაში ჩამოსულ ქართველებს დავუჯერებთ დღესაც) იმდენად მერყეული ჰქონდათ თვითრწმენა, დამოუკიდებლად არსებობის რწმენა, რომ რუსეთის ალტერნატივათ,საქართველოს დამოუკიდებლობას კი არა,"თურქების მოსვლას" თვლიდა. ვითომ დღესაც ეს ასეა?..

2.სომხების მაგალითმა,1915 წელს, როცა ათასობით, ასიათასობით სომეხი შეეწირა "ორ-პირულ" პოლიტიკურ მოქმედებას, - სიფრთხილისაკენ მოუწოდა ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომ ქართველი ერისათვის არც მოსკოვს და არც ანკარას არ მიეწებებინათ "მოღალატის" იარლიყი' საბედისწერო შედეგებით. ამით აიხსნება აგრეთვე, თუ გნებავთ,"საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის" პრეამბულის ის ადგილი, სადაც ლაპარაკია, რომ "...საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს..."(თავისი ნებით კი არ შეუერთდა საქართველო რუსეთს, არამედ რუსეთმა მოახდინა საქართველოს ანექსია). ან კიდევ:"რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერ-კავკასია. დარჩნენ-რა თვისი ძალ-ღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერ-კავკასიამ თვით იდვეს თავსა საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა..."

XXIV.

ხედავთ - "ურა-ნაციონალისტებისა" და "ურა-ინტერნაციონალისტებისაგან" განსხვავებით - როგორ "ზომიერ" პოლიტიკურ ხაზზე იდგნენ საქართველოს დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლები?..

XXV.

ახლა შევეხოთ უშანგი სიდამონიძის ერთ დებულებას სოციალიზმის მშენებლობის შესახებ:"ისინი(ე.ი.ქართველი სოციალდემოკრატები. კ.ი.) ერთ-ერთი პირველი სოციალ-დემოკრატები იყვნენ, ქვეყნის სათავეში რომ აღმოჩნდნენ. ასეთი მთავრობა შემდეგ ბევრი ყოფილა ევროპაში, მაგრამ ვინ იტყვის მათზე, სოციალიზმს აშენებენო. რატომ ვთხოვთ ქართველ მენშევიკებს მშრომელთა ინტერესების დაცვას? მენშევიკები სახელმწიფოს აშენებდნენ არა სახელმწიფოს მშენებლობის წესებით, არამედ თავიანთი პარტიული დოქტრინით, რასაც, ცხადია,მარცხი მოყვა". გასაკვირია, გასაკვირი, რომ უშანგი სიდამონიძე სრულიად უსაფუძვლოდ იმას აბრალებს საქართველოს სოციალდემოკრატებს, რაც საქართველოში სწორედ ბოლშევიკებმა გააკეთეს, ლენინის ბრძანებით, როცა მათ დამოუკიდებელი საქარ-

თველო დაიპყრეს, ლენინის წითელი 'არმიის მეშვეობით, 1921 წლის თებერვალ-მარტში!.. და მით უფრო გასაკვირია ამგვარი მტკიცება დღეს, ე.წ-ლი"გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაციის" გორბაჩოვისეული პოლიტიკის ცხოვრებაში ეროვნული ბიბლიოთეკა
ბის(თუ არ-გატარების!) დროს, - რითაც მართლაც ნათელი ხდება, რომ ბოლშევიკური სოციალიზმ-კომუნიზმის მშენებლობა ისე ჩაიშალა, რომ ახლა ისევ "თავისუფალი ბაზრისაკენ" და დემოკრატიისაკენ პირის მობრუნება სურთ თვით ბოლშევიკებსაც კი. რაც შეეხება ე.წ-ლ"სოციალიზმის მშენებლობას" დამოუკიდებელ საქართველოში, საქართველოში მიმდინარეობდა დემოკრატიული, უმღვრივი სახელმწიფო წესყობილების მშენებლობა, რომლის იდეოლოგიური ბაზა იყო და დარჩა - სოციალიზმისა და დემოკრატიის იდეების ერთმანეთთან შერწყმა, რომლის დროს მბრძანებელი, სუვერენი იყო ქართველი ხალხი, რომელიც დემოკრატიული გზით ირჩევდა სახელმწიფო ხელმძღვანელობას პოზიციას(მთავრობასა) და ოპოზიციას, როგორც ეს მოხდა 1919 წლის თებერვალში, დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს, რომელიც - სხვათა შორის - იყო პირველი დემოკრატიული არჩევნები საქართველოს მთელს ისტორიაში და დარჩა დღემდე, ვინაიდან ამის შემდეგ დემოკრატიული არჩევნების საშუალება ქართველ ხალხს აღარ გააჩნია ბოლშევიკური რეჟიმის შედეგად. "მარცხი მოყვა" საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივმოღვაწეობაში საქართველოს სოციალ-დემოკრატებს და,საერთოდ, მთელს ქართველ ხალხს, არა იმიტომ, რომ საქართველოს დემოკრატიული პოლიტიკური პარტიები არ იდგნენ თავიანთ სიმაღლეზე, არამედ იმიტომ, რომ ლენინის საბჭოთა რუსეთი დაადგა მეფის რუსეთის იმპერიულ, დაპყრობით პოლიტიკას და საბჭოთა რუსეთმა იარაღის ძალით დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო. ნუთუ ამის ღიად თქმა და დაბეჭდვა დღესაც არ შეიძლება?..

XXVI.

და საქართველოს ტერიტორიის საკითხი?.. - "...უმძიმეს პირობებში საქართველომ შესძლო თავისი მიწა-წყალი შეენარჩუნებია, გაედევნა თურქეთის არმიები იმ ტერიტორიიდან, რომლებზეც ბრესტის ზავით ხელშეკრულ მე-11 არმიას ხელი არ მიუწვდებოდა. თუ არა თავგანწირვა ერისა და იმ მოღვაწეებისა, რომლებიც ურთულეს ისტორიულ პირობებში წარმართავდნენ მას, დღეს საქართველოს რესპუბლიკის გარეთ, თურქეთის ფარგლებში იქნებოდა, სულ ცოტა, ბათუმი აჭარითურთ და ძველი მესხეთის მნიშვნელოვანი ნაწილი - ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები..." რა თქმა უნდა, რევაზ ჯაფარიძე აქ ვერ ბედავს საქმის ნამდვილი ვითარების აღწერას. ის ეხება მხოლოდ დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის უკანასკნელ ფაზას, როცა საქართველოს არმიამ მაინც შესძლო ლენინის მიერ ბრესტის ზავით საქართველოს გაჩუქებული ტერიტორიის ნაწილის შენარჩუნება. მაგრამ რატომ არაფერს არ ამბობს ავტორი დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის შესახებ, რომელიც - როცა საბჭოთა რუსეთმა დაესხა დამოუკიდებელ საქართველოს - 91.110 კვადრატულ კილომეტრს უდრიდა, ხოლო დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის შემდეგ ლენინმა საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი თურქეთს გადასცა, ზაქათალა და ლორი ჩვენს მეზობლებს მისცეს,ხოლო რუსეთმა სოჭი და მისი რაიონი მიითვისა, თითქოს რუსეთს ტერიტორია აკლდეს?!.. და საქართველომ რომ 21.410 კვადრატული ტერიტორია დაკარგა და დღეს საბჭოთა საქართველოს ტერიტორია მხოლოდ 69.700 კვადრატული კილომეტრია - ამას ჩვენ ლენინსა და ქართველ ბოლშევიკებს არ უნდა ვუმადლოდეთ?..

აქ ერთი ამონაწერი ნოე ჟორდანიას მოგონებიდან -"ჩემი წარსული"(პარიზი, 1953 წელი) - ქართველი ბოლშევიკების ანტიქართული მოქმედების შესახებ: "ვიცოდით, რომ ფილიპე მახარაძემ მოიკალათა ოსთა შორის და ეწეოდა პროპაგანდას 'საქართველოს გაბატონების წინააღმდეგ ოსებზე!' მოითხოვდა ამათ შეერთებას ჩრდილო ოსეთისათვის და სხვა. ამავე დროს სამეგრელოს და სოხუმის ოლქის ზოგ სოფლებში ააფრიალეს ბოლშევიკური დროშა, აგრეთვე უფრო სერიოზულად ლაჭა-ლეჩხუმში. ყველაფერი ეს იმ დროს, როცა ოსმალეთი მოელოდა ბათუმის დასაკავებლად და ჩვენ ვაწყობდით წინააღმდეგობის გაწევას. ამნაირად, მოხდა დაკავშირება თურქებისა და ქართველი ბოლშევიკებისა ჩვენი ტერიტორიის წასაგლეჯად, ჩვენი ხელისუფლების დასამხობად".

XXVIII.

კიდევ ბევრის, ბევრი თქმა შეიძლება უშანგი სიდამონიძისა და რევაზ ჯაფარიძის სტატიებში წამოჭრილ საკითხებზე, მაგრამ ყველაზე უფრო შეუსაბამოთ მივაჩნია სათაური "ოქტომბრის პირმშო - გარდაქმნით დაბრუნებული". ალბათ, ავტორს უნდა თქვას, რომ ერის, ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებისა თუ აღდგენისათვის აუცილებელი წინაპირობაა საერთა-შორისო მდგომარეობა, და ამგვარი საერთა-შორისო მდგომარეობის შექმნას ხელი შეუწყო ბოლშევიკური რეჟიმის დამყარებამ საბჭოთა რუსეთში. მაგრამ ამით შეიძლება "26 მაისს" "ოქტომბრის პირმშო" ვუწოდოთ?.. ეს ხომ"შეუდარებლის" "შედარება", კიდევ მეტი, მის "მვილად" გამოცხადებაა?.. როგორ შეიძლება ბოლშევიკური დიქტატორული რეჟიმის "პირმშო შვილად" საქართველოს დემოკრატიული, უფლებრივი სახელმწიფოს გამოცხადება?.. გასაკვირია, გასაკვირი, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ -"გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაციის" პროცესი ისეთი "შეუქცევადი" არ უნდა იყოს, როგორც ამას თვით უშანგი სიდამონიძე წერს, და, რა გასაკვირია, რომ ყოველმა ფრთხილმა ავტორმა "უკან დასახევი გზაც" უნდა დაიტოვოს!..

XXIX.

ამრენად, ჩვენ, პოლიტიკურ ემიგრანტებს, რომლებიც თავისუფლების პირობებში ვცხოვრობთ, - მიუხედავად აღნიშნულ სტატიებში დაშვებულ"არასიზუსტისა",- შეიძლება, თავი უნდა შევიკავოთ კრიტიკისაგან იმ ავტორებისა, რომლებიც ნაწილობრივ მაინც ასერხებენ ნათელი მოჰფინონ საქართველოს, ქართველი ხალხის უახლოესი ისტორიის ამა თუ იმ მონაკვეთს. და ამ მიმართულებით უკვე პირველი ნაბიჯი გადადგმულია, რომელსაც, ვიმედოვნებთ, შემდეგი ნაბიჯები მოჰყვება ისე, რომ მომავალ, ე.ი. 1989 წლის 26 მაისს - ვინ იცის!.. - შეიძლება აღინიშნოს ეს ჩვენი ეროვნული დღესასწაული ოფიციალურად მთელს საქართველოში.

XXX.

26 მაისის, ჩვენი ეროვნული დღესასწაულის, ოფიციალური აღნიშვნის აუცილებლობა საქართველოში, სხვათა შორის, თვით უშანგი სიდამონიძისა და რევაზ ჯაფარიძის აღნიშნული სტატიებიდანაც გამომდინარეობს, თუ სიტყვას საქმედ ვაქცევთ. და ეს არ იქნებოდა ერთი ნაბიჯი წინ საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლის ეკლიან გზაზე?..

კარლო ინასარიძე

პარიზი, 1988 წლის აგვისტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტ ი ც ი ა ნ ტ ა ბ ი ძ ე

1985 წელს ბოლშევიკური რეჟიმისაგან წამებულ პოეტ ტ. ტაბიძეს დაბადებიდან 90-წელი შეუსრულდა, ამ თარიღთ ან დაკავშირებით მის ხსოვნას და მოგონეას მისივე ჯალათებმა გაუმართეს საგანგებო რიტუალ რომელიც დაიწყო, ჩვენ დედაქალაქ თბილისში და დამთავრდა საბჭოთა იმპერიის სატახტო ქალაქში-მოსკოვში; რიტუალს ხელმძღვანელობდა, საქართველოს მწერალთა კავშირის ბიურო და მისი პარტიული კომიტეტი, რასაკვირველია არავისთის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რიტუალის მთავარი ზედამხედველი იყო მოსკოვი.

ტ. ტაბიძე იყო წევრი, ქართველ მწერალთა იმ კორპორაციისა, რომელმაც თავის დეკლარაციით, ჩვენი ეროვნულ ლიტერატურაში და მის ისტორიაში დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი, ცნობილი "ცისფერ ყანწელების" სახელწოდებით.

მათი დეკლარაცია იყო, ჩვენ სამშობლოში პირველი მოვლენა, რომლის საშუალებით, საქართველოს ლიტერატურის უძველეს პარნასზე, ქ. ქუთაისში წარმოთქვა ქართული მოდერნული მხატვრული სიტყვა ეროვნული მეტყველობის აზრთა წყობილობის წინადადებებით წარმოსახული ერის წინაშე, კოლექტიური შეგნებით და ალმ აფრენით.

ტ. ტაბიძე იყო არათუ ერთი დამარსებელთაგანი და აქტიური წევრი ორდენისა, ის იყო აგრეთვე მისი უალრესად მოწინავე შემომქმედი, თავისი სუბიექტიური მონაცემებთან ერთად აღჭურვილი უმაღლესი კლასიკური განათლებით.

ღვთიური მადლის ძლიერებით მონიჭებული ტალანტი ამეტყველებული ინეტიქტიური შთაგონებით საკუთარ სულიერ სამყაროში მას მოუწოდებდა, პოეტური შემოქ ედებით პატრიოტიზმის მწვერვალებისაკენ.

ოციან წლებშიმას, საკუთარი წინათგრძნობის ლოგიკური აუცილებლობის ლანდები თავს დასტრიალებენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც რუს პოეტთა შორის თვითმკვლელობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, როგორც საუკეთესო საშვალება, ბოლშევიკურ სამსხვერლობზე წამებისაგან თავის დასახწევათ.

საინტერესოა, გავიხსენოთ ზოგიერთი რამ მისი ლექსიდან, რომელიც მან მიუძღვნა 1926-წელს თამუნია წერეთლის ასულს; მისი წამების და რეაბილიტაციის, ესეიგი კომუნისტური რეჟიმის ბრძანების წყალობით მისი გაცოცხლ

-ების შემდეგ გამოცემულ მის ლექსთა კრებულიდან გამო-
-რიცხულია, რომლის რედაქტორი არის ბ-ნი ი. აბაშიძე.

" მე არ მაცხია მონგოლის თაფლი,
და ხელ გაკრული არ ვზივარ მზეზე,
მაგრამ ბუზები, რომ ვერ დაითვლი,
კბენენ ჩემ ხხეულს ხულ უმიზეზოთ!"
.................................

"ამ სიბნელეშიც მოდის ნათელა
ქველი წერეთლის ამაყი ქალი.

" მე თუ ცხოვრებამ მართლა გამ თელა
მღელვარე გულის დამრჩა ფართხალი,.
მაგარი არი ხომ"მოდი_-ნახე",
ლექსს უფრო მტკიცე აქვს გალავანი
და ეს პოემაც შენ შეინახე
მეც პოეტების ვარ ფალავანი." -ც. ც--მე.

განმეორებით შეიძლება ითქვას, ის გრძნობდა თავის ღი-
რსებაში შემოქმედების ამომავალ ტალანტს, რომელიც
მაშინდელ ეროვნულ პარნასზე მყოფ ლემოსტრანტ პოეტთა
შორის ფალავანობის უკვდავი ჭეშმარიტება იყო; ის ტა-
-ლანტი თავისი ჭეშმარიტებით ისეთივე დარჩა ერის სუ-
-ლში და გულში, როგორც ხელმიუწვდომელი ეროვნული სა-
-განძური; ის არ ემორჩილება და არც ექვემდებარება
პარტიის და ჩეკისაგან ბოძებულ რეზოლიუცია-განაჩენ ს

თითოეული მათგანის შემოქმედების ურთერთ ერთობ-
-ლიობაში გამოისახა ცდა იმისა, რომ თანამედროვე ქართ-
-ული პროზა – პოეზიის მხატვრული სიტყვა სიმბოლიური
შემეცნებით გამოეხატა და ამთ ეხსნა ნატურალიზმის
ქვეშევრდომობის მდარე ხარისხისაგან, ამა-
-ხთანავე მისივე წყალობით გამოწვეული, მხატვრული სი-
-ტყვის კრიზისში წარმოშობილი წინადადების პრიმიტიული
აღნაგობა.

ყოველივე ეს მოითხოვდა, ყოფნა-გაგების მოდერნი-
-ზაციას,რომ ქართული პატრიოტიზმის კულტურული ძლიერ-
-ება გამხდარიყო იმ დროისათვის, ევროპის მოწინავე
ერების ცივილიზაციის პროგრესიულ მსვლელობაში თანამ-
-გზავრობ ის შემძლე ღირსეული პარტნიორი.

ცისფერი ყანწელები ხშირად გამოთქვამდნენ,წუხილს:
ევროპა მალე შემოაღებს კარებს და ჩვენ უნდა
დავხვდეთ, საკუთარი თანამედროვე ეროვნული კულტურის
მთლიანი შემეცნებით და განწყობილებით.

მაშინ იყო , პირველი მსოფლიო ომის მეორე წელი;
იმ დროის საზოგადოებრივი მასის სულიერი და პრაქტი-
-კული საქმიანობის განწყობილება მკაფიო წინადადებაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვს გამოთქმული, ცნობილ ქართველ პუბლიცისტ-მწერალს
გ. ქიქოძეს: " ...... მაგრამ ცხოვრების ახალი სტ-
-ილი ჯერ კიდევ ვერ შემუშავდა. ტრადიციული და მოდერ-
-ნული ელემენტები უცნაურად აირია ერთმანეთში."
/გ. ქიქოძე./ მათმა დემოსტრაციულმა დეკლარაციებმა
ქართულ საზოგადოებრივ - ყოფა- ცხოვრებაში მართლ-
-აც გამოიწვია არაჩვეულებრივი, მაგრამ სხვადა სხვა
გვარი რეაქციული რეზონანსი!

ამ საუკუნის დასაწყისში, რუსეთისში, რუსეთის
იმპერიაში აბსოლუტური მონარქიის წინააღმდეგ მიმა-
-რთულმა რევოლიუციის პრაქტიკულმა საქმიანობამ მარ-
-ცხი განიცადა, რომლის შედეგათ, იმპერია რეაქციის
ტალღებმა მოიცვა; რეაქციის თარეში, განსაკუთრებით
მძიმე და აუტანელიიყო, არა რუსული ეროვნებათათვის,
თავისი საშინელი და შემზარავი შედეგებით; საქართ-
-ველო ცეცხლის ალში. გახვეული, დაუნდობელი ტერო-
-რიზმის მრისხანების ასპარეზად გადაიქცა.

ცხადია, ცხოვრების წინ მსვლელობაში რეაქციამ
გზა გადაუჭრა ადამიანის სულიერ. სამყაროში პროგრესიულო
-ბას და პიროვნების ინტელექტუალური სახიერება თითქმის
მინიმუმამდე დაიყვანა.

ეროვნული ყოფის შინაგან განწყობილებას გამძა-
-ფრებული მხოლოდ ომის და შინაგანი პოლიტიკური რეაქ-
-ციის გამოწვეული მგლოვიარობა,-გოდება-მწუხარების
თალხად გადაეფარა; საზოგადოებრივ დღის წესრიგში დარ-
-ჩა , მხოლოდ ერთი საკითხი, საკითხი არსებობის შენარ-
-ჩუნებისა!

როგორც გადასულ საუკუნეების სისხლის ტბორებში
აცურებულ ქართველ ერს ხელიდან არ გაუგდია ხმალთან
ერთად არც კალმისტარი და სულთამლაფავი, ყოველთვის
იმის მცდელობაში. იყო, რომ თანადროული. ქართული
კულტურის ეტრატი მისთვის განკუთვნილ ადგილზე მიეტანა,
მუდმივ განსახვენებელში, საკაცობრიო ცივილიზაციის ტა-
-ძარში, შთამომავალთა ღირსეულ საკეთილდღეოთ; არც ამ
ჩვენი საუკუნის ტრაგიკულ საკაცობრიო კრიზისების დროს,
ქართველი. ერის ღირსეულ შვილებს კულტურის შარაგზები-
-დან არ გადაუხვევია; ამის შესახებ მეტყველობენ, იმ
დროინდელი ახალთაობის ეროვნული ენერგიიდან გადმოღვარ-
-ული ინტელექტუალური შემოქმედება,რომლის ისტორიულ ი
დოკუმენტებია ჟურნალები: "ცისფერი ყანწები", "მეოცნე-
-ბე ნიამორები", და მათი თანამომდევნონი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ყოფის სოციალური და ეროვნული განსაკუთრებული პირობების წყალობით, მარქსისტულმა მსოფლმხედველობამ პირველი ადგილი მოიპოვა, ჩვენი ერის ნაციონალური ღირსებისათვის ოდგენის ბრძოლაში, იმ დროს ის, როგორც იდეოლოგია საფუძვლად დაედო, ეროვნული ბრძოლის ავანგარდს, მყოფ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და ეს პარტია იყო, სამშობლოს ოკუპაციის შემდეგაც სამშობლოში, ქართული ეროვნული ბარიკადების ურყევი და ღირსეული ჯარისკაცი და მებრძოლი, ერის მოწინავე დემოკრატიის რიგებში.

მარქსისტული იდეოლოგიის მონაკვეთების პრიმიტიული გაგება და ათვისება დაიმკვიდრა ბოლშევიკურმა პარტიამ, ლენინიზმის სახით! ამ ბოლშევიკური პრიმიტიულობის საუკეთესო მაგალითია ფ. მახარაძის ლენინური ინტერპრეტაცია. აგებული ფეოდალ რეაქციონერ მონარხისტ კნიაზ გ. მუხრანსკ- ბაგრატიონის თეორიაზე, რომელიც 1872-წელს, თავის ბროშურაში წერდა, როგორც ჩერნოსოტენური მომავლის იდილია, მცირე ერების ეროვნული ყოფა-ტრადიციების და ენის აუცილებელ გადამავალობაზე და გაქრობაზე, რუსეთის იმპერიის ზეგავლენით; მაშინდელმა ქართულმა საზოგადოებ-.

რიობამ მკაცრად გაილაშქრა მისწინააღმდეგ, მათ შორის იყო, მის მიმართ მრისხანება გაზრიელ ეპისკოპოსისა. ბოლშევიკების ბელადის ლენინურ ინტერპრეტაციის იდილიაში კი, . . . საბჭოთა რუსეთის იმპერიის ზეგავლენით:

> "ჩვენთვის ნაციონალური კულტურასარ არსებობს, ნაციონალურ ენას მხოლოდ პირობითი და წარმავალი მნიშვნელობა აქვს; რაც შეეხება ნაცი-
> "-ონალურ ზნეჩვეულებებს, ესენი მხოლოდ კონსერვატორობის გამომხატველია."
>
> /ფ. მახარაძე, თხუზ-ლებათა კრებული,
>
> ტომი-IV,გვ.-76./

ჩვენი ეროვნული ლიტერატურის და ხელოვნების პროგრესიულობას ევროპის კულტურული წინმსვლელობის შესატყვისად, დაბადებისთანავე წინ გადაელობა ანტიეროვნული ბოლშევიკური პარტია ფ. მახარაძის ლენინური კონსერვატიზმით.

მათ წინააღმდეგ, პირველი ლაშქრობის წინამორბელი ბრძანდებოდა ფ. მახარაძე, რომელმაც საშინელი მუქარა განავითარა "ცისფერ ყანწელების"

ორდენის წინააღმდეგ ერის სახელით; ბოლშევიკებს კი ხალხს სახელით ლაპარაკი პირველი დღიდანვე დღემდის ხრევით, როგორც პოლიტიკური პროპაგანდის უნიადაგო და ამორალური საშუალებანი! ჩვენი საუკუნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაწყისში ფ. მახარაძის ბნელმა პროპაგანდის-
-ტურმა მოღვაწეობამ სრული ნიადაგი შეუზადა
საბჭოთა რეჟიმის მიერ "ცისფერ ყანწელთა" ფიზი-
-კურ ჟლეტა-განადგურებას , სხვადასხვა ფორმებში
გამოხატულს, მრავალნაირი პოლიტიკური პროვაკაციით.

ფ. მახარაძემ აღრიანად დაწყებული ლაშქრობა
განავითარა 1916-წელს გაზეთ " თანამედროვე აზრში"
სოციალ-დემოკრატიის პარტიულ ყოველ დღიურ ბეჭვდი-
-თი სიტყვის ორგანოში; ამ ისტორიულ სინამდვილის
ფაქტში, მომავლისათვის გასარკვევია, სოციალ- დემ-
-ოოკრატიული პარტიის ორგანომ, რატომ იკისრა მას-
-მინძლობა , ამ სამწუხარო და სამარცხვინ(
ლაშქრობისა?!

სიტყვა დაუთ მოთ ცოტაოდნავ ვრცლად თვით
ქართველ ბოლშევიკები ბ ზელადს ფ. მახარაძეს :

<u>საბრალონი</u>

თვის

""დაახლოვებით ამ ერთი წინად ქართულ გაზეთებში
მოთავსებული იყო შემდეგი ახალი ამბავი: ახლო მომა-
-ვალში ქუთაისში გამოვა კრებული სახელწოდებით "ცი-
-სფერი ყანწები", რომელშიაც მონაწილეობს იღებენ
ახალგაზრდა ქართველი პოეტებიო,. გასულ კვირას ქუთ-
-აისის არე-მარეს,თვით "ცისფერ ყანწების" ენა რომ
ვისმართ, მართლაც"მოევლინა"ხსენებული კრებული.
ამ სტრიქონების დამწერი, მის უნებლიეთ , მოწამე
შეიქნა იმღრმა და გულწრფელი აღშფოთების, რომელიც
გამოეწვია ამ კრებულს საზოგადოების ცოტათ თუ ბევ-
-რათ შეგნებულ ნაწილში. აშკარა იყო,რომ საზოგადო-
-ების ერთი ნაწილი აღარ მალავდა თავის აღშფოთებას
და მზათ იყო პროტესტი განეცხადებია სალხის წმიდ-
-ათა წმიდის, მისი გონებრივი და ზნეობრივი საღა-
-როს -ლიტერატურის შერცხვენისადა წაბილწვისათვის
ეს იყო პირველი წუთები "ყანწების" გამოქვეყნებ-
-ისა; ასეთი აღშფოთების მოწამე მის შემდეგაც მრ-
-ავალჯერ და მრავალ ადგილას შევიქენი. მაგრამ კრ-
-ებულის <u>/ნაბეჭდი გადასულია ქაღალდიდან, ხანგრძ-
-ლივი დროთავითარებების მხვლელობის შედეგათ. ვ.</u>

"...წინ და წინ წარმოდგენილი მქონდა,რაც უნდა ყოფი-
-ლიყო. ამ თავდაჭერას ამ შემთხვევაში საკმარისი სა-
-ფუძველი ქონდა,მარამ ამაზე აქ სიტყვას აღარ გავაგრ-
-ძელებ.

მიუხედავათ ამისა,რამდენიმე მახლობელი ამხან-
-აგის წინადადებაზე ჩემი შეხედულება გამომეთქვა "

ეროვნული
ბიბლიოთეკა

"ცისფერი ყანწების"შესახებ, უკვე ველარ ვთქვი,და
ამჩამრად იძულებული გავხდი დასახელებულ კრებულს გა-
-ვხცნობოდი. უნდა მოგახხენოთ გულახდილათ,რომ ნახ-
-ულმა და წაკითხულმა ბევრად გადააჭარბა ჩემ მო-
-ლოდინს. მაგრამ, მიუხედავათ ამისა,ნუ გაგიკვირდ-
-ებათ,რომწაკითხვის შემდეგ ჩემში უკვე თითქმის არ-
-ავითარი აღშფოთებას ადგილი აღარ ქონდა, პირიქით,
აღშფოთების მაგიერ ჩემში თავი იჩინა სიბრალულის
გრძნობამ; და ეს სრულიად ადვილი ახახხნელია.განა
შეიძლება სერიოზულად აღშფოთდე ისეთი ადამიანის მო-
-ქმედებით ან საქციელით, რომელიც საშინელი და იმა-
-ვე დროს განუკურნებელი სენით არის შეპყრობილი? ას.
-ეთი ადამიანი,რა გინდა ბოროტება ან დანაშაული არ
ჩაიდინოს მან, პასუხისმგებელი არ არის. კანონი, სა
-მართალი და თვით საზოგადოებაც, რომელიც მწვავეთ
გრძნობს ასეთი ადამიანის ჩადენილ დანაშაულის შედე-
-გებს,ღმობიერებას იჩენენ და დამნაშავეს სასჯელისაგან
ანთავისუფლებენ.

"ცისფერი ყანწები" არ თუ დუხჭირი მოვლენაა ჩვენ
ცხოვრებაში, ეს უდიდესი ლიტერატურული დანაშაულიცაა.
"მაგრამ ამავე დროს ერთ წუთსაც არ უნდა დავივი-
-წყოთ,რა გვარ დამნაშავესთან გვაქვს ჩვენ ამ შე-
-მახვევაში საქმე.რომ სიტყვა დიდათ არ გაგვიგძე-
-ლდეს,მე მოვიყვან დასახელებულ კრებულიდან რამდ-
-ენსამე უფრო დამახასიათებელ ადგილს. ამ მხრივ
ყველაზე წინ დგას, რა თქმა უნდა, ბ. პ. იაშვილის
"პირველთქმა", რომლითაც ავტორი მიმართავს ყველას:
"საქართველოს მგოსნებს,ყველა მეოცნებეს, ქართველ
ხალხს". ამ"პირველთქმას" ბ.პაოლო "ქადაგებასაც"
უწოდებს.რას"უქადაგებს " ეს ვაჟბატონი "საქართ-
-ველოს ხალხს"? მთელი მისი " ქადაგება" ოთხ გვე-
-დზეა მოთავსებული, მაგრამ მას არც დასაწყისი
აქვს და არც ბოლო, ე.ი. თქვენ შეგიძლიათ ბოლო და-
-საწყისად მიიღოთ და დასაწყისი ბოლოთ. ეს არის
ნამდვილი ბოდვა ბურანში მყოფი ადამიანის. ჩვენ
ვკითხულობდით ამ ბოდვასდათვალწინ გვიდგა მისი
ავტორი,რომელიც ლაპარაკობს არა ენით, არამედ ხე-
-ლების და ფეხებისქნევით, თვალების ბრიალით და
პირის-ხახის საშინლად გრეხა-პრანჭვით,თითქო ხელ-
-ფეხში ბორკილი აქვს შეყრილი და ცდილობს იქიდან
თავი გაინთავისუფლოს.ეს იქიდან აიხხნება,რომ ავ-
-ტორი თითქო გრძნობს კიდევაც,რომ მისი სიტყვა არ-
-ავის გულს არ ხვდება, საწადელ მთაბეჭდილებას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მკითხველზე ვერ ახდენს,და ეს ნაკლი მას მიმიკით
სურს შეავსოს, მაგრამ ამაოთ.

"მრავლის სასიკვდილო დ გავჩდით ჩვენ ბინ–
–მურშით ( ნეტავი მზემ რაღა დაუშავა ამ უბედუ–
"–რს?) გამთბარ ქვეყანაში",---ასე იწყებს თავის
"ქადაგებას" ბ–ნი პაოლო. თუ ავტორს დაუჯერებთ, "პი–
–რველი თქმა" მისი არის მხამური, იგი ადუღებული
ფოლადივით დასწვავს თქვენ გულს (საბრალო სრულებით
ვერგრძნობს, რომ ამ სიტყვების წაკითხვის დროს მკი–
–თხველი მხოლოდ გაიღიმებს); უწმინდესი ხელოვანის მტ–
–ერნო (ე.ი. ქართველი ხალხი), თქვენ, ვისაცარ გწამთ
ხელოვანის მეფობა და მისი მაღალი ტახტის წინაშე არ
აღიარებთ სამუდამო ქვემევრდომობას . ჩვენი ამაყი
ოცნება გადასცილდა ყოველ საზღვარს(რაც მართალია, მარ–
–თალია), და ჩვენ, უკვდავი ძმები, შევიკრიბეთ ახალი
სილამაზის სადიდებლად..." ხომ ხედავთ,ვინ არის ეს"უწ–
–მინდესიხელოვანი",ვინ ზის "მაღალ ტახტზე" და ვინ მოი–
–თხოვს ხალხისაგან " სამუდამო ქვემევრდომობას"? ეს გა–
=სლვთ ბ–ნი პ. იაშვილი და მისი "უკვდავი ძმები", რო–
--მლებიც ჩვენ "ცისფერ ყანწებში" გვევლინებიან! ამ ავ–
–ათმყოფ ბოდვაში, სანდისხან, ალბად თვით ავტორის უნ–
–ებლიეთ, გამოერევა ნათელი წუთები, როცა ავტორი რამ–
–დენიმეთ თითქო უახლოვდება სინამდვილეს, და მაშინ
მკიახველი ტყობილობს,თუ ვინ ბრძანდებიან ეს ახალი
"რაინდები". ასეთ გამოფხიზლების წუთებში
ჩვენი ავტორი აცხადებს: " ჩვენ ნათელში ვცხოვრობთ,
ნათელში და სიმთვრალეში: გვწამს ყოველგვარი ორგია,
ვადიდებთ დამსხვრევის მშვენიერებას."... " ერთი სი–
"–ტყვით, ვინ მოევლინა ქართველ ხალხს " ცისფერი ყან–
–წების""რაინდების" სახით და პაოლო იაშვილის და გრ.
რობაქიძის მეთაურობით, სიმთვრალის და გარყვნილების
"რაინდები", ქართველ ხალხს,როგორც "ახალ სიტყვას" და
" ახალ გზას". და იმუქრებიან კიდეც, თუ ეს მათი "ახალი
სიტყვა"არ ვიწამეთ და მათ წინაშე მუხლიარ მოვიხარეთ.
ჭეშმარიტად,ფრიადსამწუხაროა მათი სულიერი განწყობილ–
–ება! მაგრამ სიმართლე მოითხოვს განვაცხადოთ, რომ
ერთ სასიამოვნო ამბავს გვაუწყებს ჩვენი მრისხანე
რაინდი"....." ჩვენ გვსურს შევქმნათ გაუგებარი და სა–
–ოცარი სიტყვებით " --გაჰკივის ბ–ნი პაოლო, უზომოთ
გატაცებული თავისი "ახალი სიტყვის" ქადაგებით. კიდევ
კარგი; ეს–ღა დაგვრჩენია სანუგეშოდ: იამდენადაც უფრო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაუგებარი ან სრულიად გაუგებარი სიტყვებით დაიწყებენ
ქადაგებას ისინი გარყვნილებაზე და გათახსირებაზე,
მით უკეთესი იმათ მსმენელთათვის, თუ ახეთები მაინც
აღმოჩდებიან. შემდგომ ამ განცხადებისაპაოლოს ბოდვაში
გამოფხიზლებისწუთი სრულებით აღარ სჩანს. საქართველო-
-დან,როგორც სჩვევიაბურანში მყოფ ადამიანის ფანტა-
-ზიას. იგი მოულოდნელად გადადის პარიჟში. "საქართ-
-ველოს შემდეგ,-- აცხადებს იგი,-- უწმინდესი ქვეყან
არის პარიზი. ადიდე,ხალხო, ეს ჩვეში მრისხანე ქალ-
-აქი, სადაც <u>გიჟური გზცაცებით ჯამბაზობდენ ჩვენი</u>
<u>ლოთი ძმები</u>--- ვერლენი და ბოდლერი, მალარმე, სიტ-
-ყვების მეხაიდუმლე არტურ რიმბო, სიამაყით მთვრალ
"დაწყევლილი ჭაბუკი...." ბოდვა თანდათან ძლიერდებ:
და გარშემო რაღაც ქაოსი მყარდება. ბოლოს ფარდა აი-
-ხდება, და სცენაზე რიგრიგობით გამოდიან გრ. რობაქ-
-იძე, ი. გრიშაშვილი, ელენე დარიანი, ივ. ყიფი-
-ანი, ციცე ცაბიძე და სხვ.,რომლებიც თავიანთ ლე-
-ქსებში ცდილობენ მიუახლოვდენ იმ "იდეალს", რო-
-მელიც პაოლოიაშვილმა გვიჩვენა თავის "პირველ
თქმაში". ამ"ლექსების" გარჩევას ჩვენ ვერ ვიკ-
ისრებთ, სხვაც რომ თავი დავანებოთ, მკითხველს
ესტეტიური გრძნობის შელახვას ვერიდებით. უნდა
შევნიშნოთ მხოლოდ შემდეგი: პაოლო იაშვილის "ქა-
-დაგება", როგორც ჩანს, ჯერჯერობით ყველაზე
უფრო შეუთვისებიათ: გრ. რობაქიძეს,ელენე დარი-
-ანს და ი. გრიშაშვილს. რაიმე მიმართულებაზე და
და ახალ სიტყვაზე ლაპარაკი აქ ყოვლად უადგილოა.
ჩვენ გვეუბნებიან: ეს გახლავს მოდერნიზმი და ფუ-
-ტურიზმიო. თქვენ შეგიძლიათ, რანაირი "იზმი" გი-
დათ ის დაარქვით ამ სიდუხჭირეს და გარყვნილებას,
მხოლოდ ერთი გარემოება კი აქ აშკარა ხდება ყველა-
-სათვის. სახელდობრ აი რა: ეს ვაჟბატონები გზას
გადამცდარან განსაკუთრებით სქესობრივი ანომალიის
თუ [illegible]ის ნიადაგზე. მაგრამ ამ სენს თან ახლავს
კიდევ მეორე უფრო სერიოზული სენი. მე მოგახსენებთ
თავისი თავის განდიდების სენზე, რომელსაც ეს ვა-
ჟბატონები უკიდურესათ შეუპყრია და რომელსაც
"ისინი სულ თავდავიწყებამდე მიუყვანია.ყველაზე
უფრო ტიპიური ამ მხრითაც ისევ პაოლო იაშვილი და
გრ. რობაქიძეა. უკანასკნელს ჩვენი საზოგადოება ამ
მხრით უკვე რამდენიმეთ წინადაც იცნობდა. რაც შეე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

-ხება პირველს,აი რას ამბობს იგი თავის თავზე:
'"ყვითელი დანცე მე მომეწყინა", "შექსპირს ვაქებდი
(ალბათ პირველ ხანებში), მაგრამ ფარდა: შექსპირს
ვარი ! რა ვქნა,რომ ჩემთვის ზეთისხევენი მხოლოდ
ყრუ არი. ჩემი ოცნების ნაპერწკლები ბალხს გადუ-
-ფანცე... და უკვდავება ცივ ხელებით მე მელანდე-
-ბათ!! მოდით და აბა დაარწმუნეთ ეს საცოდავი ადამია
თუ ვის ეპოცინება იგი ან ვის ამცირებს: თავის თავს
თუ მხოფლიო გენიოსებს. მაგრამ რას იზამთ,რომ ამ კა-
-ცუნას გენიოსების უკვდავება ელანდებადა მოხვენებას
არ აძლევს! ჭეშმარიტად სიბრალულის ღირსია იგი.
არ შეგვიძლია არ შევჩერდეთ აქ კიდევ ბ-ნ ციც
ცაბიძეზე და მის წერილზე,რომელსაც სათაურად აქვს:
"ცისფერი ყანწებით" და რომელშიდაც ბოდვა და სი-
-ნამ ვილე დომბადივით არის ერთმანეთში არეული, ამ
ვაჟბატონს მოუწადინებია ქართვე-
-ლი ლოთი ბიჭების ფილოსოფიურ-კრიტიკულად დახასიათება
მაგრამ იმდენად არევია დავთარი,რომ შანშიაშვილის და
გრიშაშვილის გვერდით, ერთი მხრით და გრ. რობაქიძის
და ელენე დარიანის გვერდით, მეორე მხრივ., იგი
ათავსებს გ. ცაბიძესაც. ვისაც გაგების უნარი
"ხავსხეიბით"არ დაუკარგავს,მისთვის ცხადივით აშკარა
უნდა იყოს,რომ გ. ცაბიძის საგძნობლად პესიმის-ტური
მოტივებით გაჟღენთილ პოეზიას არაფერი საერთო არ აქვს
ლოთი ძმა-ბიჭების ვაკხანალიასთან, ელენე დარიანის და
გრ. რობაქიძის ცლანქ პორნოგრაფიასთან. მაგრამ აქერთი
სამწუხარო გარემოება;გ. ცაბიძის ორი ლექსი რაღაც
მანქანებით სწორედ გ. რობაქიძის და ელენა დარიანის
ლექსებს შუაშია მოთავსებული. როგორ მოხდაეს,-- ჩვენ
არ ვიცით. ერთი კი რამ აშკარაა: ცაბიძის "მთაწმინდის
ღამე" და" ღურჯ ცხენები" პირდაპირი დასხონანსი
ანუ აშკარა წინააღმდეგობაა იმის, რაც მოთავსებულია,
"ცისფერ ყანწებში". საკვირველია,როგორ გამოეპარათ ეს,
როგორ ვერ შიბვდნენ ეს აშკარა წინააღმდეგობა ან ერთი
ან მეორე მხარე? ყოველ შემთხვევაში ჩვენ არა გვგონია,
რომ კარგათ გრძნობდეს თავის თავს გ. ცაბიძე ე. დარიან-
-ების და გრ. რობაქიძეების კომპანიაში, ჩვენ დარწმუნე-
-ბული ვართ,რომ იგი შესძლებს მის მიერ არჩეულ გზით სი-
-არულს ბოლომდის.
გარდა ამისა,მე დარწმუნებული ვარ იმაშიაც, რომ
"ციფერი ყანწები" სხვასაც ბევრს დააფიქრებენ, ახლა
ხომ ამ ვაჟბატონებმა საცხებით აიხადეს ნიღაბი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებას დაანახვე ს თავისი ნამდვილი, თუმც მეტა-
ღუხჭირი ფიზიანომია. ეს ერთი დადებითი მხარე მაინც
ახლავს მთელ ამ სამარცხვინო მოვლენას.

დასასრულ , არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ აქ შემდეგი
გარემოება. ყოველგვარი სიდუხჭირე და მავნე მოვლენა
"კერძო თუ საზოგადო ცხოვრებაში, ცოტათ თუ ბევრათ
ფართო ნიადაგს პოულობენ ისეთ მომენტებში, როცა საზ-
"ოგადოებრივ ცხოვრებაში ფრთებს შლის და ძლიერდება
რეაქცია. რეაქცია მარტო პოლიტიკური სფეროთი კი არ
კმაყოფილდება, პოლიტიკიდან იგი გადადის საზოგადოე-
-ბრივი ცხოვრების ყველა დარგში და ყველგან .არევ- და-
-რევას, საერთო დაცემას და გახრწნას იწვევს, ვინაიდან
საზოგადოების ყველა ნაძირალებს, ყველა ზნეობრივათ და
გონებრივათ მახინჯ ელემენტებს რეაქციის მეოხებით სა-
შუალება ეძლევათ თავისუფლად ითარეშონ. რეაქციის დამღუპვ-
-ელი გავლენა ვერ ასცდა, რა თქმა უნდა , ლიტერატურას-
-საც--ლიტერატურა ხომ საზოგადოებრივი ცხოვრების სარკეა
და, აი რეაქციონური ხანის სიტყვა-კაზმული მწერლობა--
--ბელეტრისტიკა და პოეზია საშინლად დაეცა და გახრ-
- წნილების გზას დაადგა. დეკადენტობა, მოდერნიზმი და
ფუტურიზმი,--აი რა სახით მოგვევლინა ჩვენ ლიტერატურულ
ზნეთა და ტრადიციების დაცემა და გარყვნა საერთოდ მთელ
რუსეთში და კერძოთ ჩვენშიაც. ამნაირად გრიშაშვილ- იაშვ
-ილების და რობაქიძენის მოვლინება ლიტერატურაში მჭიდ-
-როთ დაკავშირებულია რეაქციის გამარჯვებასთან; ისინი
ბნელი. ძალების ღვიძლი შვილებია და ამავე ძალებს ემს-
-ახურებიან და გუნდრუკს უკმევენ. მაგრამ მათი დღესას-
-წაული დავაკხანალია დიდხანს ვერ გაგრძელდება. მზე
კვლავ ამოვა და ნათელი გაიმარჯვებს; მაშინ ისინი იძ-
"-ულებული იქნებიან თავისი ბნელი სოროები მოსძებნონ
და იქ ჩაძვრენ. " / ფილიპე მახარაძე," თანამედრ-
-ოვე აზრი", ყოველდღიური საპოლიტიკო, სამეცნიერო და
სალიტერატურო გაზეთი, ნომერი-56, ხუთშაბათი, 10-მარტი,
1916-წ./

აი ასეთი იყო, ქართველი ბოლშევიკების მამამთავ-
-რის მახარაძის მიერ წარმოდგენილი, მარქსისტის
"მსოფლმხედველობაში ლენინური გაგებით აღმოცენებუ"
ანტიეროვნული თეორიის ტექსტი ,არათუ მარტო მოდ-
-ერნისტ მწერალ-პოეტთა სახელდობრ -ცისფერ ყანწელე-
- ბის ფიზიკური განადგურების შესახებ, არამედ
მთლიანად ქართული კლასიკური ლიტერატურის და ლიტე-
-რატორ მწერლებისა; მათი უარყოფითად და მიუღებლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალიერება, როგორც საუკუნეების გას რივ, ერის კულტურ-
-ულ ცხოვრებაში, რეაქციის ძლიერების მმთავრობელი
და გამღვივებელი.

ის თავის ნაწინასამერცყველებუ განაჩენების
სისრულეში მოყვანას, საოკუპაციო ხელისუფლების შემ-
წეობით მოესწრო თავისივე სივოცხლეში! ჩეკის თითოეულ
განაჩენის სისრულეში მოყვანის სინამდვილეს საბჭოთა
კანონიერების წესრიგიანობას თვით ამოწმებდა, საქარ-
-ველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელითა და
ავტორიტეტით!

როდესაც 116-წლის შემდეგ ქართველმა ერმა, თავის
სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამობრძმედილი ეროვ-
-ნული პოლიტიკის შემწეობით მოიპოვა სამშობლოს დამ-
-ოუკიდებლობა და აღადგინა თავისი ეროვნული სახე-
-ლმწიფო, მაშინდელი არსებულ მდგომარეობის შესაძლებ-
-ლობის პირობებში, შედარებით სოციალური და მოქალ-
-აქობრივი თანასწორობის იდეიათა საწყისებზე; ერო-
-ვნული დამოუკიდებლობის მოპოვებამ: მწერლებს, პო-
-ეტებს და ყოველგვარი სახის ხელოვანთ,
შემოქმედების ხულიერი გამოჯანსაღება არგუნა; მოქა-
ლაქობრივი თავისუფლების და თანასწორობის ნიადაგზე
ალორძინებულმა შემოქმედების ძლევამოსილების აღმავ-
-ლობამ, მაშინ დაუსახა პატრიოტიზმის ღვთიური მთაგ-
-ონების მიერ ბოძებული, ესეიგი, ადამიანის ხელუხლ-
-ებლობის სიამაყე, თავის სინამდვილის კანონიერებით.

ცალკეულად თუ ორდენში გაერთიანებულნი თავიან თ
შემოქმედების საქმიანობაში გართულნი ცდილობდნენ,
თავისუფალი-დამოუკიდებელი სამშობლოს დამცველნი და
მოამაგენი ყოფილიყვნენ; მათ შემოქმედების შინაურ--
-ოჯახურ საქმიანობაში, არც ოფიციალურ დაარც არა ოფ-
-იცი ურ ჩარევას ადგილი არ ქონია პოლიტიკური პა-
-რტიების და მათი ხელისუფლების მიერ. ლ:ან უხესეხი,
ცნობილი ბელეტრი სტის. კლდიაშვილი თავის მოგონებაში
მოგვითხრობს: "ერთადერთი მთავარი შეღავათი ის

იყო, რომ ხელისუფლება არ ერეოდა ლიტერა-
ტურულ დაჯგუფების შორის წარმოებულ
ბრძოლებში, ახალი მწერლობის ცოცხალი
და საიმედო ძალა თავის სასარგებლოდ
იყენებდა ამ გარემოებას და თავ-

"-დადებული ებრძოდა პოეზიას და პროზაში
გაბატონებულ გაცვეთილობას"./ს. კლდიაშვილი,
თხზ ულებათა კრებული, --III,გვ.-472./

იმ დროს საერთაშორისო მდგომარეობის და ჩვენი სამ-
-შობლოს პოლიტიკური გარემოების სინამდვილე: ჩრდილოე
.... სამოქალაქო ომის ალმურში; სამხრეთი და დასავ-
-ლეთი მეზობლების მუსულმანური ფანატიზმი, გა-
-ლვინძებული ძველი ველური სურვილებით; შიგნი-- უმც-
-ირესობანი,ოპოზიციის სახელით, დაუმცხრობელი ეწოვ-
-ნული პოლიტიკის თეჯირით საკუთარი სიდიადის მაძიე-
-ბელნი! ასეთ დროს და მის გარემოებაში, უმძიმესი
შინაგანი მდგომარეობიდან ... თავდაცვის
შესაძლებლობის ძიებაში აღორძინებული ეროვნული ენე-
-რგია, ძლიერი და უძლეველი აღმოჩდა.
ჰნერგნ..ს
ამ უძლეველ ეროვნულ ნიადაგზე წარმოიშვა, ქართ-
-ულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში ეროვნული და პიროვნული
გაუთ აშველობის სინამდვილის ტრადიცია,რომლის ურღვევი
ფუნდამენტი იყო მათი შემოქმედებისსხვადასხვა გვარო-
-ვანი და სახიანობის შინაარსი, ნაწარმოები თავისუფალ
მშობლიურ ნიადაგზე, გაღვივებული ეროვნუ ლი თვით-
მეგნების აღტაცებით.

1986-წ.    ვ. ჩოლაზურიძე

პარიზი.

## ქართული ფილმის ფესტივალი პარიზში

1988 წლის 9 ნოემბრიდან 1989 წლის 30 იანვრამდე, ე.ი. თითქმის სამი თვის განმავლობაში, პარიზში,"ჟორჟ პომპიდუს კულტურის ცენტრის" კინო-თეატრში ჩატარდა ქართული ფილმის კინოფესტივალი, რომლის დროს ნაჩვენე-ბის იქნა, დაახლოებით, ასი ქართული კინოფილმი, რასაც დიდი წარმატება ხვდა წილად, განსაკუთრებით ქართული მხატვრული კინოფილმების ორიგინალუ-რი მსოფლხედვის გამო, რაც,- გასაკვირია,- მრავალმხრივი გამოკვლევის საგანი გახდა, ამ-ჯერად, ფრანგი სინეასტებისა და კინოკრიტიკოსებისა-თვისაც. კიდევ მეტი: კოტე მიქაბერიძის "ჩემი ბებია"(1929 წ.), ეს არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო კინოხელოვნების ერთერთი შედევრი, რომელიც, ჩემის აზრით, კინოხელოვნების გენიის - ჩარლი ჩაპლინის - ვაერდით შეიძლება დაყენებულ იქნას, - პირველად ვნახე პარიზში. ნუთუ ამ დილოსტაც რეჟისორის სხვა ფილმები "მდარე" მხატვრული ხარის-ხისაა?!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული კინოფილმების ამ დიდ ფესტივალთან დაკავშირებით, პარიზში გამოიცა ერთი 46-ს-გვერდიანი "პროგრამა", **რომლებშიც აღწერილია ყველა ფილმის რაობა; და** ორასგვერდიანი დასურათებული წიგნი "ქართული ფილმი" - მრავალი ნარკვევითა და ფოტოსურათებით; ორივე მეხანიშნავადაა გამოცემული.

შევეცდებით, ქართული კინოფილმის ამ დიდ ფესტივალზე დემონსტრირებული ცალკეული კინოფილმების განხილვასაც, თუ ამის საშუალება მოგვეცა. ამ-ჯერად კი, უთუოთ, დიდი მადლობის ღირსია ის ადამიანები, რომლებმაც - პირადაპირ თუ არაპირდაპირ - მონაწილეობა მიიღეს ქართული ფილმის ამ შესანიშნავი ფესტივალის განხორციელებაშიმხოლოდ კულტურის ერთერთ ისეთ დიდ ცენტრში, როგორიცაა პარიზი.

კ.ი.

პარიზი, 1989 წლის 30 იანვარი

## პ ა რ ტ ი უ ლ ი   ც ხ ო ვ რ ე ბ ა

### ვ ი ლ ა პ ა რ ა კ ო თ   გ უ ლ ა ხ დ ი ლ ა დ

პ ი რ ა დ ი   აზრები საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიისა და მისი ორგანოების მუშაობის გაძლიერების შესახებ

(შემოკლებულია...)

I.

უკვე ორი წელიწადია, რაც უშუალო მონაწილეობას ვღებულობ ჩვენი პარტიის მუშაობაში პარიზსა და ლევილში, რომლის დროს მომეცა საშუალება უშუალოდ გავცნობოდი ჩვენი პარტიის წევრებსა და ხელმძღვანელებს; თუმცა "ბევრი რამ" ჩემთვის დღესაც გაუგებარი რჩება, ვინაიდან ჩვენს შორის, შემეძქნა შთაბეჭდილება, "გულღია ლაპარაკი",შეუძლებელი თუ არა,"დაკნინებულია". და ურთიერთ შორის კომუნიკაციის გაძლიერებას, გამოჯანსაღებას ისახავს მიზნად ეს ჩემი წერილი, რაც წინაპირობათ მიმაჩნია ჩვენი პარტიისა და მისი ორგანოების მუშაობის გაძლიერების გზაზე.

II.

"26 მაისის" დიდი და დამსახურებული თაობა, ნოე ჟორდანიას მეთაურობით, უკვე განგვშორდა, და მათი შემცვლელები ემიგრაციაში შეუძლებელია არსებობდენ, ვინაიდან ასეთ პიროვნებებს მხოლოდ ჩვენი ერი, საქართველო შობს და არა ემიგრაცია. მაგრამ ეს უდავო ფაქტი ჩვენ, ვინც ვიმყოფებით ჩვენს პარტიაში, ვითომ გვანთავისუფლებს პარტიული პასუხისმგებლობისაგან?.. სრულიადაც არა. ჩვენ,ჩვენი მეტად განსაზღვრული ძალებითაც,უნდა შევეცადოთ ყველა ხარვეზის ამოვსებას ჩვენს მუშაობაში, და ამ მიზნის მიღწევისათვის საჭიროა არა ერთმანეთის ქება-დიდება, არამედ საქმიანი კრიტიკა, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაქსიმალურად საქმეში ჩააბამს ყოველ ჩვენგანს, და ამით შევძლებთ ჩვენი მუშაობის გაძლიერებას როგორც საშინაო, ისე საგარეო საქმეებში.

III.

საშინაო საქმეებში , მაგალითად, ჩვენ არ ვიცით თუ რა მდგომარეობაშია დღეს საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია თვით საქართველოში, ქართველ ერში. მე მჯერა, რომ - თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების პირობებში - საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა დღესაც საქართველოს სოციალდემოკრატიულ პარტიას მისცემს ხმას, ვინაიდან ჩვენი პარტია - დაწყებული 1893 წლიდან, ე.ი."მესამე დასის" დაარსებიდან - იყო, არის და რჩება საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების წამყვანი, თუ არ ვიტყვით, გადამწყვეტი, - ძალა.

და პოლიტიკურ ლტოლვილობაშიც საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია იყო, არის და დარჩება წამყვანი ძალა თუ ჩვენ დღეს, "აქ და ახლა" გავყვებით "26 მაისის" დიდი თაობის მიერ დასახულ მიზნებს, რომლის დედაბოძია,როგორც ჩვენი პარტიის პროგრამაშია ნათქვამი,"ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა".

IV.

მაგრამ რა გვიშლის ხელს დღეს, "აქ და ახლა", რომ საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია წამყვანი ძალა იყოს პოლიტიკური ემიგრაციის ცხოვრებაში?.. ხელს გვიშლის, პირველ ყოვლისა, ჩვენი "დაშლილობა", ერთმანეთის წინააღმდეგ მოქმედება, უნდობლობა, არა-გულწრფელობა. საქმე ისე შორს მიდის, რომ - როგორც ჩვენი პარტიის ერთმა წევრმა თქვა - ზოგიერთებს ესირცხვილება კიდეც თქვას, რომ ის ქართველი სოციალდემოკრატია!.. ზოგიერთი კი პირდაპირ ამბობს, რომ ის იმოქმედებს ისე, როგორც მას სურს და ამას ვერავინ ვერ დაუშლის!.. ერთი სიტყვით, თვითნებობა ბატონობს პარტიული დისციპლინის, უმრავლესობის ბატონობის სამაგიეროთ, და, რა გასაკვირია, რომ ჩვენი პარტიის ავტორიტეტი, პარტიის შიგნით და გარეთ შელახულია.

V.

რა გამოსავალი არსებობს ამ მდგომარეობიდან?.. გამოსავალი, რა თქმა უნდა, არსებობს, რომელზედაც დაწვრილებით მოგვისდება ბჭობა, მაგრამ არა ისეთი ყოფა-ქცევით, მოქმედებით, როგორც,ვთქვათ, მოიქცენ ჩვენი პარტიის ოთხი წევრი, რომლებმაც,თითქოს, რაღაც "ბიურო" შექმნეს და პარტიის საზღვარგარეთელი ბიუროს პრეზიდიუმის სამი წევრი "დაგმეს" და სხვადასხვა. საქმისადმი ასეთი, რბილად რომ ვთქვათ, "არა-სერიოზული" მიდგომა სრულიად დაუშვებლად მიმაჩნია. და მე მათ გზას ვერ გავყვები -ყველა "დავგმო", ვინც ჩემი აზრის არ არის. პარტიის ყოველმა წევრმა დღეს, "აქ და ახლა" უნდა შეიგნოს, ბოლოსდაბოლოს, რომ ჩვენ ერთმანეთის "დაგმობით" საქმეს ვერ წავმართავთ წინ. საჭიროა არა არათუმ პირის"დაგმობა," არამედ პარტიის ყოველი წევრის აზრის მოსმენა, განსჯა და შესაფერისი დასკვნის გამოტანა და მის შესაბამისად მოქმედება ისე, რომ პარტიის არც ერთი წევრის ღირსება და უფლება არ უნდა შეილახოს. ვინც პარტიის ამ ჰუმანიტარულ პრინციპს დაარღვევს, ის თვითონ აყენებს თავისთავს პარტიის გარეშე. საქართველოს სოციალდემოკრატიულ პარტიას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

"დახაგმობი" წევრები საერთოდ არ უნდა ჰყავდეს, თუ მას სურს იყოს ჩვენი ერის მთავარი წამყვანი ძალა.

VI.

მაშ ისევ კითხვა: რა გამოსავალი არსებობს ამ მდგომარეობიდან?.. ერთადერთი და მიზანშეწონილი გამოსავალია პარტიის იმ რელსებზე ისევ-დაყენება, რომელიც დაგვიგო, დაწყებული "მესამე დასის" დაარსების დღიდან, ჩვენი პარტიის დამაარსებელმა, თეორეტიკოს-პრაქტიკოსმა ნოე ჟორდანიამ და მისმა შესანიშნავმა თაობამ. პარქტიკულად რას უნდა ნიშნავდეს ეს დღეს? - პრაქტიკულად ეს ნიშნავს იმას, რომ ისევ-მოქმედებით უნდა განვახორციელოთ, ე.ი. ხორცი შევასხათ ჩვენი პარტიის პროგრამისა და წესდების დებულებებს; და აქ მივედით იმ კარდინალურ პრობლემებთან, რომლებიც უკვე დიდი ხანია დგას ჩვენი პარტიის წინაშე, მაგრამ მათი მოგვარება შეუძლებელი გახდა პარტიის ყოველი წევრის გულგრილობის გამო: საქმე ეხება ჩვენი პარტიის პროგრამასა და წესდებას.

VII.

ჯერ კიდევ სამოცდა-ათიან წლებში წამოვაყენე ეს საკითხი ცალკეული პირების წინაშე, რომლებიც მაშინ იდგენ ჩვენი პარტიის საპასუხისმგებლო პოსტებზე; ესენია ნოე ცინცაძე და პავლე სარჯველაძე. შევისწავლე რა საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის ისტორია და სხვა მასალები, რომლებიც ბლომად გაგვაჩნია ლევილის არქივ-წიგნთსაცავში, მივედი დასკვნამდე, რომ ჩვენს პარტიას - პარტიული მუშაობის ეფექტური წარმართვისათვის - ესაჭიროება ახალი, თანამედროვე ცხოვრებასთან შეფარდებული პროგრამა და წესდება. და დავიწყე ამ საკითხზე მუშაობა, რა თქმა უნდა, ევროპული სოციალდემოკრატიული პარტიების რაობის, განსაკუთრებით მათი პროგრამებისა და წესდებების შესწავლით; და ზოგიერთი ნაწილები უკვე დავწერე სამოცდა-ათიანი წლების მეორე ნახევარში, და პირველად გავაცანი ნოე ცინცაძეს. მან, ჯერ, დიდი ყურადღებით მოეპყრო ჩემს წინადადებას და ჩემს მასალებს გაეცნო, მაგრამ ცოტახნის შემდეგ მითხრა, რომ "ეს არ არის საჭირო, და დაანებე ამაზე მუშაობას თავი!" რა თქმა უნდა, მე მისი აზრი არ გავიზიარე და მუშაობისათვისაც თავი არ დამინებებია, მაგრამ როცა ეს აზრი გავაცანი ერთს ჩვენს პატიულ მეგობარს, როცა უკვე ჩვენი პარტიის პროგრამისა და წესდების პ რ ო ე ქ ტ ე ბ ი დამზადებული მქონდა და პარტიის მრავალ წევრსაც დავურიგე...........................
..............................................................

VIII.

მაგრამ ახლა, როცა ეს "მასალები" დავარიგე და ჩვენი პარტიის ბევრ წევრს დავურიგე, ახლაც იმავე მიზეზით ხომ არ სდუმს ყველა?.. მართალია, პარტიის ზოგიერთმა წევრმა, ღირსშესანიშნავი "შენიშვნები" გამაცნეს ჩვენი პარტიის ამ პროგრამისა და წესდების პ რ ო ე ქ ტ ე ბ ი ს შესახებ, მაგრამ პარტიის ხელმძღვანელობიდან "არსაიდან ხმა, არსად ძახილი!" რით უნდა აიხსნას ეს გულგრილობა?.................................
.......პროგრამა ხომ პარტიის (და არა ამათუიმ პირის) ერთობლივი ნაშრომია?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ვინ დაწერს პროექტს, ეს კი არ არის არსებითი, არამედ არსებითია ის, თუ როგორი ფორმით მიიღებს მას პარტიის შესაბამისი ორგანოები?!.. და[illegible] მართლაც ჭეშმარიტებაზე რომ მიხდება ლაპარაკი, ეს უკვე არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი პარტიის მუშაობის გაძლიერებისათვის მართლაც მისი საფუძვლის, ე.ი.პარტიის პროგრამისა და წესდების თანამედროვე დონეზე დაყენება არის აუცილებელი, რომ პარტია და მისი ყოველდღიური პოლიტიკა უკომპასო ნავის მდგომარეობაში არ მოექცეს?..

IX.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ჩვენი პარტის ზოგიერთი წევრის მოთხოვნები - მოწვეულ იქნას საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს გაფართოებული კრება,თუ პარტიის ორგანიზაციის კრება, თუ უცხოეთში არსებული ორგანიზაციების ყრილობა-კონფერენცია, რაც, თავისთავად, უთუოთ, კარგი საშუალება შეიძლება გახდეს ჩვენი პარტიის მუშაობის გაძლიერების გზაზე. მაგრამ, ამავე დროს, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ჩვენი პარტიის ზოგიერთ წევრს ამგვარ კრებათა ჩატარება სურს უფრო ამათუიმ პირის "დასაგმობად", ვიდრე პარტიის მუშაობის გასაძლიერებლად!.. პარტიის ყოველმა წევრმა უნდა შეიგნოს, რომ ჩვენ "დასაგმობი", "გასაკიცხავი",საერთოდ,არავინ არ გვყავს. ჩვენი პარტიის ყოველმა წევრმა უნდა შეიგნოს აგრეთვე, რომ აზრების ხელთათმანებივით გამოწყვეტელი შეცვლა დაუშვებელია, რაც უნდა ნიშნავდეს შემდეგს:ჩვენი პარტიის ყოველმა წევრმა ყოველთვის და ყველგან უნდა დაიცვას ჩვენი პარტიის ყოველი წევრი, ხოლო თუ ვინმე გასაკრიტიკებელია - და ასეთები ჩვენ,სამწუხაროთ, გვყავს - ეს უნდა მოხდეს პარტიის შიგნით, შესაფერ ორგანოებში და არ უნდა გახდეს რესტორან-საყავეების საბჭო საკითხათ, როგორც ეს არის, ჩვენდა საუბედუროთ, დღეს.

X.

აქედან გამომდინარეობს, უთუოთ, ისიც, რომ ჩვენმა პარტიამ ვერ შესძლო უცხოეთში დაბადებული და აღზრდილი ქართველი სოციალისტ-ახალგაზრდების ჩვენს რიგებში ჩაბმა, რაც უთუოთ, შესაძლებელია, თუ ჩვენ ვისწავლით ჩვენი "26 მაისის" თაობიდან, რომ ახალგაზრდობის გარეშე ჩვენი პარტიის მომავალი განწირულია. არ უნდა დაგვავიწყდეს,რომ პარტიის ცალკეული წევრები,ბუნების კანონის თანახმად,"მიდიან", მაგრამ პარტია მარადიულად იცოცხლებს თუ ის ისევდაისევ ახალგაზრდებს მიიზიდავს და თავის მუშაობაში ჩააბამს. ამიტომ ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ახალგაზრდები ჩავაბათ ჩვენი პარტიის მუშაობაში;და ჩვენ მათ იმდენად უნდა შევუწყოთ ხელი, რომ შესძლონ ჩვენი დიდი პარტიის თეორიულ-პრაქტიკული ხელმძღვანელობა. თაობათა ეს ბუნებრივი ცვლა, უეჭვოა, ემსახურება ჩვენი პარტიის მუშაობის გაძლიერებას;და ჩვენ ახე უნდა გავიგოთ ეს თუ ჩვენ პარტიის აწმყოსა და მომავალს ვაყენებთ წინაპლანზე და არა ჩვენ პირად ამბიციებს.

XI.

აქვე უნდა შევნიშნო აგრეთვე, რომ პარტიის ყოველი წევრი ვალდებული უნდა იყოს ჩვენი პარტიული შინა-ცხოვრება არ გაიტანოს გარეთ და ჩვენი პარტიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკური მოწინააღმდეგების (და მტრების) საჯიჯგნად გახადოს. ბოლოს-ბოლოს უნდა აღსდგეს, გაძლიერდეს პარტიის დისციპლინა იმდენად, რომ პარტიის მიგნით შესაძლებელი გახდეს აზრთა საქმიანი გაცვლა-გამოცვლა, რომ შესაბამისი გადაწყვეტილება იქნას მიღებული. გადაწყვეტილების მიღებაში რომ დემოკრატიული, უმრავლესობის პრინციპი უნდა ბატონობდეს - ეს,ვფიქრობ, არავისთვის სადავო საკითხი არ უნდა იყოს.

XII.

ახლა შევეხოთ ჩვენი პარტიის ოფიციალური ორგანოს "ჩვენი დროშის" რაობას:

პარტია პრესის გარეშე, კიდევ მეტი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გარეშე - პარტია აღარ არის, რასაც, ვფიქრობ, მტკიცება არ ესაჭიროება. და როგორ მდგომარეობაშია ჩვენი ოფიციალური ორგანო დღეს? - ვილაპარაკოთ ამ საკითხშიც გულახდილად:"ჩვენი დროშა"არასახარბიელო მდგომარეობაშია თუ მივიღებთ ამ ჟურნალის ვარგისიანობის საზომად მისი დამაარსებლის - ნოე ჟორდანიასა და მისი შესანიშნავი თაობის-დროინდელ გამოცემებს. რა თქმა უნდა, ჩვენ დღეს ნოე ჟორდანიასა და მისი შესანიშნავი თაობის-მსგავსი თეორეტიკოსები და ჟურნალისტები არ გაგვაჩნია, მაგრამ ვითომ ეს მდგომარეობა ამართლებს იმას, რომ ჩვენი ჟურნალი ჩვენი პ ა რ ტ ი ი ს ჟურნალს საერთოდ არ ჰგავს,და ძველი წერილების გადაბეჭდვით თუ ამა-თუ-იმ პირის "გაკრიტიკებით" კმაყოფილდება?.. "ჩვენი დროშის" ფურცლებზე, სამწუხაროთ, არ შუქდება ისეთი დიდი მნიშვნელობის საშინაო და საგარეო პოლიტიკური საკითხები, როგორიცაა, მრავალთა შორის, ჩვენი სოციალდემოკრატიული პარტიის თეორია და პრაქტიკა, საერთაშორისო სოციალდემოკრატიული მოძრაობა, სოციალისტური ინტერნაციონალის მოღვაწეობა,თუ პოლიტიკური ემიგრაციის ყოველდღიური საკითხების ანალიზი,ჩვენი პარტიის შეხედულებით. რა თქმა უნდა, "ჩვენი დროშის" ამგვარ "დასუსტებაში" დამნაშავე ვარ მეც, ვინაიდან, აწ უკვე ათ წელზე მეტი ხანია, სარედაქციო კოლეგიის წევრი ვარ. მაგრამ არსებითია არა ის თუ ვინ არის "დამნაშავე", არამედ ის, რომ ჟურნალის ხარისხი გავაუმჯობესოთ. ამისათვის კი საჭიროა, რომ "ჩვენი დროშის" სარედაქციო კ ო ლ ე გ ი ა მართლაც სარედაქციო კოლეგია გახდეს; და ერთ კაცს არ უნდა ჰქონდეს უფლება გადაწყვიტოს თუ რა მასალა უნდა გამოქვეყნდეს ჟურნალში, როგორც ეს არის დღემდე. სარედაქციო კოლეგიაშიც უნდა ბატონობდეს უმრავლესობის პრინციპი.

XIII.

კიდევ ბევრის თქმა შეიძლება ჩვენი პარტიისა და მისი ორგანოების მუშაობის გამოსწორება-გაძლიერების შესახებ პოლიტიკურ ლტოლვილობაში, მაგრამ ამის დრო დადგება მაშინ, როცა პარტია კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგამს და პარტიის რიგით წევრებს მიეცემათ მათი აზრის გამოთქმისა და დასაბუთების საშუალება, რომლის დროს თავიდან უნდა ავიცილოთ ე.წ-ლი"მანიანას"="ხვალ,ხვალ-ის" "ავადმყოფობა", რაც ასე გამეფებულია პოლიტიკურ ემიგრაციაში საერთოდ. ზოგჯერ "ხვალ-ხვალ" ისეთი წესითა და რიგით გაიძახიან ზოგიერთები, რომ მათ საქმის ჩაშლა უფრო უნდა აინტერესებდეთ, ვიდრე საქმის გაკეთება, თუმცა გაიძახიან, რომ საჭიროა "ერთობის" მიღწევისათვის ამამთუიმ საქმის "გადადებაო!.." ვფიქრობ,ასეთ მოქცევას, ასეთ მიდგომას საკითხისადმი ბოლო უნდა მოეღოს, და

რაც გასაკეთებელია დღეს- დღესვე უნდა გაკეთდეს. უნდა გავიგოთ, ბოლოსდაბოლოს, რომ,დემოკრატიის პირობებში, და ჩვენი პარტია სოციალ-დემოკრატიული პარტიაა - შეუძლებელია "სრული ერთობის" მიღწევა, და შეიძლება ეს არც სასურველი იყოს, ვინაიდან ჩვენს პარტიას "კასანდრას მახილიც" ესაჭიროება, რომ ფხიზლად ვიყოთ და მტერი "ჩვენს ქალაქში" "ტროადის ცხენით" ვერ შემოვიდეს.

XIV.

ახლა, მე ვფიქრობ, დადგა საკითხი თუ რა უნდა გავაკეთოთ დღეს, "აქვე და ახლავე" ყველა ამ ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად:

დღეს, "აქ და ახლავე", ჩემი აზრით, საჭიროა შემდეგი ღონისძიებების ცხოვრებაში გატარება:

1. საქართველოს სოციალდემოკრატიულმა პარტიამ და მისმა ორგანოებმა უცხოეთში, პოლიტიკურ ლტოლვილობაში, უნდა იმოქმედოს ჩვენი პარტიის წესდების(პროექტი) ოცდამეთერთმეტე მუხლის შესაბამისად:"თუ კავშირები საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის მმართველ ორგანოებთან, თბილისში, შეფერხებულია, საზღვარგარეთელი ბიურო მოქმედებს, საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის უფლებამოსილებით, დამოუკიდებლად". ჩვენი პარტიის წესდების ეს მუხლი გამომდინარეობს საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის მესამე არალეგალური ყრილობის გადაწყვეტილებიდან, ყრილობისა, რომელიც ჩატარდა თბილისში 1925 წელს. ამგვარად, ჩვენი პარტიის მოქმედება უცხოეთში დამოუკიდებლად უნდა წარვართოდ მანამ, სანამ აღსდგება კავშირი საქართველოს სოციალდემოკრატიულ პარტიასთან, რის შემდეგ,ცხადია, ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ მისი მითითებებით.

2. ჩვენი პარტიის მუშაობის გაძლიერებისათვის სამინაო და საგარეო სფეროში, უცხოეთში, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ჩვენი პარტიის ახალი პროგრამისა და წესდების მიღება-დამტკიცება, რაც გზას გაგვიხსნის მოქმედებისაკენ. ჩვენს პარტიას, როგორც ცნობილია, 1893 წლიდან დაწყებული, გააჩნია ერთადერთი"პროგრამატული ანალიზი" - ნოე ყორდანიას მიერ დაწერილი და "მესამე დასის" მიერ 1893 წლის თებერვალში დამტკიცებული, მაგრამ ამ პროგრამის მხოლოდ ძ ი რ ი თ ა დ ი დებულება - "ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა" - შეესაბამება საქართველოს, ქართველი ერის დღევანდელ მოთხოვნებს, თუმცა ამ დებულებაშიც"პიროვნება" უფრო ფართო ცნებით "ადამიანით" უნდა შეიცვალოს, ჩემის აზრით, რაც, უდავოა, უფრო სრულყოფილსხდის ამ დებულებას. ეს საკითხები დაწვრილებითაა განხილული ჩვენი პარტიის პროგრამისა და წესდების პროექტებში, რომელიც, როგორც აღვნიშნე, ჩვენი პარტიის მრავალ წევრს (და ზოგ პირებს) დავურიგე 1986 წელში; და ეს პროექტები უნდა იქნას განხილული,შესწორებული და დამტკიცებული.

3. ყველა აღნიშნული საკითხების განსახილველად, ვფიქრობ, საჭიროა საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის ყრილობის თუ კონფერენციის მოწვევა უახლოეს ხანში. ყრილობა-კონფერენციის მოწვევა, ჩემის აზრით, უნდა დაევალოს საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელი ბიუროს პრეზიდიუმს(ვალიკო ჩუბინიძე, მამია ბერიშვილი, ლევან ფაღავა, კარლო ინასარიძე) და შევსებულ იქნას ერთი პირით სოშოდან(გრიგოლ კვარცხავა) და ერთი პირით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიუ-იორკიდან(ისიდორ გაყონია). ამ პირებს, ჩემის აზრით, უნდა დაე-ვალოს აგრეთვე ჩვენი პარტიის პროგრამისა და წესდების პროექტების დამუ-შავება შემოსული წინადადებების შესაბამისად და წარუდგინოს მომავალ ყრი-ლობა-კონფერენციას.

4. საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის ყრილობა-კონფერენცია უცხოეთში, მოწვეული უნდა იქნას, ჩემის აზრით, 1988 წლის შემოდგომაზე, ლევილში ან პარიზში. ყრილობა-კონფერენციის მოწვევის ეს დრო "საიუბილეო ხასიათისაა", ვინაიდან 1988 წელს სრულდება 95-ი წელი "მესამე დასის",საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის( 7 თებერვალი,1893 წ.) დაარსების და 70-ი წელი სა-ქართველოს დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენის(1918 წლის 26 მაისი) დღიდან.

........................................................................

5. ყრილობა-კონფერენციის მომწვევმა კომისიამ უნდა შეიმუშაოს აგრეთვე დღის-წესრიგი, რომლის პროექტი გამოქვეყნებულია აღნიშნულ "მასალებში"; ესე-იგი, დღის წესრიგშია შეტანილი:

- მოხსენება: "ს.სდ პარტია დღეს",
- პროგრამის პროექტის განხილვა და დამტკიცება,
- წესდების პროექტის განხილვა და დამტკიცება,
- საზღვარგარეთელი ბიუროსა და სარედაქციო კოლეგიისარჩევა, და
- მიმდინარე საკითხები, ე.ი. ჩვენი პარტიის მუშაობა პოლიტიკური ემიგრაციის შინაურ საქმეებში და საერთაშორისო ასპარეზზე.

XV.

როგორც ვხედავთ, ჩვენი მოქმედების მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენი პარტიის მუშაობის გაძლიერებას და სათანადო პარტიული დისციპლინის ისევ-დამყარებას; დანარჩენი პრობლემების მოგვარება კი, ვფიქრობ, ადვილი გახდება, თუ ჩვენ ჩვენს პარტიას გავხდით ისევ იმ მთავარ ძალად, რომელიც, აგერ უკვე ერთი საუკუნეა, განსაზღვრავდა საქართველოს, ჩვენი ერის ბედ-იღბალს.

XVI.

რა თქმა უნდა, ყველა წამოჭრილ საკითხზე, ჩვენს პარტიაში არსებობს სხვადა-სხვა აზრი; და ამიტომ გთხოვთ, ნუ დაიზარებთ,და გვაცნობეთ თქვენი აზრი. წინდაწინვე შემიძლია ვთქვა: კომისია პარტიის ყოველი წევრის აზრს მიიღებს მხედველობაში; ხოლო თუ რას დაამტკიცებს ჩვენი პარტიის ყრილობა-კონფერენცია, აქ, გასაგებია, საკითხს გადაწყვეტს უმრავლესობა, რაც გვავალდებულებს ყველას იმ დროსაც კი, როცა იგი ცალკეულთა აზრს ეწი-ნააღმდეგება.

XVII.

აი, ჩემის აზრით, ამ გზითაა შესაძლებელი საქართველოს სოციალდემოკრა-ტიული პარტიისა და მისი ორგანოების მუშაობის გაძლიერება უცხოეთში; და პარ-ტიის ყოველი წევრი მოწოდებულია თავისი წვლილი შეიტანოს ამ დიდ საქმეში.

კარლო ინასარიძე
მიუნხენი-პარიზი-ლევილი,1987 წლის ნოემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მ ბ ა ლ ე ბ ა

### "მესამე დასის" 100 წლის იუბილესათვის

საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელმა ბიურომ, თავის 1988 წლის 29 სექტემბრის კრებაზე მიიღო გადაწყვეტილება 1993 წლის 7 თებერვალს აღნიშნულ იქნას "მესამე დასის",ე.ი.საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის დაარსების 100 წლისთავი; და საიუბილეო პროგრამის შემუშავება დაავალა ბიუროს პრეზიდიუმს, რომელმაც, უმოკლეს ხანში, ბიუროს უნდა წარუდგინოს საიუბილეო პროგრამის პროექტი დასამტკიცებლად, რაც შემდეგ განხილულ იქნება პარტიის კონფერენციაზე.

"მესამე დასი",ე.ი.საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია, როგორც ცნობილია, დაარსებულ იქნა 1893 წლის 7 თებერვალს ნოე ჟორდანიას მეთაურობით.

### კონფერენციის მოწვევა

### საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიისა უცხოეთში

საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელი ბიუროს პრეზიდიუმი, ბიუროს 1988 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად, შეუდგა პარტიის საგანგებო კონფერენციის მოწვევის მოსამზადებელ მუშაობას. პარტიის საგანგებო კონფერენცია მოწვეულ იქნება უახლოეს დროში, რომელზედაც განხილულ იქნება მიმდინარე და საორგანიზაციო საკითხები. საგანგებო კონფერენციის დღის წესრიგის ჩამოყალიბებაში, ვთხოვთ, პარტიის ყოველ წევრს მიიღოს უშუალო მონაწილეობა და თავიანთი აზრი თუ წინადადებანი აცნობოს პარტიის ბიუროს პრეზიდიუმს რაც შეიძლება მალე, რომ შეტანილ იქნას კონფერენციის დღის წესრიგში.

### პროგრამისა და წესდების პროექტები

საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელი ბიუროს პრეზიდიუმის მიერ,1982 წლის 22 ივლისის ბიუროს გადაწყვეტილების თანახმად, პარტიის წევრებსა და ქართული გამოცემების რედაქციებს უცხოეთში დაურიგდა საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის("მესამე დასის") ახალი პროგრამისა და წესდების პროექტები, რომელმაც განსაზღვრული გამოხმაურება ჰპოვა პარტიის წევრებში. პარტიის ახალი პროგრამისა და წესდების პროექტების შემუშავება აუცილებელი გახდა, ვინაიდან საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის პირველი პროგრამა "მესამე დასის" დაარსებისას, 1893 წლის 7 თებერვალს იქნა მიღებული და დამტკიცებული, რაც, გასაგებია, საქართველოს, ქართველი ხალხის დღევანდელ პოლიტიკურ,ეკონომიკურ,კულტურულ,სოციალურ ცხოვრებას არ შეესაბამება. ამიტომ, ბიუროს პრეზიდიუმს დაევალა აღნიშნული პროგრამისა და წესდების პროექტების შევსება-შესწორება შემოსული წინადადებების შესაბამისად, რის შემდეგ პროგრამა-წესდების პროექტები ისევ დაურიგდება პარტიის წევრებს, რომ საბოლოოდ მიიღოს და დაამტკიცოს პარტიის შესაბამისმა ორგანოებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბიუროს ახალი წევრი

საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული ბიუროს 1988 წლის 29 სექტემბრის კრებაზე განხილულ იქნა ბიუროში - კოოპტაციის წესით - ახალი წევრის მიღების საკითხი. ბიუროს წევრად არჩეულ იქნა ბატონი კიტა რიყამაძე, რომელიც, ამავე დროს, არჩეულ იქნა საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის ოფიციალური ორგანოს "ჩვენი დროშას" სარედაქციო კოლეგიის წევრად.

## ბიუროს პრეზიდიუმი - პარტიის მმართველი

ვალიკო ჩუბინიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელი ბიუროს 1988 წლის 29 სექტემბრის კრებაზე წაკითხულ იქნა საზღვარგარეთელი ბიუროს 1982 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება,რომლის თანახმად(იხ.ოქმი) - დაწყებული 1982 წლის 22 ივლისიდან - ბიუროს პრეზიდიუმის წევრები,რიგრიგობით, თავჯდომარეობენ ბიუროს კრებებს და პარტიის ოფიციალურ დოკუმენტებს ხელს აწერენ საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელი ბიუროს სახელით.

## წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

## "ჩვენი დროშა-ს" სახელწოდების შეცვლისა

საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელ ბიუროში შემოვიდა წინადადება მომავალში ჩვენი პარტიის ოფიციალურ ორგანოს -"ჩვენ დროშას" - ეწოდოს "მესამე დასი".

ამ წინადადების დასაბუთებას ავტორი შემდეგნაირად აყალიბებს: "მესამე დასი", რომლის დაარსებიდან 100 წელი შესრულდება 1893 წლის 7 თებერვალს, - არის საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის პირველი სახელმწოდება. "მესამე დასი" კი,როგორც ცნობილია, ხუთი წლით უფრო ადრე დაარსდა,ვიდრე რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია, რომლის შემადგენელ "ნაწილად" აქციეს "მესამე დასი", თუმცა "მესამე დასისა" და რუსეთის სოციალდემოკრატიული პარტიის სამოქმედო პროგრამები ა რ ს ე ბითად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, რაც საქართველოს სოციალდემოკრატიულმა პარტიამ დღემდე შეინარჩუნა. ამგვარად, სახელმწოდება "მესამე დასი" სწორედ საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის აღნიშნულ განსაკუთრებულობისაკენ მიუთითებს, რომელიც - სხვა მრავალთა შორის- პარტიის "ქვემოდან-ზემოთ" აგების დემოკრატიულ პრინციპს ეყრდნობოდა და ეყრდნობა არა მარტო პარტიულ, არამედ სახელმწიფოებრივ ორგანოებში, რასაც, როგორც ცნობილია, ფრთები შეესხა საქართველოს დამოუკიდებლობის დროს 1918-1921 წლებში.

ვთხოვთ პარტიის წევრებს გამოთქვან თავიანთი აზრი ამ საკითხზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ს ი ლ ვ ა - "ხელით უძლევი"

## სილიბისტრო ჯიბლაძის დაბადების 130 წლისთავი

I.

შესრულდა 130 წელი "მესამე დასის", ე.ი. საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის ერთერთი დამაარსებლისა და თეორეტიკოსის სილიბისტრო(სილვა) ჯიბლაძის დაბადების დღიდან. სილიბისტრო ჯიბლაძე დაიბადა 1859 წელს და გარდაიცვალა 1922 წელს, 63 წლის ასაკში. ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მან იმავე 1878 წელს სწავლა დაიწყო თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომლიდან 1884 წელს გარიცხეს რევოლუციური მუშაობისათვის და ორი წლით დისციპლინარულ ბატალიონში გაამწესეს. სილვა იყო "მესამე დასის" ერთერთი დამაარსებელი, 1893 წლის 7 თებერვალს; და როცა ეგნატე ნინოშვილი გარდაიცვალა, 1894 წლის 7 მაისს, მის დასაფლავებაზე მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა სილიბისტრო ჯიბლაძემ, რაც იყო "მესამე დასის" პირველი სახალხო გამოსვლა საზოგადოების წინაშე; და, აი, ამ დროს უწოდა გიორგი წერეთელმა ამ დაჯგუფებას "მესამე დასი", რომლის პროგრამა, სახელწოდებით "ეკონომიური წარმატება და ეროვნება", ჟურნალ "კვალში" გამოქვეყნდა, პროგრამა, რომელიც შედგენილი იყო ნოე ჟორდანიას მიერ.

II.

სილიბისტრო ჯიბლაძე 90-იანი წლების დასაწყისში იყო საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის("მესამე დასის") თბილისის კომიტეტის წევრი. აღსანიშნავია, რომ ამ დროს რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია ჯერ კიდევ არ არსებობდა, რომელიც 1898 წელს დაარსდა, ე.ი. "მესამე დასის" დაარსების ხუთი წლის შემდეგ.

III.

მრავალმხრივია სილიბისტრო ჯიბლაძის მოღვაწეობა: იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა 1905-1907 წლების რევოლუციაში; იყო საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის("მესამე დასის") ერთერთი ხელმძღვანელთაგანი; იგი იყო ქართველი ერის ჯალათის გენერალ გრიაზნოვის მოკვლის ორგანიზატორი(1906 წ.); თანამშრომლობდა გაზეთებში "სხივი","კანთიადი", "ელვა"; მუშაობდა ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტში. 1917 წლის თებერვლის დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ კი, საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ, სილიბისტრო ჯიბლაძე აირჩია ეროვნული საბჭოს წევრად, ეროვნული საბჭოსა, რომელმაც, ნოე ჟორდანიას თავჯდომარეობით, 1918 წლის 26 მაისს გამოახადა საქართველოს დამოუკიდებლობა.

IV.

ამგვარად, სილიბისტრო ჯიბლაძემ მთელი თავისი ცოდნა და ენერგია შესწირა საქართველოს თავისუფლების საქმეს და ჰქონდა ბედნიერება 1893 წელს, მაშინ პატარა ჯგუფი "მესამე დასი" ძლიერ სოციალდემოკრატიულ პარტიად გამხდარიყო, რომელიც გახდა მთავარი მამოძრავებელი ძალა, სხვა დემოკრატიულ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პარტიებთან ერთად - ისევ-აღადგინა საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა 117 წლის უცხო ბატონობის შემდეგ.

V.

საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის მოკლე ეპოქაში - 1918-1921 წლებში - სილიბისტრო ჯიბლაძე, ჯერ, როგორც ეროვნული საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, შემდეგ კი, როგორც საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს სახელმწიფოებრივ და "მესამე დასის" პარტიულ ცხოვრებაში. მაგრამ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს "ჩარხი ისევ უკუღმა დატრიალდა", როცა საბჭოთა რუსეთი დაესხა თავს საქართველოს და იგი ისევ რუსეთის პროვინციათ აქცია.

VI.

სილიბისტრო ჯიბლაძე, ამ-ჯერად, ჩაება ბოლშევიკური ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლის დროს იგი არ ზოგავდა მის, გულის ავადმყოფობით დასუსტებულ, ჯანმრთელობას. "სულით უძლევი, - წერს კარლო ჩხეიძე სილვას შესახებ, - ის ფიზიკურად ძალზე დაქანცული და დასუსტებული იყო", მაგრამ "უძლევი სული" მოსვენებას არ აძლევდა მას სულის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ებრძოლა უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ, და 1922 წლის 17 თებერვალს, 9 საათზე, დალია მისი "ეძლევი სული".

VII.

კარლო ჩხეიძე მოიგონებს სილიბისტრო ჯიბლაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობიდან საყურადღებო ფაქტებს: "თქვენ მაშინ - წერს იგი - აქ შეხვდებოდით არა ერთ და ორს არეულობისათვის უმაღლესი სასწავლებლებიდან გამოძევებულ სტუდენტს და ამ მიყრუებულ სოფლების ვენახებში ხშირად გაიგონებდით მათ შორის ატეხილ დავას. დავის საგანი იყო: 'სუბიექტიური მეთოდი სოციოლოგიაში', 'რა არის პროგრესი', 'დარვინის თეორია და საზოგადოებრივი მეცნიერება', პიროვნების როლი ისტორიაში', 'გმირი და ბრბო', 'რევოლუცია თუ ევოლუცია', კაპიტალიზმი, რუსული ობშჩინა, პროლეტარი და გლეხი, რა გზით მიდის რუსეთი, და სხვა."
"ხანდისხან 'პარტიაში' იყო ხოლმე, ასე ვსთქვათ, თავისუფალი, იმპროვიზებული სკოლა: სოფლური გრძელი სუფრა, მის გარშემო თხუთმეტი-ოცი მუშა(განურჩევლად წოდებისა), დაფებით და 'დედა-ენა-თი'; საგნები: წერა-კითხვა, არითმეტიკა...გადასახადები, ლალა და სხვა."

VIII.

1922 წლის "5 თებერვალს მოხდარ საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის კონფერენციაზე ის თავისი ფეხით მოვიდა. გზაზე გული შეუწუხდა. ამ საღამოს მისი სიტყვა იყო ბრძოლის ყიჟინა. მიუხედავად სისუსტისა, მასში იხმოდა ძველი ლომი, გაუტეხელი რევოლუციონერი და ყველა ჭირის ამტანი მებრძოლი, რომელიც თავდავიწყებით მიისწრაფვის წინ, რადგან სწამს გამარჯვება!"
10 ოქტომბერს, 1921 წელს, აღფრთოვანებული ქართველი ერის შეუპოვარი ბრძოლით ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ, - სილიბისტრო ჯიბლაძემ,სხვათა შო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის, თქვა:"...ქართველ ხალხს ვერ მოდრეკს დამპყრობი ძალა და საქართვე-
ლოს დემოკრატიის გამარჯვების ჟამი დაჰკრავს."
"...სილვას ანდერძი იმედის ყიყინათ გვესმოდეს და მისებრ თავგანწირულათ
მიგვაქანებდეს გამარჯვებისაკენ,"- მოგვიწოდებს კარლო ჩხეიძე; და ღრმა
რწმენით შეიძლება ითქვას, რომ სილიბისტრო ჯიბლაძის გარდაცვალების 130
წლისთავზედაც ჩვენს ერში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში ბევრია "სულით
უძლეველნი", რომლებიც სილვასავით თავგანწირვით იბრძიან საქართველოს თა-
ვისუფლებისათვის. და, უდავოა, ეს არის სილვას ცხოვრებისა და მოღვაწეობის
ყველაზე უფრო დიდი პატივისცემა.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1989 წლის თებერვალი

## ვალიკო ჩუბინიძის გარდაცვალება

საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელი ბიუროს წევრი,
ბიუროს კრებების უხუცესი თავჯდომარე და სოციალდემოკრატიული პარტიის პა-
რიზის ორგანიზაციის კომიტეტის თავჯდომარე- ვალიკო ჩუბინიძე - გარდაიცვა-
ლა,პარიზში, 1988 წლის 17 ივლის, და დაკრძალულ იქნა ლევილის ქართულ ძმა-
თა სასაფლაოზე, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო. რელიგიური წესის აგების
შემდეგ, სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის სა-
ზღვარგარეთელი ბიუროს პრეზიდიუმის წევრმა ბატონმა მამია ბერიშვილმა,
რომელმაც შემდეგნაირად დაახასიათა ვალიკო ჩუბინიძის ცხოვრება და საქმი-
ანობა:

დღეს, საფრანგეთის სტუმართმოყვარე მიწას ვაბარებთ ჩვენი ქვეყნის ბედის
უკუღმართობის კიდევ ერთ მსხვერპლს, ვალიკო ჩუბინიძეს, რომელიც გუშინ
კიდევ იმაზე ოცნებობდა, რომ ქართული მზით გამთბარ მიწაში განესვენა.
მაგრამ ცხოვრებამ მას ეს ბედნიერებაც არ არგუნა და 64 წლის გადმოხვეწი-
ლობის შემდეგ, აქ ქვეყნად 97 წლის ცხოვრების შემდეგ, წავიდა იმ ქვეყნად
ყოველმხრივ პირნათლად ვალმოხდილი, რომელმაც თავისი უწყინარი ცხოვრების
გზა, მუშაობაში და ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაასრულა.
მისი დიდი ენერგია, დაკვირებული და წინდახედული მოქმედება, ჩვენში დიდ
განცვიფრებას იწვევდა, რადგან მიუხედავათ ხანდაზმულობისა და სხვა ბევრი
დაბრკოლებისა, მან ბოლომდე შეინარჩუნა მეხსიერება და საღი აზროვნება.
აქ ემიგრაციისა და იქ საქართველოს ბედის თუ უბედობის არც ერ-
თი საკითხი მისი მხედველობის არეს არ გამორჩენია, და საქმით თუ მოქმედე-
ბით, ის ყოველთვის ამ სფეროში ტრიალებდა. ვალიკო ჩუბინიძისათვის უწყი-
ნარი, თავაზიანი, იმედიანი დარიგების მიცემა, მიუ ბუნებრივ მოთხოვნილე-
ბას შეადგენდა. ის ოცნებობდა თავისი უცნობი ქალიშვილი ერთხელ მაინც ენა-
ხა, მაგრამ ბედმა ეს უკანასკნელი იმედის განხორციელებაც კი არ არგუნა
და ამა წლის 17 აგვისტოს სამუდამოდ დახუჭა თვალები.
ის წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი, წმინდათ და შეურცხვენლად,
რომელმაც საფლავში თან ჩაიტანა სამშობლოს, ოჯახის, მეგობრების და ამხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაცების გულწრფელი სიყვარული, რომელიც მოკლებული იყო ყოველგვარ ზოროტე-ბას და მურისძიებას.

ბედის უკუღმართობამ შესწყვიტა მისი მაჯისცემა, რამაც მისი ამხანაგების, ახლობლების და მეგობრების გულწრფელი მწუხარება გამოიწვია, რადგან ძნელია მათთვის ძვირფასი ამხანაგისა და მეგობრის დაკარგვით გამოწვეული ჭრილობის გამრთელება.

მშვიდობით ძვირფასო ძმაო, მეგობარო და ამხანაგო ვალიკო. დროებით განისვენე, ძალმომრეობის ნიადაგზე გადმოხვეწილ ქართველთა "ძმათა სასაფლაოზე". შორს არ არის ის დრო, რომ ერთ დღეს შენს წმინდა ნეშტს, შენს თანამებრძოლებთან ერთად, რომლებიც აქ განისვენებენ, მშრომელიური ქართული მიწა სიყვარულით ჩაიკრავს გულში უსამართლოდ დაღუპულთათვის აგებულ აკლდამაში.

იცოდე, რომ შენი ხსენება სამუდამოდ დარჩება შენი ამხანაგების და მეგობრების დამწუხრებულ გულში.
საუკუნოდ იყოს ხსენება შენი.

მამია ბერიშვილი
1988 წლის 23 აგვისტო
ლევილის ძმათა სასაფლაო

## მშრომელი ადამიანი

### ვალიკო ჩუბინიძის გარდაცვალების გამო

I.

1988 წლის 17 აგვისტოს, პარიზში, თავის ბინაზე, ოთხმოცდა-თვრამეტი წლის ასაკში გარდაიცვალა ვალიკო ჩუბინიძე, უხუცესი წევრი საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიისა. რა შეიძლება ითქვას ვალიკო ჩუბინიძის ცხოვრებასა და საქმიანობაზე? - ჩემის აზრით, ვალიკო ჩუბინიძის ცხოვრებისა და საქმიანობის ყველაზე უფრო შესაფერი გამოხატვაა, თუ ვიტყვით, რომ ის იყო მშრომელი ადამიანი: მშრომელი საქართველოში და მშრომელი უცხოეთში მისი მთელი, თითქმის, საუკუნოვანი ცხოვრების განმავლობაში.

II.

ვალიკო ჩუბინიძე დაიბადა სოფელ ქვაციხეში (ჭიათურის რაიონი!) 1891 წლის 13 მაისს და გარდაიცვალა პარიზში, 1988 წლის 17 ივლის, და დაკრძალულ იქნა ლევილში, პარიზთან ახლოს, ქართულ ძმათა სასაფლაოზე. დაწყებითი სწავლა-განათლების მიღებისთანავე, ვალიკო ჩუბინიძე გახდა ჭიათურის მარგანეცის მაღაროების მუშა; და მისმა ყოველდღიურმა შრომამ და ცხოვრებამ მიიყვანა იგი სოციალურ სამართლიანობისათვის ბრძოლამდე, რომელიც მთავარი მებრძოლი რაზმი "მესამე დასი", ე.ი. საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია იყო.

III.

"1905 წლის დასაწყისში - წერს ვალიკო ჩუბინიძე თავის წიგნში "მოგონება" (პარიზი, 1953 წ.) - სოციალდემოკრატიული პარტიული მუშაობა ჭიათურასა და მის რაიონებში უკვე გაჩაღებული იყო. ორგანიზაციულად ეს იმას ნიშნავს,

ბიბლიოთეკა

რომ ჭიათურაში და სოფლებში მოწყობილი იყო პარტიული წრეები, რომელთაც პროპაგანდისტები ხელმძღვანელობდნენ". "სოფლებში რევოლუციური მოძრაობა ფრიალებდა უმთავრესად აგრარული საკითხის გარშემო და მიწის იჯარის შველ პირობებზე იქნა მიტანილი პირველი იერიში. ვისაც მიწა ბლომად ჰქონდა ან თვითონ არ ამუშავებდა, იგი მიწას აქირავებდა გლეხებზე და ქირას უმთავრესად ნატურით ღებულობდა. იმხანად ასეთ ქირად ითვლებოდა ზოგან მოსავლის ნახევარი, ზოგან კი მესამედი. ახალ თაობის დროს კი წამოაყენეს ახალი პირობები და მეოთხედობა მოითხოვეს." "აგრარული მოძრაობის გაძლიერებასთან ერთად რუსის მთავრობაც საგანგებო ზომებს ღებულობდა მის წინააღმდეგ და ეგზეკუციებს ახდენდა". "14 ივლისს 1905 წელი, ჭიათურა საშინელ სურათს წარმოადგენს ჩხარის საზოქაულოს სამი საზოგადოება: საზანო, მუხურა და ხრეითი...35 კაზაკი შეესია გლეხობას და ერთიანად გაწიოკა...ამ ეგზეკუციების საპასუხოთ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები მიმართავდნენ არა მარტო პროტესტებსა და დემონსტრაციებს, არამედ ტერორსაც..."

IV.

ვალიკო ჩუბინიძის მოღვაწეობის ერთერთი ღირსშესანიშნავია თარიღია 1917 წლის 28 ნოემბერი,ახალი სტილით 12 დეკემბერი, როცა მან მონაწილეობა მიიღო ერთ რაზმში, რომელმაც აიღო თბილისის არსენალი, და ამით შესაძლებელი გახდა იარაღ-საჭურველის ხელში ჩაგდება და ამის ბაზაზე სახალხო გვარდიის რაზმების შეიარაღება; თვით 12 დეკემბერი, 1917 წლისა კი გახდა, სახალხო გვარდიის დღე.

V.

ვალიკო ჩუბინიძე იყო "ცოცხალი მატიანე" საქართველოს უკანასკნელი თითქმის ერთი საუკუნის დიდი მოვლენებისა, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს სახალხო გვარდიის მრავალი ბრძოლებისა 26 მაისის მონაპოვართა დასაცავად, საქართველოს ტრაგიკული მოვლენებისა 1921 წლის თებერვალ-მარტში, როცა საბჭოთა რუსეთმა დამოუკიდებელი საქართველო დაიპყრო, საქართველოს დემოკრატიული პარტიების ღია-თუ ფარული ბრძოლებისა რუსეთის საოკუპაციო ჯარების წინააღმდეგ, რასაც 1924 წლის 28-29 აგვისტოს საქართველოს მოსახლეობის მასობრივი აჯანყება მოყვა, სხვა მრავალი მოვლენებისა, რომლებიც უკვე "ქართლის ცხოვრებაშია" ჩაწერილი.

VI.

"როცა ვიგონებ 1921 წლის თებერვალს...სიტყვები უძლურია გადმოვცე ჩემი განცდა: ჩემი ქვეყნის დაპყრობა, ბევრი, ბევრადბევრი თანამებრძოლი მაშინ დაღუპული, შემდეგ ციმბირი... დახვრეტები 1924 წელში და აქ, უცხოეთში, გავამხეთ ლევილის სასაფლაო..." "...ვიყავი 1917 წლიდან სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის მუდმივ განკარგულებაში, ე.ი.დღიდან თბილისის მთავარი არსენალის აღებისა, რომლის დროსაც მე მხვდა წილად არსენალის მთავარი კარების გატეხვა და ჩემი ათეული მებრძოლებით შევედით არსენალში". ვალიკო ჩუბინიძეს მისი ცხოვრებისა და საქმიანობის მთავარი მომენტები აღწერილი აქვს თავის წიგნებში, რომლებიც მან გამოაქვეყნა პარიზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მი: "მოგონება" - წიგნი პირველი - 1905 წლიდან 1921 წლამდე(პარიზი, 1938 წ.) და "მოგონება" - წიგნი მეორე, რომელიც გამოსცა პარიზში 1953 წელს.

VII.

ვალიკო ჩუბინიძემ საქართველო დატოვა 1927 წელს საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის ცეკას დავალებით და თან წამოიღო საქართველოდან ცნობები არსებული მდგომარეობის შესახებ, რომ გაეცნო ეროვნული მთავრობისა და, საერთოდ, პოლიტიკური ემიგრაციისათვის პარიზში. ვალიკო ჩუბინიძე სოციალდემოკრატიული პარტიის ცეკამ დანიშნა საზღვარგარეთელი ბიუროს წევრად, რომლის მოვალეობა იგი ასრულებდა მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

VIII.

ვალიკო ჩუბინიძე - ჩამოვიდა რა პარიზში - დაუყონებლივ დაიწყო მუშაობა, რომ არა მარტო თავისი თავი შეენახა, არამედ ხელი გაეწოდებია მძიმე მდგომარეობაში მყოფ ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტებისათვისაც. ვალიკო ჩუბინიძე ათეული წლების განმავლობაში, პარიზში, იყო მესაკუთრე კერძო სასურსათო მაღაზიისა, რომელშიც ის ყოველთვის ერთ ან ორ ქართველსაც ამუშავებდა, და მრავალი ქართველისათვის, თითქმის ყოველთვის, სადილსაც ამზადებდა, რის შედეგად მისი მაღაზია ქართველთა თავისებური "თავშესაფარი" გახდა წლების განმავლობაში. გამომუშავებული ფულით კი დახმარებას უწევდა ქართულ სტამბასა და გამოცემებს, რომლის ერთერთი მაგალითია,თუ გნებავთ, ის, რომ ვალიკო ჩუბინიძემ თავისი ფულით გამოსცა ნოე ყორდანიას "რჩეული ნაწერები ემიგრაციაში",პარიზში, 1956 წელს.

IX.

ვალიკო ჩუბინიძე, ნორმალურია, ენერგიულად მუშაობდა განსაკუთრებით საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელ ბიუროში და წლების განმავლობაში იყო პარტიის პარიზის ორგანიზაციის თავჯდომარე. 1982 წლიდან კი - საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელი ბიუროს დადგენილებით -(იხ.ოქმი,22.7.1982) - ბიუროს პრეზიდიუმმა გადაიბარა საზღვარგარეთელი ბიუროს ხელმძღვანელობა, ბიუროსა, რომლის კრებების თავჯდომარედ არჩეულ იქნა

X.

ამგვარად, ვალიკო ჩუბინიძემ პირნათლად შეასრულა თავისი პარტიული და მოქალაქეობრივი მოვალეობა მისი პარტიისა და ერის წინაშე, და მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იღვწოდა ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის და პოლიტიკური ემიგრაციის სისპეტაკისა და საქმიანობის სამაგალითო პიროვნება იყო. მიუხედავად მისი ხანდაზმულობისა, ვალიკო ჩუბინიძე,მისი სიცოცხლის უკანაკნელ დღემდე, ყურადღებას იპყრობდა მისი გამჭრიახობით, პოლიტიკური მოვლენების საღი განსჯით და მოქმედების პრაქტიკული დასახვის სიზუსტით. ამდენად მისი გარდაცვალება უკვე დაღს აჩენს ჩვენი ისედაც შესუსტებული ძალების მოქმედებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XI.

ჩვენ კი ქედს ვიხრით ვალიკო ჩუბინიძის, როგორც სოციალდემოკრატის და პატრიოტი მოქალაქის წინაშე, და ვამბობთ - საუკუნო იყოს ხსენება მისი. ვიმედოვნებთ, რომ მისი სურვილი ერთ დროს საქართველოს წმინდა მიწაში იპოვოს მარადიული მშვიდობა - აღსრულდება.

კარლო ინასარიძე
ლევილი, 1988 წლის ივლისი

## ქართული სათვისტომოები უცხოეთში

### აგვისტოს აჯანყების 64 წლისთავის აღნიშვნა ლევილში

ქართულმა სათვისტომომ საფრანგეთში ჩვეული ეროვნული შთაგონებითა და აღგზნებით აღნიშნა 1924 წლის აგვისტოს აჯანყების 64 წლისთავი, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო, ჯერ, ლევილის, პარიზის ახლოს მდებარე დაბის, კათოლიკურ ეკლესიაში, სადაც ჩატარდა წირვა აგვისტოს აჯანყებაში დაღუპულთა სულის მოსახსენებლად, შემდეგ, ქართულ ძმათა სასაფლაოზე, სადაც ამ წმინდა ქართულ ეროვნულ პანთეონში დაკრძალულთა აკლდამები განსვენებულთა კურთხევითა და გალობით იქნა მოხსენებული, რომლის დროს შესრულებული იქნა - დაბოლოს - ჩვენი ეროვნული ჰიმნი "დიდება".

აგვისტოს აჯანყებაში და, საერთოდ, საქართველოს თავისუფლებისათვის დაღუპულთა მოსახსენებლად ჩატარებული პანაშვიდის შემდეგ, ლევილის ქართული მამულის შატოს დიდ დარბაზში გაიმართა აგვისტოს აჯანყებაში დაღუპულ მებრძოლთა მოსაგონებელი შეკრება, რომელზედაც სიტყვა წარმოთქვა ქართული სათვისტომოს თავჯდომარემ საფრანგეთში ბატონმა ოთარ პატარიძემ, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენა. მან მოიგონა აგრეთვე ათობითა და ათასობით ის ქართველები, რომლებიც - აჯანყების დამარცხების შემდეგ - დახვრიტეს თუ ციმბირში გადაასახლეს ბოლშევიკებმა; და ისიც აღნიშნა, რომ აგვისტოს აჯანყებაში დაღუპულთა წმინდა სისხლი ტყუილად არ დაქცეულა; რომ ის იდეალი - 26 მაისის იდეების ისევ გამარჯვება - დღესაც ცოცხალია და ადრე თუ გვიან განხორციელდება ჩვენს სამშობლოში.

ბატონ ოთარ პატარიძის სიტყვის შემდეგ, რომელმაც ქართულ ენაზე ილაპარაკა, ფრანგულ ენაზე სიტყვა წარმოთქვა ქართული სათვისტომოს თავჯდომარის მოადგილემ ბატონმა ოთარ ზურაბიშვილმა, რომელმაც ხაზი გაუსვა აგრეთვე იმას, რომ აგვისტოს აჯანყების მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება, და რომ ეს იდეა დღესაც ცოცხალია საქართველოში, მიუხედავათ საქართველოში აწ უკვე თითქმის ორი მესამედი წლის ბატონობისა.

აგვისტოს აჯანყების 64 წლისთავის ოფიციალური აღნიშვნის შემდეგ, გათ-შალა ქართული სუფრა, რომლის მსვლელობისას არაერთი სიტყვა ითქვა, რომლე-ბშიდაც გამოთქმულ იქნა იმედი, კიდევ მეტი, რწმენა, რომ საქართველო ისევ გახდება თავისუფალი, დამოუკიდებელი სახელმწიფო, და რომ აგვისტოს აჯანყების წლისთავი შესაძლებელი გახდება აღნიშნოს მთელმა ქართველმა ხალხმა ღიათ, ოფიციალურად საქართველოშიდან.

ასე ჩატარდა 1924 წლის აგვისტოს აჯანყების 64 წლისთავი, ლევილში, 1988 წლის 18 სექტემბერს.

კ.ი. ლევილი, 1988 წლის 18 სექტემბერი

## ქ ა დ ა გ ე ბ ა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის ი ლ ი ა II-სი. მიუნხენი, 11 სექტემბერი, 1988 წელი. მიუნხენის ბერძნული ეკლესია, უნგერერის ქუჩა 131.

ყოვლად სამღვდელოების ეპისკოპოსნო, ბატონო გენერალო და კონსულო;
ქრისტეს მიეცა მფარველად მანზე დაცვა(!).
მე მოგმართავთ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სახელით. მე მოგესალმებით იმ ერისა და ეკლესიის სახელით, სადაც ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში ჩამოტანილი იყო საქართველოში კვართი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. მე მოგესალმებით იმ საქართველოს ეკლესიის სახელით, სადაც პირველ საუკუნეში იქადაგეს მოციქულებმა ანდრია პირველწოდებულმა და სიმონ კანანელმა და რომელიც არის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი. მეოთხე საუკუნეში ქრისტიანობა საქართველოში გახდა სახელმწიფოებრივი რელიგია, ხოლო მეხუთე საუკუნეში საქართველოს ეკლესია გახდა ავტოკეფალური. ჩვენი კულტურა, ჩვენი მწერლობა, მართლწერა აღმოცენდა ქრისტიანულ ნიადაგზე. საქართველო, ქართველი ერი და საქართველოს ეკლესია მუდამ იყო ერთად იმ ბრძოლებში, რომელიც მარადყამს აჭირვებდა ჩვენს ქვეყანას. როცა ჩვენ ვფიქრობთ საქართველოზე და საქართველოს ეკლესიაზე, არ არის საკმარისი ჩვენ დავკმაყოფილდეთ მხოლოდ ჩვენი წარსულით; ჩვენ უნდა ვიფიქროთ დღევანდელ დღეზე და მომავალ ჟამზე. ვინ ვართ ჩვენ, საიდან მოვდივართ, და სად მივდივართ? აი, ეს საკითხი დგას დღეს ჩვენს წინაშე. ჩვენ, ქართველები ვართ ძენი და ასულნი დიდისა დავით აღმაშენებლისა, დიდისა რუსთაველისა და თამარისა; და ჩვენ მივდივართ იმ გზით, რომლითაც უვლიათ ჩვენს წინაპრებს. ეს არის გზა ქრისტესი. უფალი ჩვენი იესო ქრისტე ამბობს: "მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე". პირველი საუკუნეებიდან ქართველმა ხალხმა შეისისხლხორცა ეს მცნება, და ამიტომაა, რომ განუშორებელია ქრისტეს სჯულისაგან.

ერთი წლის წინ, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმინდა სინოდმა გამოიტანა თავისი ისტორიული დადგენილება, და ჩვენი დიდი მოღვაწე, ჩვენი დიდი წინაპარი ილია ჭავჭავაძე აღრაცხა წმინდანათ. და ეს ჩვენი დიდი წმინდანი, რომელსაც ეწოდა წმინდა ილია მართალი, გვამცნობს ჩვენ, რომ ყველაზე დიდი და სანუკვარი დიდება, ყველაზე დიდი მცნება, რომელიც დაუტოვა ღმერთმა ქართველ ადა-

მიანს და რომელიც ქართველმა უნდა დაიცვას - ეს არის ჩვენი მამული, ჩვენი ენა და ჩვენი სარწმუნოება. ძალიან ხშირად მტერი ცდილობდა გადაეცვა ქართველი ადამიანი სერხემალში; მაგრამ ღვთის მფარველობა და ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის ლოცვა მუდამ იფარავდა საქართველოს. არ არსებობს ისეთი ერი და ისეთი ქვეყანა, რომ ჰყავდეს ამდენი წმინდა მოწამე, როგორც ეს არის საქართველოში. ადამიანმა რომ აიღოს ქართული მიწა მუჭაში, ამ მიწაში ნახავს ქართველი ადამიანების, ქართველი ჩვენი წინაპრების სისხლს.

მე მინდა მხოლოდ ერთი მაგალითი მოგახსენოთ: მეცამეტე საუკუნე. საქართველოში შემოდის ჯალალედინი. მხოლოდ ჯალალედინის დროს მხოლოდ თბილისში ეწამა ასიათასი ქართველი მოწამე. სიონის ტაძარს, მისი ბრძანებით, მოხადეს გუმბათი, მან დაადგმევინა იქ თავისი ტახტი და უყურებდა ქართველი ადამიანების წამებას. სიონის საპატრიარქო ტაძრიდან, სიდზე, გატანილი იყო მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატები და დადებული იყო სიდზე, რომ ფეხით გაეთელა ქართველ ადამიანს ეს ხატები. მაგრამ ამაო იყო მათი ლოდინი. ასიათასი ქართველი შეეწირა ქრისტეს რწმენას და ჩვენი სამშობლოს დიდებას. და აი ამ ვიწრო და ეკლიან გზას აგრძელებს დღეს ქართველი ადამიანი, და,მე ვფიქრობ, მარად გააგრძელებს ამას.

ჩვენ ჩამოველით იმ დროს, როცა ცვლილებებია ჩვენს სახელმწიფოში და საქართველოშიც. ჩვენ ჩამოველით იმ დროს, როცა თბილისში, მრავალი ათეული და,მე ვიტყოდი, ასეული წლების განმავლობის შემდეგ იხსნება თბილისის სასულიერო აკადემია. ჩვენ ჩამოველით იმ დროს, როცა საქართველოში დღეს საოცრება ხდება; იხსნება ახალი მონასტრები და ტაძრები. თბილისში გაიხსნა მეტეხის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძარი;ანჩისხატის ტაძარი. მრავალი დუმილის შემდეგ, საქართველოში კვლავ ამოქმედდა დიდი გელათი; ამოქმედდა ღირსი მამა შიო მღვიმელის მონასტერი და... ........(!) მონასტერი. და ჩვენ შევთხოთ უფალს, რომ ეს პროცესი, ეს გზა გაგრძელდეს.

მე მეტად მოხარული ვარ, რომ ამ წმინდა ტაძარში ესწრებიან ჩვენი ქართველები, ჩვენი თანამემამულენი. მე სიყვარულით გლოცავთ ყველას: ღმერთმა დაგლოცოთ და ღმერთმა დალოცოს თქვენი შვილები. ნუ დაივიწყებთ, რომ თქვენი ფესვები საქართველოშია, თქვენი წინაპრების ძვლები საქართველოშია დამარხული. ნუ დაივიწყებთ წმინდა ილია ჭავჭავაძის მართლის სიტყვებს, რომ ყველაზე ძვირფასი და ყველაზე დასაცავი ადამიანისათვის - ეს არის მამული, ენა და ქრისტიანული რწმენა. მე აგრეთვე ყველას მოგილოცავთ დღევანდელ დღესასწაულს. დღეს არის უდიდესი დღესასწაული: თავის კვეთა წმინდისა იოანე ნათლისმცემლისა. მე ყველას გილოცავთ ამ ზეიმს; და განსაკუთრებით მე მინდა მივულოცო ყოვლადუსამღვდელოეს, ბავარიის ეპისკოპოსს დიმიტრიოსს დღევანდელი დღე, ჩვენი ერთობლივი წირვა; და ნიშნად ჩვენი ძმური სიყვარულისა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსადმი, პირადათ ეპისკოპოსს, გადავცემ ქართულ ოქროს ჯვარს.

ღმერთმა დაგლოცოთ! ჩვენთან არის ღმერთი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის ილია II-ეს ეს ქადაგება ჩაწერილ იქნა მაგნეტოფონის ფირზე მიუნხენის ბერძნულ ეკლესიაში

(მიუნხენი, უნგერერ-შტრასე 131) ბერძენ და ქართველ სასულიერო პირთა ერთობლივი წირვის დროს, რომელსაც ესწრებოდა აგრეთვე მრავალი ქართველი ლტოლვილი, რომლებიც ცხოვრობენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

შენიშვნა: ფირზე, ზოგიერთი სიტყვები, სამწუხაროდ, გაუგებარი აღმოჩნდა და ტექსტში აღნიშნულია"....(I)"- ნიშნით.

ჩაწერა კ.ი-მ. მიუნხენი, 1988 წლის 11 სექტემბერი

## ნ ი ნ ო ო ბ ა   პ ა რ ი ზ შ ი

პარიზის წმინდა ნინოს ქართული ეკლესიის სამრევლომ, 1989 წლის 15 იანვარს, კვირას, გამართა ნინოობა - "წმინდისა დიდისა ჩვენისა და ქალწულისა ნინო მოციქულთასწორისა, ქართველთა განმანათლებელისა" -, რომელსაც მრავალი ხალხი, განსაკუთრებით ბავშვები დაესწრო. ნინოობა, აქ უკვე ტრადიციის მიხედვით, გაიმართა შვეციის საწმყსოს დიდ დარბაზში. წმინდა ნინოს დიდი ეროვნული დღესასწაული დაკავშირებულ იქნა საშობაო ნაძვის ხესთან, რადგან, როგორც ცნობილია, ქართული ეკლესია შობას ძველი სტილით დღესასწაულობს.

გასული 1988 წელი სახარბიელო წელიწადი არ გამოდგა ქართული წმინდა ნინოს ეკლესიისათვის, ვინაიდან ჩვენმა ეკლესიამ დაკარგა, ჩვენი სულიერი მამა, დეკანოზი მამა ილია, რომელიც დიდი პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდა არა მარტო ქართველ მლოცველებში. დეკანოზ ილია მელიას გარდაცვალების შემდეგ, ქართული ეკლესიის მოძღვრად დანიშნულ იქნა მღვდელი, წარმოშობით ბერძენი-ფრანგი, გაბრიელ ანრი, რომელიც აგრეთვე, გასულ, 1988 წელში, გარდაიცვალა. ახლა კი პარიზის ქართული წმინდა ნინოს ეკლესიის მოძღვარია მღვდელი მეთოდიუს ალექსიუ, ბერძენი, რომელიც დიდი შთაგონებით უწევს თანადგომას ჩვენს მამულიშვილებს პარიზსა და მთელს საფრანგეთში.

ნინოობა დიდი ეროვნული შეგნებითა და შთაგონებით ჩატარდა, რომლის დროს ქართველმა მორწმუნეებმა ჩვეული გულუხვობა გამოიჩინეს და ფულადი შეწირულებით პარიზის წმინდა ნინოს ქართული ეკლესიის მომავალი მოღვაწეობის განგრძობას ხელი შეუწყვეს.

მ.დ., პარიზი, 1989 წლის 15 იანვარი

## გარდაცვლილთა მოხსენება

ვალიკო ჩუბინიძე(1891-1988) - დაკრძალულია ლევილის"ძმათა სასაფლაოზე".
კოკი ბერიძე(1915-1988) - გარდაიცვალა პარიზში.
მამა გაბრიელ ანრი, პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიის მღვდელი; დაიბადა 1918 წელს, გარდაიცვალა 1988 წელს.
მართა ამილახვარი-დადიანისა - გარდაიცვალა 1988 პარიზში და დაკრძალულ იქნა ბურგ-ლა-რენის სასაფლაოზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შ ი ნ ა ა რ ს ი

განმარტება....1

## საქართველოს დაპყრობის 68 წლისთავი

საქართველოს დაპყრობის 68 წლისთავი....2
საქართველოს მთავრობის განცხადება....5

## მორიგი საკითხები - "აქვე და ახლავე"

"ოქროს შუალედი"....9
კიდევ ეროვნული მთავრობის არქივის შესახებ....11
ჯ.პატიაშვილი და ეროვნული საკითხი....15
მეგობრობის ალტერნატივა არ არსებობს....19
"ვეფხვზე მოჯირითენი"(ესტონეთ-ლიტვა-ლატვიის მაგალითი)....24

## "მესამე დასი"-"მესამე გზა?" - თეორია და პრაქტიკა

პარტია და ერი....29
სოციალისტური ინტერნაციონალი და ჩვენი პარტია....35
ლარს პეტცოლდი: დემონსტრაციები თბილისში....46
"გარდაქმნა-საჯაროობა-დემოკრატიზაცია" და ჩვენ(წერილი მეორე)..48

## ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა   დ ა   ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

ტიციან ტაბიძე....58
ქართული ფილმის ფესტივალი პარიზში....69

## პ ა რ ტ ი უ ლ ი   ც ხ ო ვ რ ე ბ ა

პირადი აზრები....70
"მესამე დასის" 100 წლის იუბილესათვის....77
კონფერენციის მოწვევისათვის....77
პროგრამისა და წესდების პროექტები....77
ბიუროს ახალი წევრი....78
ბიუროს პრეზიდიუმი - პარტიის მმართველი....78
წინადადება "ჩვენი დროშის" სახელწოდების შეცვლისა....78
სილვა - "სულით უძლევი"(ს.ჯიბლაძის დაბადების 130 წლისთავი)....79
ვალიკო ჩუბინიძის გარდაცვალება....81
მშრომელი ადამიანი(ვ.ჩუბინიძის გარდაცვალების გამო)....82

## ქართული სათვისტომოები უცხოეთში

აგვისტოს აჯანყების 64 წლისთავის აღნიშვნა ლევილში....85
უწმინდესი და უნეტარესი ილია II ქადაგება მიუნხენში....86
ნინოობა პარიზში....88
გარდაცვლილთა მოხსენება....88

## ც ნ ო ბ ა

"ჩვენი დროშის" ამ 1(115) ნომრის შემოსავალ-გასავალი, ე.ი. ბალანსი გამოქვეყნდება შემდეგ ნომერში.

სარედაქციო კოლეგია

## ვ თ ხ ო ვ თ

გამოსაქვეყნებელი მასალები, წერილები და შემოწირულებანი გამოგზავნოთ შემდეგ მისამართზე: M. Valentin Rijamadzé

288, rue de Vaugirard

75015 P a r i s - FRANCE

"ჩვენი დროშის" სარედაქციო კოლეგია

საქ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარგარეთელი ბიუროს ორგანო
Organe du Bureau à l'Etranger du parti Social-democrate de Géorgie